

ქართული ნაქსოვი
ორნამენტი
თრადიციული და
თანამედროვე აქცენტები

GEORGIAN WOVEN
ORNAMENT
TRADITIONAL AND
MODERN ACCENTS



რქა



მამი



საქართველოში ცხოვრობენ და სხვადასხვა
სივრცეებს სთავაზობს



GEORGIAN WOVEN **ORNAMENT**
TRADITIONAL AND MODERN ACCENTS



ქართული ნაქსოვი ორნამენტი

დრადიციული და
თანამედროვე აქცენტები

GEORGIAN WOVEN ORNAMENT

TRADITIONAL AND
MODERN ACCENTS



ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Kutaisi Akaki Tsereteli State University
2025



პროექტი „ძველი ქართული ნაქსოვი ორნამენტის სახეობების კვლევა და ტექსტილის ტრადიციული და თანამედროვე ტექნოლოგიებით დამუშავება“ (FR-21-19932) კვლევა განხორციელდა სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.

Project - "Research of Old Georgian Ornament Types and Processing of Textiles with Traditional and Modern Technologies" [FR-21-19932] - was carried out by the financial support of Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia



ქუთაისის აკაკი წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
Kutaisi Akaki Tsereteli State University



საქართველოს ეროვნული მუზეუმი
Georgian National Museum



ისტორიისა და ეთნოლოგიის
სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი
Scientific Research Center of History
and Ethnology



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
Georgian Technical University

ავტორ-შემდგენლები – ლია ლურსმანაშვილი, გულნარა კვანტიძე
ავტორთა ჯგუფი – ლია ლურსმანაშვილი, გულნარა კვანტიძე, ნატო ფაილოძე,
ნანული აბესაძე, ეკა ბერელაშვილი, ზინაიდა ვადაჭკორია, თამთა გიორგობიანი

სამეცნიერო რედაქტორი – ნანული აზიკური
ქართული ტექსტის რედაქტორი – ელენე სარალიძე
ინგლისური ენის თარგმანი და რედაქტორი – ნინო ჩუბინიძე

დიზაინი – ფრიდონ ლობჯანიძე, ირაკლი ხუციშვილი
ფოტო – მირიან კილაძე, გურამ ბუმბიაშვილი, გულნარა კვანტიძე

პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი – ლია ლურსმანაშვილი
პროექტის კოორდინატორი – ნატო ფაილოძე

Author-compilers – Lia Lursmanashvili, Gulnara Kvantidze

Authors – Lia Lursmanashvili, Gulnara Kvantidze, Nato Pailodze, Nanuli Abesadze,
Eka Berelashvili, Zinaida Vadachkoria, Tamta Giorgobiani

Scientific editor – Nanuli Azikuri

Editor of the Georgian text – Elene Salaridze

Translator and editor of English text – Nino Chubinidze

Design – Pridon Lobjanidze, Irakli Khutsishvili

Photos by – Mirian Kiladze, Guram Bumbiashvili, Gulnara Kvantidze

Principal Investigator – Lia Lursmanashvili

Project coordinator – Nato Pailodze

ISBN 978-9941-9869-6-3

© ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2025
Kutaisi Akaki Tsereteli State University, 2025

სამეცნიერო საგრანტო პროექტის – **ძველი ქართული ნაქსოვი ორნამენტის სახეობების კვლევა და ტექსტილის ტრადიციული და თანამედროვე ტექნოლოგიებით დამუშავება** – იდეა ეკუთვნის ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლვანტომოსილ მეცნიერს, ზინაიდა ვადაჭკორიას. მისივე კონსულტაციებით მომზადდა პროექტის უმნიშვნელოვანესი ტექნოლოგიური ნაწილი.

სამეცნიერო ჯგუფი განსაკუთრებულ მადლობას უხდის მერი ხუხუნაიშვილ-წიკლაურსა და მარტინ არტოლას, რომლებმაც დაგვაკვალიანეს და სწორი მიმართულება მოგვცეს ბასკეთში მივლინების დაგეგმვის დროს.

მადლობა ყველა იმ მეცნიერსა და მკვლევარს, რომელთა ფუნდამენტურმა ნაშრომებმა კიდევ ერთხელ გვაზიარეს ჩვენი ქვეყნის წარსულში დაუნჯებულ ტრადიციული კულტურის მრავალფეროვნებას.

ნაშრომის მომზადებაში დიდად დაგვეხმარა სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის, სიღნაღის, თელავის, გორის, ქუთაისის, ზემო აჭარის ქვანისა და შერიფ ხიმშიაშვილის სახელობის მუზეუმების თანამშრომლები.

შთამბეჭდავი გახლდათ ექსპედიცია თუშეთში. იშვიათი სილამაზის ამ კუთხის ყველაზე დიდი სიმდიდრე აქაურ ხეობებში დასახლებულ-დამკვიდრებული ხალხია თავისი წარსულით, ტრადიციული ყოფითა და მათ მიერ შექმნილი მატერიალურ-სულიერი კულტურით. ორნამენტულ კომპოზიციათა უსაზღვრო შესაძლებლობები, პროპორციის, სიმეტრიისა და ჰარმონიულობის შერწყმა გამოსჭვივის ოჯახებში დაცულ ფარდაგებზე, ჩით-წინდებსა თუ თუშურ ნაბდებზე – ნაჭრელებზე. განსაკუთრებული მადლიერება შენოელ ნანო სეხნიაიძესა და სირანა ხაჩიძეს, რომელთაც უშურველად გაგვიმხილეს როგორც თანამედროვე ქსოვის, ასევე საღებრების მიღებისა და ღებვის საიდუმლოებანი.

მეტად მნიშვნელოვანი იყო ჩვენი შეხვედრა ქვემო ალვანში, თუშური ფარდაგებისა და ხალიჩების უბადლო მქსოველ ლილი მურთაზაშვილთან და ნუგზარ ძამუკაშვილთან, ასევე სიღნაღელ ნონა გიგოლაშვილთან.

მატერიალური კულტურის თვალსაზრისით, არანაკლებ დოვლათიანი კუთხეა ზემო აჭარა. დიდი მადლობა საინტერესო ინფორმაციებისთვის ჯუმბერ, ზიქრა და ნუშიე ცინცაძეებს (ხელვაჩაური), მარინა ჯიჯალაძეს; ქედის კულტურის ცენტრის მესვეურთ, ხითხურო თამაზ თურმანიძეს, სოფელ წყაროთას მკვიდრს გუგული მჭავანაძეს; თამილა ქარცივაძეს, დარიკო ხილაძეს, ჟუჟუნა და ნათელა ცეცხლაძეებს (სოფელი თაგო); ნათელა საგინაძეს (სოფელი მანიეკეთი, ხულო); თამაზ გორგაძეს, ლამარა და სედა ირემაძეებს, შუშანა ბერიძეს, ნონა ცეცხლაძეს, მზევინარ ირემაძეს (სოფელი ღორჯომი). აღსანიშნავია ჭვანის ხეობის კერძო ეთნოგრაფიული მუზეუმის დამაარსებელ ტარიელ ბოლქვაძესთან შეხვედრა. მადლობა მას ამ მამულიშვილური, დაუღალავი შრომისათვის.

მადლობას ვუხდით აკაკი ბერიძეს, ზემო აჭარაში სამეცნიერო ექსპედიციის მუშაობის საინტერესოდ და ნაყოფიერად წარმართვისათვის.

ულრმესი მადლობა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უფროს მასწავლებელს, ხალხური რენვის სპეციალისტს, გულნარა ალოევას ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის.

დაბოლოს, სამეცნიერო ჯგუფის მადლობა ყველა იმ დაინტერესებულ პირს, ვინც პოპულარიზაციას გაუწევს ტრადიციული, ქართული ორნამენტით შემკულ სამოსს და „ჩაიცვამს ქართულად“.

ვისარგებლებთ უხუცესი მქსოველის ლილი მურთაზაშვილის ულამაზესი გამოთქმით: – მზით გაგეცვითო!

The concept for the scientific grant project „**Research on the Types of Ancient Georgian Woven Ornaments and Their Processing Using Traditional and Modern Textile Technologies**“ belongs to Ms. Zinaida Vadachkoria, a famous scientist at Akaki Tsereteli State University. The most significant technological part of the project was developed in consultation with her.

Scientific team thanks Mary Khukhunaishvili-Tsiklauri and Martin Artola, who helped us to do the right management of our business trip to Basque country.

We express our gratitude to all the scientists and researchers whose foundational studies have once again provided us with insights into the rich diversity of our country's traditional culture.

This work has greatly benefited from the material housed in the Simon Janashia Georgian State Museum, the Shalva Amiranashvili Museum of Art, and various other museums, including those in Signaghi, Telavi, Bolnisi, Akhaltsikhe, Gori, Kutaisi, Svaneti, Batumi, Lazistan (Lazeti), as well as the priceless information shared by the curators of these institutions.

The expedition to Tusheti was truly astonishing. The people settled in the valleys have indeed created a unique culture, where history, traditions, and daily life are intertwined. Undoubtedly, these places still maintain this cultural identity, which is passed down from generation to generation. Tushetian felt fabrics, chita-socks, Tilim/rugs and carpets that have been preserved in households demonstrate the infinite possibilities of beautiful compositions, the blending of proportion, symmetry, and harmony. We would like to express our heartfelt thanks to Sirana Khachidze (Sirana Bebo) and Naniko Sekhniadze from Shenako, who kindly shared with us the dying and coloring techniques as well as the fundamentals of modern weaving.

A particularly significant meeting took place in Zemo Alvani with the exceptional weaver of Tushetian decorative kilim/rugs and carpets, Ms. Lili Murtazashvili, along with Nugzar Dzhamakashvili, and Nonna Gigolashvili from Signaghi.

From the perspective of material culture, Upper Adjara is another area abundant in resources. Our deep gratitude goes to Jumber Tsintsadze, Zikra Tsintsadze and Nushie Tsintsadze from Khelvachauri, Marina Jijaladze, the curators of the Keda Cultural Center, a woodworker- Mr. Tamaz Turmanidze, the resident of the village of Tskarotas, Guguli Mzhavanadze, Tamila Kartsivadze, Dariko Khiladze, Zhuzhuna Tsekhladze, Natela Tsekhladze (village of Tago), Natela Saghinadze (village of Manieketi, Khulo), Tamaz Gorgadze, Lamara Iremadze and Seda Iremadze, Shushana Beridze, Nona Tsekhladze, and Mzevinar Iremadze (village of Ghorjomi). We must also highlight our meeting with Tariel Bolkvadze, the founder of the Chvani Gorge ethnographic private museum. We are grateful for his commitment to us unwavering efforts and.

We would like to express our sincere gratitude to Akaki Beridze for leading the Upper Adjara expedition in such an engaging and fruitful manner.

We extend our heartfelt thanks to the senior lecturer at the Georgian Technical University and folk crafts specialist, Ms. Gulnara Aloeva, for her generous and fruitful collaboration. Lastly, we would like to express our gratitude to everyone who promotes traditional Georgian garments adorned with ornaments and “dress in the Georgian style”. We will take this opportunity to share the beautiful words of Ms. Lili Murtazashvili: “Mzit Gagetsvitot!” (it expresses a sincere desire for the person to enjoy and make the most of their new acquisition, bringing them joy and good fortune).

შინაარსი

წინასიტყვაობა	7
შესავალი	9
<i>ლია ლურსმანაშვილი</i>	
თავი I. რა ვიცით! რა ვნახეთ! რა მოვისმინეთ!	12
რა ვიცით	
ა. შინამრავნელობის ტრადიციები საქართველოში (საქსოვი იარაღები, ტექნიკა, მასალა)	12
<i>ლია ლურსმანაშვილი</i>	
ბ. ტრადიციული ფერები	19
<i>ლია ლურსმანაშვილი, გულნარა კვანტიძე</i>	
გ. ნაქსოვი საერო ორნამენტი	22
<i>გულნარა კვანტიძე</i>	
ტიპოლოგია	22
კლასიფიკაცია	24
დ. საეკლესიო ორნამენტი	25
<i>ეკა ბერელაშვილი</i>	
ე. ქართული მეჩეთის ორნამენტი (აჭარა)	28
<i>გულნარა კვანტიძე</i>	
რა ვნახეთ	
ნაქსოვი ორნამენტის თანამედროვე ასპექტები	30
<i>ლია ლურსმანაშვილი</i>	
რა მოვისმინეთ	
ინტერვიუები კულტურული მემკვიდრეობის მატარებლებთან	35
<i>ლია ლურსმანაშვილი, ნატო ფაილოძე, ნანული აბესაძე</i>	
თავი II. ქართულ-კავკასიური ორნამენტის შეადარებითი ანალიზისათვის	39
<i>გულნარა კვანტიძე</i>	
თავი III. ორნამენტი - ქართული და გასკური კულტურათაშორის დიალოგი	42
<i>გულნარა კვანტიძე</i>	
თავი IV. ქართული ორნამენტი ტექსტილის თანამედროვე ტექნოლოგიებში	53
<i>ნატო ფაილოძე, ზინაიდა ვადაჭკორია, ნანული აბესაძე, ლია ლურსმანაშვილი</i>	
გამოყენებული ლიტერატურა	123
ილუსტრაციები	129

CONTENTS

FOREWORD	67
INTRODUCTION	69
<i>Lia Lursmanashvili</i>	
CHAPTER I – WHAT WE KNOW! WHAT WE HAVE SEEN! WHAT WE HAVE HEARD!	72
WHAT WE KNOW!	
A. TRADITIONS OF HOME INDUSTRY IN GEORGIA (WEAVING TOOLS, TECHNIQUES, MATERIALS)	72
<i>Lia Lursmanashvili</i>	
B. Traditional Colors	78
<i>Lia Lursmanashvili, Gulnara Kvantidze</i>	
C. Woven Secular Ornaments	81
<i>Gulnara Kvantidze</i>	
Typology	81
Classification	83
D. Ecclesiastical Ornaments	84
<i>Eka Berelashvili</i>	
E. Georgian Mosque Ornament (Adjara)	86
<i>Gulnara Kvantidze</i>	
WHAT WE OBSERVED	
Modern aspects of woven ornament	88
<i>Lia Lursmanashvili</i>	
WHAT WE HEARD	
Interviews with bearers of intangible cultural heritage	92
<i>Lia Lursmanashvili, Nato Pailodze, Nanuli Abesadze</i>	
CHAPTER II – FOR A COMPARATIVE ANALYSIS OF GEORGIAN-CAUCASIAN ORNAMENT	96
<i>Gulnara Kvantidze</i>	
CHAPTER III – ORNAMENT - GEORGIAN AND BASQUE INTERCULTURAL DIALOGUE	99
<i>Gulnara Kvantidze</i>	
CHAPTER IV – GEORGIAN ORNAMENT IN MODERN TEXTILE TECHNOLOGIES	109
<i>Nato Pailoze, Zinaida Vadachkoria, Nanuli Abesadze, Lia Lursmanashvili</i>	
BIBLIOGRAPHY	123
ILLUSTRATIONS	129

წინასიტყვაობა

ნებისმიერი ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის შემდგომი ზრდა შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ სახალხო მეურნეობის განვითარების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და ეკონომიკის ინტენსიური განვითარების გზით. ამისათვის კი აუცილებელია ქვეყნის საწარმოო პოტენციალის რაციონალური გამოყენება. ტექნიკურმა პროგრესმა, რომელიც ქვეყნის კეთილდღეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარანტია, არავითარ შემთხვევაში არ უნდა უგულებელყოს საუკუნეთა განმავლობაში გამოცდილი ბევრი ასეთი დარგი, რომელთა ქმედითობაზე წარსულში ბევრად იყო დამოკიდებული ადამიანთა ცხოვრებისეული ყოფა. საჭიროა, შინამრეწველობის ეს დარგები გადავარჩინოთ და გონივრულად შევუხამოთ აწმყოს. ჩვენი საზოგადოების ინტერესი და მეტიც, თავად სახელმწიფოს პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რომ ეკონომიკური პროცესების განხორციელებაში უმნიშვნელოვანეს თანამედროვე ტექნიკურ აღმოჩენათა პარალელურად, რაციონალურად გამოვიყენოთ ქვეყნის წარსული მიღწევები და გამოცდილებანი.

საქართველოში მრეწველობის აღორძინებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს თანამშრომლობა ქვეყნის პრიორიტეტულ ნუსხაში მოქცეულ სფეროსთან – ტურისმთან. ტურისტთა გაზრდილი მოთხოვნების დაკმაყოფილება სავსებით შესაძლებელია ადგილობრივი რესურსებისა და პოტენციალის ბაზაზე ამა თუ იმ სფეროში სამეურნეო საქმიანობის განვითარებით. საწარმოებმა უნდა შექმნან პროდუქციის ისეთი სახეობები, რომელიც ტურისტთა მოთხოვნების ნუსხაში აღმოჩნდება და ამავე დროს უფრო მეტად წარმოაჩენენ ჩვენს მხატვრულ-ესთეტიკურ გემოვნებას, სამეწარმეო-ტექნოლოგიურ ცოდნასა და გამოცდილებას. ჩვენი ქვეყნის საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ყოფის ვრცელი სპექტრიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული და განვითარებული მატერიალურ-კულტურული მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანესი ძეგლი – ქართული ორნამენტი. სწორედ მისი მრავალმხრივი გამოყენების შესაძლებლობებს მოიცავს მეცნიერთა ჯგუფის მიერ შექმნილი ეს მოკრძალებული ნაშრომი.

წინამდებარე კატალოგი შექმნილია ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის კონკურსში გამარჯვებული პროექტის – „ძველი ქართული ნაქსოვი ორნამენტის სახეობების კვლევა და ტექსტილის ტრადიციული და თანამედროვე ტექნოლოგიებით დამუშავება“ – განხორციელების შედეგებზე დაყრდნობით. ნაშრომი აერთიანებს ქართული ტრადიციული ორნამენტის მიმოხილვას როგორც სამეცნიერო ნაშრომების, ისტორიულ-ლიტერატურული ნყაროების, დოკუმენტური მასალის, ხელნაწერი ნიგნებისა და მინიატიურების, ასევე, მივლინებების პერიოდში, რეგიონულ და კერძო მუზეუმებში დაცული მასალისა და ყოფაში (ოჯახებში) შემორჩენილი ნივთების მიხედვით.

გამოცემა მოიცავს ტიპოლოგიურად კლასიფიცირებული და სისტემატიზებული ორნამენტის ფოტოებსა და ესკიზებს, ორნამენტის ქსოვის სქემებსა და პროგრამებს. მას თან ერთვის ქართულ სამეცნიერო სივრცეში უპრეცედენტო, საქსოვ-სატრიკოტაჟო მანქანაზე შესრულებული ძველი ორნამენტის ორიგინალები.

ვფიქრობთ, აღნიშვნის ღირსია ნაშრომის თითოეული თავი, სადაც ქართულ საერო და საეკლესიო ნივთებში დაცული ორნამენტების გარდა, გაანალიზებულია ფერთა ჰარმონიზაციის საკითხები, ასევე საინტერესო მოსაზრებები ზემო აჭარის მეჩეთებისა და ჯამეების დეკორში გამოყენებული ორნამენტების შესახებ. არ შეიძლება, არ გამოვყოთ ნიგნში ცალ-

კე თავებად შესული შედარებითი ანალიზები. განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ქართულ-ბასკური ორნამენტული ხელოვნების უძველესი ნიმუშების შედარება.

სამეცნიერო წრეებში არცთუ უსაფუძვლოა დისკუსიები ძველ იბერიულ ენათა ნათესაური კავშირების შესახებ (ნიკო მარი, ექვთიმე თაყაიშვილი, არნოლდ ჩიქობავა, სიმონ ყაუხჩიშვილი, რენე ლაფონი, მარტინა მინტეგი და სხვ.). საილუსტრაციოდ მოვიყვანთ შოთა ძიძიგურის ფუნდამენტური ნაშრომის „ბასკები და ქართველების“ ბოლოსიტყვაობას: „ბასკებისა და ქართველების (საერთოდ, იბერიული მოდგმის ხალხების) ურთიერთობის შორეული წარსულის სურათებს მკვლევართა ახალმა თაობამ მზრუნველი ხელით უნდა გადანმინდოს ზედ წაყრილი ფერფლი და მაშინ მეტი ელვარებითა და ცხადლივ გამოჩნდება ძველი ეთნოლოგიური და ენობრივი ქსოვილი, რომელსაც ისტორია, ეს მარადიული ფეიქარი, თვალწინ გვიშლის“ (ძიძიგური. 1982).

საგრანტო პროექტის მკვლევართა გუნდს გაცნობიერებული გვაქვს დასმული ამოცანის სენსიტიურობა და სირთულე, თუმცა, ისიც კარგად მოგვეხსენება, რომ ნებისმიერი ქვეყნის ისტორიისთვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მატერიალური კულტურის შესწავლას. მემკვიდრეობით მიღებული სიმდიდრე კი თანამედროვე კულტურის ესთეტიკური და სულიერი პროცესების წარმართველი ძალაა. სწორედ ეს სურვილი გვაერთიანებს და გვაძლევს ძალას, ჩავეერთოთ საკვლევი თემატიკის ირგვლივ არსებულ რთულ პროცესებში.

ნიგნში შესული ფოტომასალის ნაწილი დაცულია სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის კოლექციებში; რეგიონულ და კერძო მუზეუმებში; ასევე წარმოდგენილია ყოფაში (ოჯახებში) შემორჩენილი და ახალშექმნილი ნივთების ფოტოები.

ვიმედოვნებთ, კატალოგი მნიშვნელოვანი იქნება სამეცნიერო და საგანმანათლებლო თვალსაზრისით ქართული, კავკასიური, აღმოსავლური და ევროპული კულტურის საკითხებით დაინტერესებულ პირთათვის. ამავე დროს, ქართული ორნამენტების სტრუქტურის, კონსტრუქციისა და დამუშავების ტექნოლოგიების შესწავლა, გაანალიზება და გამოკვლევა საშუალებას მოგვცემს თამამად დავნერგოთ იგი თანამედროვე ნაწარმშიც, რაც უდავოდ დიდ ინტერესს გამოიწვევს გამოყენებითი დიზაინისა და ტექსტილის ტექნოლოგიების სპეციალისტთა შორის. ხელს შეუწყობს როგორც საწარმოო, ასევე შინამრეწველობის აღორძინებასა და ინდივიდუალური მწარმოების განვითარებას. ეს კი, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს ცენტრიდან დაშორებულ რეგიონებში მოსახლეობის დასაქმების პრობლემის მეტ-ნაკლებად გადაჭრასაც.

ასეთ ვითარებაში, ქართული კულტურული მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანესი ძეგლი – ორნამენტი სამრეწველო მასშტაბს იძენს და ხელოვნებისა და ტექნოლოგიების კონვერგენციის ნიმუშად გვევლინება.

შესავალი

ლია ლურსმანაშვილი

თანამედროვე სამყაროში კულტურული მემკვიდრეობის მრავალფეროვნების დაცვა და ინდუსტრიულ მემკვიდრეობად ქცევის პროცესი სრულიად ახლებურ გააზრებას წარმოადგენს. ჩვენი ქვეყნის საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ყოფის ვრცელი სპექტრიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული და განვითარებული მატერიალურ-კულტურული მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანესი ძეგლი – ორნამენტი.

ორნამენტი ეროვნული იდენტობისა და თვითმყოფადობის მატარებელი საზოგადოებრივი ერთეულია. ის ფერთა უხვი პალიტრითაა გადმოცემული ფერწერულ იკონოგრაფიაში, ხელნაწერ ნიგნებსა და მინიატიურებში. მრავალფეროვნადაა გამოსახული იარაღში, სამკაულში, ქვითხურობაში, ხითხურობაში, მეთუნეობაში, საერო-საეკლესიო სამოსში, ფეხსაცმელში, ხალიჩურ ნაწარმში...

საქართველოში ტურიზმის განვითარებას თან მოჰყვა ეთნოგრაფიული ნივთების კომერციალიზაცია. იმ რეგიონების ისტორიულ ადგილებში, რომლითაც ინტერესდებიან ტურისტები. დიდი მოთხოვნილებაა ძველი ქართული ორნამენტით დამშვენებულ ნაქსოვ ნაკეთობებზე. თვალს ახარებს ნაირფერადი, ჭრელი „ქართული“ მოტივებით შემკული ნაწარმი, რომელთაც ვიზიტორები ეროვნული სუვენირების სახით იძენენ. თუმცა, ხშირად ამ სუვენირებზე დატანილ ორნამენტებს არანაირი საერთო არა აქვს ძველ ქართულ ორნამენტთან.

ვხვდებით უხეშ უზუსტობებს – ფორმის, სტილის, წარმოშობისა და დომინანტი ფერების შეხამების თვალსაზრისით. იქმნება საშიშროება იმისა, რომ ამგვარი სტილიზების გაგრძელებამ და საზოგადოების არაინფორმაციულობამ შეიძლება განაპირობოს ქართული ორნამენტის სრული აღრევა და მივიწყება. სწორედ ამ საფრთხეებზე ინტერდისციპლინარული პასუხის გაცემასა და შემდგომ პოპულარიზაციას გულისხმობს თანამედროვე საფეიქრო ტექნოლოგიებში ქართული ორნამენტის დანერგვა თავდაპირველი, ორიგინალური ფორმისა და ფერის შენარჩუნებითა და დაცვით.

ჩვენს მიზანს შეადგენს ძველი ქართული ორნამენტის ტრიკოტაჟის წარმოებაში დამკვიდრება ორიგინალური ფორმის, ფერისა და სახელწოდების შენარჩუნებით. ნაქსოვი ნიმუშების დასამზადებლად, პირველ რიგში განხორციელდება: ქართული ორნამენტის სისტემატიზაცია ფორმისა და სიმბოლური მახასიათებლების მიხედვით, ძველი ორნამენტების სტრუქტურულ-ტექნოლოგიური ანალიზი; ადგილობრივ მოსახლეობაში შესყიდული ნაქსოვი ნედლეულის (ნართი, ძაფი) ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების კვლევა თანამედროვე წარმოების ნედლეულთან შედარებისა და შემდგომი ანალიზისათვის; დადგინდება ტრიკოტაჟის კლასიფიკაციით მოცემული სხვადასხვა სახის ხლართის სტრუქტურა, რადგან იგი ცვლის ორნამენტის სახეს. ანალიზის შედეგად შერჩეული ხლართების შესაბამისად დამზადდება ქართულ სამეცნიერო სივრცეში უპრეცედენტო, ნაქსოვ-სატრიკოტაჟო მანქანაზე შესრულებული ძველი ორნამენტის ორიგინალები და მოხდება მათი შედარება ძველთან. განეული სამუშაოები გარანტი იქნება ქართული ავთენტური ორნამენტის წარმოებაში ჩაშვებისა, რითაც უდავოდ დაინტერესდებიან როგორც დიზაინერები, ასევე კერძო მწარმოებლები.

საკვლევ ობიექტებად შეირჩა საქართველოს ეროვნულ, ქუთაისის, გორის, თელავის სახელმწიფო და სხვა რეგიონულ და კერძო მუზეუმებში დაცული ექსპონატები. ორნამენტის შესწავლის პროცესში დიდი სამსახური გაგვინია მივლინებებსა და ექსპედიციებში მოპოვებული ნივთიერი მასალის ფოტოებმა, რომელთა ფოტოფიქსაცია და დიგიტალიზაცია ადგილზე მოვახდინეთ.

კვლევა განხორციელდა ისტორიულ-ეთნოგრაფიული, შედარებით-ანალიტიკური, ფოტოგრაფირებისა და მასალების შეგროვების მეთოდების გამოყენებით. საკითხის სტრუქტურული და ტექნოლოგიური ანალიზისთვის გამოვიყენეთ ტექნოლოგიური დაკვირვებისა და ამოცანების გადაჭრის მეთოდები. სამუშაო პროცესები მიმდინარეობდა უახლესი თანამედროვე ხელსაწყოების გამოყენებით.

ადამიანის აზროვნების და გონიერების წყალობით, საუკუნეების განმავლობაში შექმნილი მატერიალური და სულიერი კულტურის უძველესი და უძვირფასესი ქმნი-

ლებები, დროის მსვლელობასთან თუ ისტორიულ კატაკლიზმებთან ერთად დღითიდღე იცვლება, კვდება და იკარგება. გამონაკლისი არც ქართული ხელსაქმეა. ადამიანის სრულიად განსხვავებულ და შეცვლილ ბუნებრივ პირობებთან განსაცვიფრებელი შეგუების უნარის, ტექნიკური პროგრესის თუ დროის მსახვრალი ხელის წყალობით, თანდათან მივიწყების ბურუსით შეიმოსა ტრადიციული ხელოსნობისა და შინამრეწველობის ამსახველი მასალა, შესრულების ხერხები და ადათ-წესები.

საქართველოს ტერიტორიაზე ქსოვის საქმიანობა შინაგანი განვითარების კანონების საფუძველზე განვითარდა: წვნიდან მოხდა გადასვლა ხელით ქსოვაზე საქსოვი დაზგების გარეშე, გამოიყენეს თითისტარი, თითისტარიდან გადაინაცვლეს ჯარაზე, თვლიან ჯარაზე და ვერტიკალური დაზგიდან ჰორიზონტალურზე (ციციშვილი. 1954). ეს ისტორია საქართველოში დღევანდელი მონაცემებით სავარაუდოდ, ენოლითის პერიოდში დაიწყო. ძუძუნას მღვიმეში აღმოჩენილი კვირისტავები, ძვლის ნემსები, გრეხილი და შეღებილი სელის ბოჭკოები მეცნიერებმა 30 000 წლის წინანდელ არტეფაქტებად დაათარიღეს (Kvavadze. 2009).

საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიაზე, ძველი წელთაღრიცხვიდან მოყოლებული, აღმოჩენილია სელის, შალის, კანაფისა და აბრეშუმის ბოჭკოები, დართული ძაფები და სამოსის ფრაგმენტები. ასეთებია: III ათასწლეულის I ნახევრის ძაძიანი კერამიკა, რომელიც თბილისში (დიდუბე), ურბნისსა (ქვაცხელა) და ახალციხეში (ე.წ. ამირანის გორა) აღმოჩნდა. კერამიკამ კარგად შემოინახა უხეში ქსოვილის (ძაძის) ანაბეჭდებიცა და წმინდად დართული ძაფის კვალიც. ამავე დროისა ურბნისში აღმოჩენილი მძივების ასასხმელად გამოყენებული ორწევრად შეგრეხილი შალის ნართი, VI-IV ათასწლეულების ქსოვილის ანაბეჭდები მარნეულის გორანამოსახლარის უძველეს ფენებში, ძვ. წ. III ათასწლეულის შალის ქსოვილი ბედენის აკლდამაში, სხვადასხვა ადგილას აღმოჩენილი საქსოვი იარაღები და სხვა (აფაქიძე... 1955).

ცნობები ქართული ფეიქრობის შესახებ ძველ ბერძენ ისტორიკოს-მოგზაურთა ჩანაწერებშიცაა მოხსენიებული. მათი აღნიშვნით, ქართველები კარგი ხარისხის სელის ქსოვილს ამზადებდნენ (გეორგიკა. 1936). სელის გარდა სცოდნიათ აგრეთვე შალის, კანაფის, ბამბისა და აბრეშუმის ქსოვილების მიღება, რაზეც ქართულ ლექსიკოგრაფიაში შემორჩენილი სხვადასხვა ტერმინის არსებობა მიანიშნებს. ასეთებია, მაგალითად, მეაბრეშუმეობის ძველი შესატყვისი - ჭიჭნაუხტის საქმე, ოქრომკედისა - ზეზი, შალისა - სკლატი და სხვა.

მაღალგანვითარებული საფეიქრო საქმე ასევე თვალსაჩინოაა გადმოცემული ქტიტორთა სამოსის ფაქტურასა და შესამკობელ აქსესუარებში, რომელთა გამოსახულებები ქართული ეკლესია-მონასტრების რელიეფებსა და კედლის მხატვრობას, საბედნიეროდ, დღესაც ამჟღავნებენ. სანიშნოდ დავასახელებთ VI საუკუნის მცხეთის ჯვარს ქართლში, XII საუკუნის ნაკიფარის წმინდა გიორგის ეკლესიას სვანეთში, გვიანდელი შუა საუკუნეების ბუგეულის ეკლესიას რაჭაში, მარტვილისა - სამეგრელოში და სხვა.

აღნიშნული საკითხი კარგადაა შესწავლილი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მემართულებით. ამ ახრივ განუსაზღვრელია ივანე ჯავახიშვილის ღვაწლი, ავტორმა ისტორიულ-არქეოლოგიური, ლიტერატურული, იკონოგრაფიული და ეთნოგრაფიული წყაროების გამოყენებით საფუძველი ჩაუყარა ქართული საფეიქრო წარმოების კვლევას (ჯავახიშვილი. 1962; მსხი. 1982).

დიდი შრომაა განეული გიორგი ჩიტაიასა და ავტორთა ჯგუფის¹ მიერ გამოცემულ ხუთტომეულში „მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის“. მასში შეტანილია ათეულობით წლების განმავლობაში თავმოყრილი და დამუშავებული ეთნოგრაფიული მასალა ქართული საოჯახო საფეიქრო მრეწველობის შესახებ. მდიდარი ინფორმაციაა დაცული ხალხური ლეგის, ქსოვილის ნედლეულის დამუშავების, ქსოვის, ქარგვისა და კერვის შესახებ (მსხი. 1982).

არანაკლებ მნიშვნელოვანია სერგი მაკალათიას დამსახურება ქართული ეთნოკულტურის კვლევის საქმეში. მისი ფუნდამენტური გამოცემები დღესაც სახელმძღვანელოს როლს ითავსებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონის კვლევისას (მაკალათია. 1934, 1938, 1983, 1984, 1985).

ფასდაუდებელი შრომა აქვს განეული გიორგი ბოჭორიძეს თუშური ხელსაქმის კვლევაში. მან ველზე შეგროვილი მასალის სისტემატიზაცია, შესწავლა და გაანალი-

1 პაატა გუგუშვილი, ქეთევან ლომთათიძე, მიხეილ გეგეშიძე, კოტე გრიგოლია, ივანე გიგინეიშვილი, ვახტანგ ჯაფარიძე, აკაკი სოხაძე და სხვები.

ზება მოახდინა. თუში ქალები პროფესიონალურად რომ ფლობდნენ ქსოვის ხელოვნებას, კარგად ჩანს მისი ფუნდამენტური ნაშრომიდან „თუშეთი“ (ბოჭორიძე. 1993).

ტრადიციული საფეიქრო საქმის შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანია ქიშვარდ ისაკაძისა და ნანული ნოღაიდელის ღვაწლი, მათ წერილობითი წყაროებისა და ეთნოგრაფიული მასალების შესწავლის საფუძველზე ფუნდამენტური ნაშრომი შექმნეს საფეიქრო საქმის შესახებ (ნოღაიდელი. 2017, ისაკაძე. 1970).

მოცემული საკითხის კვლევაში საყურადღებოა ციალა ყარაულაშვილის ნაშრომები, რომელიც არქეოლოგიური მასალების შეფასებისას აღნიშნავს: „აღმოჩენილი ქსოვილის ნაშთები, ძაფის დასამზადებელი ხელსაწყოები და საქსოვი იარაღები უტყუარი დადასტურებაა იმისა, რომ რთვა და ქსოვა ისტორიულად შორეულ წარსულში, ჯერ კიდევ ნეოლითურ ეპოქაში ჩაისახა (ყარაულაშვილი. 1985).

ქართული შინამრეწველობის ერთ-ერთი, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხია ბუნებრივი საღებრებით ღებვა, რომელსაც შესანიშნავი შრომები მიუძღვნა ღვანლმოსილმა ეთნოგრაფმა ლეილა მოლოდინმა. ექსპედიციებში ყოფნისას მან მოიძია და თავი მოუყარა ღებვისათვის საჭირო ინფორმაციას და სხვადასხვა დროს ცალკეულ სტატიად გამოსცა (მოლოდინი. 2000, 2003-2004).

ქართული ეთნოკულტურის წინაშე დიდია ნანული აზიკურის დამსახურება, რომელმაც დაუღალავი შრომით გვაზიარა ქსოვილთან და მის მიღება-ღებვასთან დაკავშირებული საკითხების სიღრმისეულ ცოდნას (აზიკური. 1999, 2023).

მნიშვნელოვანი ნაშრომებია შექმნილი საერთოდ ორნამენტისა და კერძოდ, ქართული ორნამენტის კვლევის მიმართულებით. ამ მხრივ ღირსეული ადგილი უჭირავს ქართული ეთნოგრაფიის კორიფეებს გიორგი ჩიტაიასა და ვერა ბარდაველიძეს. მათ XX საუკუნის 50-70-იან წლებში საველე-ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების საფუძველზე შეისწავლეს ხევსურული ორნამენტის ფორმა, სახელწოდება, წარმოშობა-გავრცელების არეალი და სიმბოლური მახასიათებლები (ბარდაველიძე, ჩიტაია. 1939).

ქართული ორნამენტის შესწავლაში დიდი წვლილი მიუძღვის ირაკლი სურგულაძეს. მისი შრომების მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ამ საკითხის კვლევას დაეთმო. მათ შორის ერთ-ერთი საყურადღებოა „ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა“ (სურგულაძე. 1986).

საყურადღებოა კიტი მაჩაბლის სამეცნიერო ნაშრომები, რომელშიც მეცნიერი დეტალურად განიხილავს ქვაჯვრებზე დატანილ გეომეტრიულ ნიშან-სიმბოლოთა ფორმასა და მხატვრულ-იდეურ დატვირთვას (მაჩაბელი. 2007, 2008).

საინტერესო გამოკვლევები აქვს ხალიჩა-ფარდაგების შესახებ ირინა კოშოროძეს, რომლებშიც ავტორი ქსოვის ტექნიკის გარდა, მიმოიხილავს ხალიჩურ ნაწარმზე არსებულ ორნამენტურობას (კოშოროძე. 2023).

დიდი მნიშვნელობის მქონეა აჭარის თემაზე შესრულებული ჯემალ ვარშალომძის მონოგრაფია „ორნამენტი ხეზე: აჭარის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით“. მასში ავტორი აჭარული ორნამენტის ტიპისა და გავრცელების არეალთან ერთად ქსოვილის ორნამენტსაც განიხილავს (ვარშალომძე. 1979).

ქართული ორნამენტი ფუნდამენტურადაა შესწავლილი ასევე ნინო აბაკელიას, ნინო ღამბაშიძის, ელდარ ნადირაძის, ლეილა ხუსკივაძის, მარიამ გაბაშვილის, გულიკო კვანტიძის, ნონა ქარციძის, ირინა უგრეხელიძისა (Kartsidze, Ugrehelidze. 2024, 2025) და სხვათა ნაშრომებში.

თავი I. რა ვიხიო! რა ვნახეთ! რა მოვისმინეთ!

რა ვიხიო

ა. შინამრეწველობის ტრადიციები საქართველოში (საქსოვი იარაღები, ტექნიკა, მასალა)

ლია ლურსმანაშვილი

საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია ძველი კულტურის უამრავი ნიმუში: თიხის ჭურჭელი, შრომის იარაღები, უძვირფასესი სამკაულები და სხვა.

საფეიქრო ბოჭკო, როგორი წარმოშობისაც უნდა იყოს იგი, მინისქვეშ ნაკლებად ძლებს, თუმცა, საბედნიეროდ, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილია ქსოვილებისა და ტანსაცმლის პატარ-პატარა ნაშთები, რომლებიც შორეულ დროშია დამზადებული.

ქართული შინამრეწველობის პერიოდიზაციისთვის მნიშვნელოვან დეტალს ასახავს მცხეთა-არმაზის ერისთავების სამაროვანში აღმოჩენილი სარტყლის ბალთაზე გამო-სახულ პირთა სამოსი. დანიშნულებისა და სიმსუბუქის მიხედვით, ბალთაზე გამოსა-ხული ტანსაცმელი დიდი ალბათობით აბრეშუმის ქსოვილისგან უნდა იყოს ნაკერი. ეს მოსაზრება დამაჯერებელია, რადგან ამავე ტერიტორიაზე აბრეშუმის ქსოვილის დიდძალი ნაშთებია აღმოჩენილი.

არქაული პერიოდის პროტოქართველთა საფეიქრო საქმის განხილვისას, უმნიშვნე-ლოვანესია იმის ცოდნა, რომ ძვ. წ. II საუკუნით დათარიღებული ქსოვილის ნაშთი მა-ღალი ნომრის ორწვერად შეგრეხილი და ორფერად შეღებილი მატყლის ნართისგანაა დამზადებული, რაც იმის დამადასტურებელია, რომ ქართველურ ტომებში 1800 წლის წინათაც სცოდნიათ არა მარტო მატყლის ქსოვილის დამზადება, არამედ მისი მოხატ-ვაც.

ბედენში აღმოჩენილი უძველესი ქსოვილის ანაბეჭდი კი ადასტურებს ფაქტს იმის შესახებ, რომ იმ დროისთვის ჩვენს წინაპრებს მარყუჟული ქსოვა უკვე სცოდნიათ. ამავე ტერიტორიაზე აღმოჩენილი მასალებით ირკვევა, რომ ძვ. წ. XIX საუკუნეში, ეფექტური ქსოვილის მიღების მიზნით, მქსოველები ქსელსა და მისაქსელში სხვადას-ხვა ნომრის ნართს იყენებდნენ (ისაკაძე, 1970).

ეთნოგრაფიული მონაცემებით, საქართველოში ამზადებდნენ: სელის, კანაფის, ბამ-ბის, შალისა და აბრეშუმის ქსოვილებს. იქსოვებოდა როგორც სატანსაცმლე ტექსტილი და სამოსის აქსესუარები, ასევე ხალიჩური ნაწარმი. გულმოდგინედ ქსოვდნენ სადა თუ სახიან ხალიჩა-ფარდაგებს, ჯეჯიმებსა თუ ხურჯინებს, საფენებსა თუ ცხენის ალკაზმულობის ნაწილებს, მარტივად ართმევდნენ თავს სატანსაცმლე წვრილმანების დამზადებას, ისეთებს, როგორიცაა ბუზმენტები, ჩაფარიშები, ზონრები, ჩახსაკრავები, უბრალო თოკები და სხვ.

საქართველოს ტერიტორიაზე, სხვადასხვა დროსა და ადგილას მოპოვებული უძვე-ლესი ტექსტილის ნაშთები უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ საფეიქრო საქმე ქვე-ყანაში უხსოვარი დროიდან წარმატებით მიმდინარეობდა.

კვლევის სირთულის თავიდან აცილების მიზნით, სამეცნიერო გუნდმა მეთოდოლო-გიაში ჩართო შედარებითი ანალიზის მეთოდი, რაც გულისხმობს, რომელიმე რეგიონის ტრადიციული და თანამედროვე ხელსაქმის სახეობების გამოწვლილვით მოძიებასა და შესწავლას, სხვა რეგიონებთან შედარების მიზნით. გუნდის გადაწყვეტილებით, შეირჩა თუშეთი.

მიუხედავად დაცარიელებული, ოდესღაც ამაყი და გმირული სოფლებისა, სადაც ხანგრძლივსა და მკაცრ ზამთარში თითო-ოროლა კომლილა თუ აჩალებს კერიას, თუ-შებმა შეინარჩუნეს თავიანთი არსებობის მთავარი წყარო – მეცხვარეობა. სათანადო ნედლეულის სიუხვემ და მისმა მაღალმა ტექნოლოგიურმა ღირებულებებმა, თუშეთი ოდითგანვე საქართველოს მთიელთა შორის დანიშნულ კუთხედ აქცია. საოჯახო

საფეიქრო მრეწველობისა და დეკორატიული მხატვრული თექის წარმოებაში მათი ხელსაქმე ხომ საბაზისოა. ანალოგიურად ამზადებდნენ ქსოვილს მთელ აღმოსავლეთ მთიანეთში, ოდნავი განსხვავებებით, დანარჩენ საქართველოში. თანამედროვე პირობებშიც არ წყვეტენ კავშირს ტრადიციებთან. თუშური წინდების, ჩითებისა და ფარდაგების ქსოვისა და თელვის ხელოვნება დღესაც ცოცხლობს და დიდი მოწონებით სარგებლობს. ამიტომ, მიმოხილვას ვინყვებთ თუშეთით.

თუში ქალები „ჯერ ბანარს დაამზადებენ და მერე ქსოვას შეუდგებიან. საქმე იწყება შემოდგომაზე და თავდება გაზაფხულზე. ღვინობისთვეში არჩევენ მატყლს. გადარჩეულ მატყლს რეცხავენ, გააშრობენ და ისე შეინახავენ. გიორგობისთვეში ჩეჩავენ, ქრისტესშობის თვეში და იანვარში აზდავენ (ართავენ), თებერვალში სძახავენ (გრეხენ), მარტ-აპრილში კი ქსელს ქსოვენ“. საფარდაგე მატყლს ერთხელ ჩეჩავენ, სატოლე მატყლს – ორ-სამჯერ. თუ შელებზე უნდათ, მატყლს ჯერ ერთხელ გაჩეჩავენ, შემდეგ შელებზე და ისევ ორჯერ გაჩეჩენ. ჩეჩავენ საჩეჩელზე ისე, რომ „მატყლის წვერ იმარჯვებ, ძირ იწენებ“ (ბოჭორიძე. 1993).

მატყლის წვერს, გრძელსა და კარგ მატყლს, „წვერმარჯვებს“ ეძახიან, ხოლო რომელიც ძირს რჩება – „კვირტს“. „წვერმარჯვეთი“ ტოლებს ქსოვენ, „კვირტით“ კი ფლასებს, ტომრებს, ხაკებს. „წვერს“ – კარგ მატყლს, მეორედ ისევ დაჩეჩავენ და „დაახერეველებენ“. „ხერეულს“ თითისტარზე აზდავენ (ართავენ). თითისტარზე გაზდვიდან გამოვა „წვერი“, ორი ან სამი „წვერის“ შენაერთი არის „ლოლი“. თითისტარზე გაზდულ ბანარს ეწოდება „ნაზდი“.

„ჯარანზე დასძახავენ“ ერთ ნაზდს ნაღმა, მეორეს უკულმა. პირველს ჰქვია „ნალმართაი“, მეორეს – „უკულმართაი“. „დაძახულ“ ბანარს ამოახვევენ „დულუკად“ (გორგალი). ერთი დულუკი მაგრადაა „ნაძახი“ და იხმარება „თხორად“, „საქსელედ“, მეორე „ფონაა“ (ფომფლე) და იხმარება „ხინდედ“ – „ჩასაყარად“ ან „საქსოვად“ (ზედად). სატოლე, საფლასე და სახურჯინე ბანარი ჩვეულებრივ ორწვერია, საჩითე და სანინდე – სამწვერი. თუ „ნაზდი“ უნდათ, რომ შელებონ, მაშინ მას „დაშიტავენ“ და ისე ჩადებენ საღებავში. შიტეს ღებავენ როგორც ფლასის, ისე წინდისათვის (ბოჭორიძე. 1993).

საქართველოში უმთავრესად გავრცელებული იყო ორი ადგილობრივი ჯიშის ცხვარი: თუშური და იმერული. გავრცელების არეალისა და რაოდენობის მხრივ გაბატონებული ადგილი თუშურს ეჭირა (Рчеулишвили. 1953).

მატყლი არის ცხვრისა და ბატკნის. ცხვრისას უწოდებენ „მატყლს“, ბატკნისას კი „კრაველს“. მატყლი არის ასევე შემოდგომისა და გაზაფხულის. ცხვრის მატყლი სხვადასხვა ხარისხისაა. კერძოდ: 1. „გრძლოანი“ მატყლი შემოდგომისაა. ბუნებით: გრძელი, მძიმე, მსხვილი, მაგარი, უხეში და მოუდრეკავია. ამას კარგ მატყლად თვლიან, ბარაქიანია და გამოსავალიც მეტი აქვს. 2. „ბუდიანი“ მატყლი, იგივე „თირთიკი“ (თივთიკი), „რისვი“, გაზაფხულზე იკრიჭება. იგი მოკლე, ხშირი, რბილი და ნაზია, შედარებით მსუბუქი. 3. „კეჭევლა“ მატყლი, ანუ „ფამფარა“ მატყლიც შემოდგომისაა – გრძელი, მქისე და თხელი.

ბატკნის მატყლიც სამი ხარისხისაა: 1. „გრძლოანი“; 2. „კეჭევლაი“; 3. „ხუჭუჭაი“. „გრძლოანი“ და „ბუდიანი“ მატყლს არჩევენ ქსლისათვის, „კეჭევლას“ იყენებენ ჩითების მოსაქსოვად, ხოლო „ხუჭუჭაის“ ქუდებისათვის (ბოჭორიძე. 1993).

მატყლის საჩეჩი მოწყობილობა (ტაბ. I. სურ. 1). უხსოვარ დროს სართავ-საგრეხი იარაღის შექმნა უდიდესი მოვლენა იყო საფეიქრო მასალათა გადამუშავებისათვის, თუმცა მისი გამოყენება ხელით გაჩეჩილი ბოჭკოების დასართავად დიდ სირთულეს წარმოადგენდა. საჭირო იყო სართავი ფრთილის დამამზადებელი ისეთი ხელსაწყო შექმნა, რომელიც უზრუნველყოფდა მრთველის შრომის ნაყოფიერების გაზრდას და ამავე დროს უმთავრესის, თანაბარი ნორმის ნართის მიღებას. ჩვენმა წინაპრებმა ეს ამოცანაც წარმატებით გადაჭრეს და სართავ მოწყობილობას მალე შემატეს **საჩეჩელი**, რომელიც წარმოადგენს საყრდენ ზედაპირს, რომელზეც დამაგრებულია მაგარი ჯიშის ხის ან ლითონის „კბილების“ ერთი მწკრივი. დროთა განმავლობაში საჩეჩელი გაუმჯობესდა და კბილების ერთ მწკრივს მეორეც დაუმატეს, რამაც საგრძნობლად აამაღლა მჩეჩავის შრომის ნაყოფიერება და გააუმჯობესა სართავი ფრთილის ხარისხი. საჩეჩელს სიმაგრისა და მოხერხებულობისათვის სხვადასხვა ფორმის საყრდენს უკეთებდნენ (ლურსმანაშვილი. 2005).

ეთნოგრაფიული მასალების შესწავლისას, საჩეჩელი გარეგნული იერით თითქმის ყველა კუთხეში ერთნაირია. თუმცა, ჩეჩვის პროცესი და საჩეჩლის შემადგენელი ნაწილების ტერმინოლოგია განსხვავდება ერთმანეთისგან.

სართავი თითისტარი. მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ ადამიანი თავდაპირველად დართვას ხელით აწარმოებდა ყოველგვარი მექანიკური იარაღის გარეშე. ამ მეთოდს ორი უარყოფითი მხარე ჰქონდა: ნართის საკმაოდ დიდი უთანაბრობა და შრომის დაბალი ნაყოფიერება. ალბათ, ეს იყო მიზეზი თითისტარის გამოგონებისა. თითისტარი წარმოადგენს თავსა და ბოლოში წვერნამახულ ჩხირს, რომლითაც ძაფს ართავენ. კუსტარული თითისტარით რთვის პროცესი სამი ძირითადი მომენტისაგან შედგება – პარალელურად განლაგებულ ბოჭკოთა გამოწევა, მათი ურთიერთშეგრეხა და მზა ნართის თითისტარზე დახვევა. იგი იმდენად სრულყოფილია, რომ თანამედროვე სართავ მანქანებშიც იგივე რჩება (ისაკაძე. 1970).

ბედენში არქეოლოგიური გათხრების შედეგად უძველესი ქსოვილისა და ნართის ნაშთებთან ერთად ნაპოვნია სართავი ტექნიკაც – თითისტარი და 2 კვირისტავი, რომლებიც რთვის საიდუმლოების დიდებული მცოდნის მიერაა დამზადებული. 4 000 წლის წინანდელი თითისტარი ისეა გათლილი, რომ ყველა წერტილშია დაცული რადიუსის სიგრძის სიზუსტე, რაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა ხანგრძლივი ბრუნვისათვის. რადიუსის სიგრძის სიზუსტე ახასიათებს კვირისტავეებსაც, რომელთაგანაც ერთი მძიმეა და მეორე საგრძნობლად მსუბუქი. როგორც ჩანს, მრთველი მძიმე კვირისტავს რთვის დაწყებისას იყენებდა, მსუბუქს კი თითისტარზე ნართის საკმაოდ რაოდენობით დახვევის შემდეგ, რაც უზრუნველყოფდა ერთნაირი სიჩქარით თითისტარის ხანგრძლივ ბრუნვას, ნართის მაქსიმალურად თანაბარ გრეხას და ხვიის ჩამოშლელობას. ბედენში აღმოჩენილი თითისტარისა და კვირისტავეების ნიმუშები გარეგნული ფორმის, ზომისა და მასალის მიხედვით ზუსტად ემთხვევა უახლესი დროის ქართველ მრთველთა ინვენტარს, რაც საფუძველს გვაძლევს, დავასკვნათ, რომ რთვის ეს ტექნიკა უხსოვარ დროსაა შექმნილი. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თანამედროვე სართავი მანქანის თითისტარი, კვირისტავიანი თითისტარის უძველესი სახეობის ანალოგიურია (ისაკაძე. 1970).

ეთნოგრაფიული მასალების ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რთვის იარაღების სახეობები საქართველოში უხსოვარი დროიდანვე შეიქმნა.

ჯარა ნართის საგრეხი მოწყობილობაა, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში იყო გავრცელებული. თუშეთში ნაზდის (ნართის) საძახ (საგრეხ) მოწყობილობას ხის ჯარანი წარმოადგენდა, რომელიც სამი სახისა იყო: **ა.** თბეებიანი (ფრთიანი) ჯარანი; **ბ.** ბორბლიან-ფერსოიანი ჯარანი; **გ.** „მირგველა“ (მრგვალი) ჯარანი (ტაბ. I. სურ. 2).

პირიქითა ხევესურეთში გავრცელებული ჯარა შედგებოდა საკუთრივ ჯარისა და ჯარატარებისაგან. ფშავში ძაფდართულ ტარებს ჯარაზე ძახავენ და თხორად ახვევენ (ნართი). ჯარას ასევე იყენებდნენ ქიზიყსა და იმერეთში (მსხი. 1982).

საქსოვი დაზგები. როგორც არქეოლოგიური, ისე ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ცხადად ჩანს, რომ საქართველოში გავრცელებული ყოფილა ორი ტიპის საქსოვი მოწყობილობა: ვერტიკალური საქსოვი დაზგა, ანუ ბეჭსამევრიანი საქსოვი ყდები და ჰორიზონტალური, ანუ დგიმ-სავარცხლიანი საქსოვი მოწყობილობა (ტაბ. I. სურ. 3).

ჰორიზონტალურ საქსოვ დაზგებზე ტანსაცმლისთვის განკუთვნილი მასალა (შალი, ბამბა, სელი, აბრეშუმი) იქსოვებოდა. ვერტიკალურ დაზგებზე კი ქსოვდნენ როგორც შალს – ტოლს (სოლურა, ნალმართა, ორმაგულა, შეყრა, ცალპირა, სადიაცო, ქისტურა, საიმრიგო, საკაცო, სამემცხვარეო – თუშეთი; ორშიანი, ცალპირა – ხევესურეთი, ფშავი), ისე ხალიჩებს, ფარდაგებს, ჯეჯიმებს, ხურჯინს, საფენებს, ხაკს და სხვა.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვანაირი საქსოვი დაზგები იყო გავრცელებული. თუმცა, ზოგიერთ კუთხეში, ორივე ტიპის საქსოვი დაზგა თანაარსებობდა. საქართველოს მთიანეთში ძირითადად ვერტიკალური საქსოვი დაზგა გამოიყენებოდა, ბარში კი ჰორიზონტალური. ეს ორი დაზგა კონსტრუქციით მკვეთრად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან.

ვერტიკალური საქსოვი დაზგა გავრცელებული იყო თუშეთში, ფშავსა და ხევესურეთში. თუშეთში მას „აკაზმას“ უწოდებდნენ, დანარჩენ მთიანეთში კი „ყდანის“ სახელითაა ცნობილი. ტოლს ქსოვენ დაახლოებით 7-8 მეტრს. დღეში კარგი მქსოველი ქალი ორ მეტრ ტოლს ქსოვს.

დგიმ-სავარცხლიანი საქსოვი დაზგა ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ამ ტიპის დაზგას კახეთში, ქართლში, იმერეთში „საფეიქროს“ უწოდებდნენ, გურიაში „სამექსლობოს“, სამეგრელოში – „ოშუალეს“, სვანეთში – „ლაჯშარს“, ზემო რაჭაში „ქსელს“, აჭარაში „ქსელსა“ და „საფრექოს“. ამ დაზგაზე იქსოვე-

ბოდა არა მარტო შალის, არამედ აბრეშუმის, სელისა და ბამბის ქსოვილებიც. განსხვავდებოდა მხოლოდ ამ ქსოვილებისთვის განკუთვნილი სავარცხლის სახეები. ყველაზე წმინდა სავარცხელი აბრეშუმის ქსოვილის მოსაქსოვად იხმარებოდა. ჰორიზონტალური საქსოვი დაზგა საქართველოში საქსოვი დაზგის უძველეს ტიპადაა მიჩნეული.

ფირფიტებით ქსოვა. საქსოვი ფირფიტები იყო ოთხკუთხა ფორმის, დაახლოებით 4-5 სანტიმეტრი სიდიდის. კუთხეებში თითო ნახვრეტი ჰქონდა, რომლებშიც ქსელის ძაფები გადიოდა. მზადდებოდა ხისგან, ირმის ან კვიცის ტყავისგან. დამონმებულია ასევე, მუყაოსგან გამოჭრილი ფირფიტები (ტაბ. I. სურ. 4).

ფირფიტების რაოდენობა დამოკიდებული იყო მოსაქსოვი ნივთის სახეობაზე. მაგალითად, 18 წყვილი ფირფიტა სჭირდებოდა ჩახსაკრავს, 15 წყვილი კი ტოლალის საქსოვად იყო განსაზღვრული.

ჩახსაკრავებს ფირფიტებს გარდა, ქსოვდნენ ხის **ორკაპა ჯოხზე**, რომელშიც გაბმულ ძაფზე წვრილი პატარა ჯოხით ამოჰყავდათ სახეები. ამგვარი ქსოვა ჯეჯიმის ქსოვის პრინციპზე იყო დამყარებული. მოხვევები მაგალითად, ფირფიტებს გარდა ჩახსაკრავების ქსოვისას რკინის კავს იყენებდნენ. ორკაპა ჯოხებზე ქსოვდნენ ასევე არშიებს ქვემო ქართლსა და ხევში.

ჩახსაკრავის ქსოვას სამი მქსოველი სჭირდებოდა. ერთი შუაში იჯდა და ფირფიტებს ატრიალებდა, თითო კი თავსა და ბოლოში საზედაო ძაფს განაგებდა და ამავდროულად ხის დაშნით ბეჭავდა. საზედაო ძაფი მცირე ზომის ფირფიტაზე იყო დახვეული (ტაბ. I. სურ. 5).

იცოდნენ ასევე ყდებზე ქსოვა. ხის ყდები სხვადასხვაგვარი არსებობდა. მაგალითად, ხონჯარს საგანგებო მარტივ ყდაზე ქსოვდნენ. ეს იყო ხის ჩარჩო, რომლის სიგრძეზე მდგარ ხეებს ყდები ანუ ამჟოლი ხიდები ენოდებოდა, ხოლო თავსა და ბოლოში გაყრილთ – საბეჭავი ხიდები. ზედა საბეჭავი ხიდი მოძრავი იყო. იგი ამჟოლ ხიდებში ხის ჩხირებით მაგრდებოდა საგანგებოდ გაკეთებულ ნახვრეტებში. ხონჯრის ქსოვისთვის დაახლოებით 15-20 ცალი ჩხირი იყო საჭირო.

ნაქსოვი ნივთებიდან საინტერესო და მარტივი წესით იქსოვება ყაითანი. მას საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ქსოვდნენ მცირეოდენი განსხვავებებით. საინტერესო ისაა, რომ ყაითანი იქსოვებოდა კოჭებით. ქსოვდნენ ბზით სავსე გუდაზე ან ტიკზე, ზოგჯერ მუთაქაზე. აღნიშნულ კოჭებზე ახვევდნენ საქსოვ ძაფს, რომლის ბოლოზე მიმაგრებული იყო ძაფდახვეული პატარა კავი იმისთვის, რომ ქსოვის პროცესში ძაფი არ ჩამოშლილიყო. ყაითნის ქსოვისას ერთი მხრიდან ნაპირის ორ კოჭს აიღებდნენ, ერთს შუაში ჩაადებდნენ, მეორეს კი ბოლოში. მეორე ოპერაცია მოპირდაპირე მხრიდან იწყებოდა და ანალოგიური წესით სრულდებოდა. ერთი ან ორი მტკაველი რომ მოიქსოვებოდა, მოქსოვილს ზემოთ აკეცავდნენ და კოჭიდან ძაფს გამოუშვებდნენ.

საინტერესოა თითებით ქსოვის წესი. თითებით ქსოვდნენ სხვადასხვა სახის ზონრებს. ერთი მქსოველის თითიდან მეორისაზე დაიქსელებოდა ძაფი რამდენიმე ქსელად. მისაქსელის ფუნქციას გარკვეულწილად მეორე ხელის ორი თითი ასრულებდა, ხოლო შუა თითით ძაფის ქვეშიდან ახალი თვალი ამოჰყავდათ. ამგვარი მოქმედებით იქსოვებოდა ყაითანი. სამწვერა ძაფით ქსოვდნენ მრგვალ ყაითანს, ხოლო ოთხწვერა და ექვსწვერატი – ბრტყელს.

სამწუხაროდ, ჩვენ მიერ განხილული ტრადიციული ქსოვის წესები, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მეტ-ნაკლები ვარიაციებით იყო გავრცელებული, თითქმის აღარ გვხვდება (გამონაკლისია თუშეთი და ზემო აჭარა). სასურველი იქნება, თუკი წარსულში დარჩენილი ქართული საფეიქრო ტრადიცია კვლავ აღორძინდება და მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს თანამედროვე ყოფაში.

ჩხირებით ქსოვა ხალხური ქსოვის ერთ-ერთი სახეობაა. იგი ფართოდ იყო და არის გავრცელებული საქართველოს, კავკასიის, ევროპისა და აზიის ხალხთა ყოფაში. მსოფლიოში ჩხირებით ნაქსოვის უძველესი ნიმუში ნაპოვნია საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლზე, სტეფანწმინდაში, „ყაზბეგის განძთან“ ერთად (ძვ. წ. VI-V სს.).

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, საქართველოში ჩხირებით იქსოვებოდა ძირითადად კოსტიუმის ელემენტები: ფეხსამოსი (წინდა-პაიჭი), თათები, ძირგამოკერებული ჩითები, თათმანი, ფაჩუჩი, მესი. ხელთათმანი, ქუდი, თავშალი, მხრის შალი, შარვალი, პალტო, კერესი, ხალათი, ჩიხორა (ბოლოკაბა), ქისა და სხვა (ყარაულაშვილი. 1985). ჩხირებით ნაქსოვი საოჯახო დანიშნულების ნივთებიდან მესხეთ-ჯავახეთში დამონმებულია დეკორატიული სუფრა და მცირე ზომის ხურჯინი, საინგილოში კი „ბანდები“ (ქვაბის გადმოსაღები).

დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, აფხაზეთში ფართოდ ყოფილა გავრცელებული ჩხირებითა და ყაისნალით ნაქსოვი დეკორატიული სუფრებისა და კედელზე ჩამოსაკიდებელი ფარდაგის ტიპის – „გადმოსაკიდებლების“ ქსოვა. ყაისნალით ნაქსოვი დეკორატიული სუფრები და ფარდაგის ტიპის „გადმოსაკიდებლები“ საქართველოს კუთხეებიდან დასტურდება აგრეთვე კახეთსა და მესხეთ-ჯავახეთში.

ნაქსოვი წარმოადგენს მარყუჟული თვლების რიგს, რომელიც წარმოქმნილია ერთი უწყვეტი ძაფისაგან. ყოველი მომდევნო რიგი მარყუჟების საშუალებით უკავშირდება წინას. თვლები ერთმანეთთან განსაზღვრული კანონზომიერებითაა გადახლართული, რითაც შექმნილია თვლების რიგი როგორც ჰორიზონტალურად, ისე ვერტიკალურად. ჩხირებით ქსოვის დროს საქსოვ მასალად ძირითადად მატყლი იყო გამოყენებული. იყენებდნენ თივთიკს, აბრეშუმსა და ბამბასაც. ნაქსოვზე სახეების გამოყვანის მიზნით ზოგჯერ ოქროსა და ვერცხლის ძაფსაც ხმარობდნენ. მატყლის ნართით (კახეთში „ბაწარი“, „ლაზლი“ – ქართლსა და აჭარაში, „ნასთი“ – ხევში) ქსოვდნენ როგორც დაბალ, ისე მაღალყელიან წინდებს, პაჭიჭებს, ფეხსაცმელებს – თათებს, ჩითებს, ქუდებს, შარვალს, ზედატანს, მხრის შალებს, თავშეფარსა და სხვა. ხოლო აბრეშუმის, ყაჭისა და ბამბის ძაფისაგან მაღალყელიანი წინდები, პაჭიჭები (პაჭიჭები), ხელთათმანები, ქისა და თავსაფარი იქსოვებოდა.

საქსოვი ძაფის დამზადებისას ნართის ხარისხს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ამიტომ მის დამუშავებას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ. ზომაზე მეტად დაგრეხილი ნართი ჩხირებით ქსოვისას კიდევე უფრო იგრძნობოდა და ქსოვილიც უხეში, „ხმელი“ გამოდიოდა.

„წინდური“ წესით ქსოვისას იყენებდნენ 2 ან 5 ჩხირს. საქსოვი ჩხირები ორნაირი იყო: „წინდის ჩხირები“ და „შალის ჩხირები“. წინდის ჩხირებით ქსოვისას ხუთ ჩხირს იყენებდნენ, ხოლო შალის ჩხირებით ქსოვისას – ორს. წინდის საქსოვად ხის ჩხირებსაც იყენებდნენ, რომელსაც შინდის, თხილისა და ურთხელის ხისგან ამზადებდნენ. აბრეშუმისა და ბამბის ძაფით ქსოვისას წმინდა ჩხირებს ხმარობდნენ, ხოლო მატყლის ნართისათვის შედარებით მსხვილს.

ჩხირებით ქსოვისას ნაქსოვზე სხვადასხვა სახის მიღებას ორი წესით ახდენდნენ: ა) სხვადასხვა ფერის გამოყენებით და ბ) სადა ფერებით, ქსოვის სხვადასხვა წესის გამოყენებით.

ცალმაგი და ორმაგი ქსოვისას სახეები ფერადი ძაფების ჩაქსოვით მიიღება. ამ წესს დაჭრელებას უწოდებენ. ცალმაგ ანუ ცალპირ ნაქსოვს ერთი ბაწრით ნაქსოვს ეძახიან (თუშური წინდა, პაჭი, ჩითები, ქურო), თუმცა ქსოვა რამდენიმე ფერით ხდებოდა. ორმაგი ქსოვისას თითოეული თვალის ქსოვა ორი ძაფით მიმდინარეობდა. ორმაგ ნაქსოვს „ნაშატი“, „დაშატული“ (ხევსურეთი), „ხვეული“ (კახეთი) ეწოდებოდა, ხოლო ალაგ-ალაგ ორმაგ ნაქსოვს – „ნაცვალნაშატი“, „ამაცვლილა“ (ხევსურეთი), „ყაილიანი“ (მესხეთ-ჯავახეთი) ეწოდებოდა (ყარაულაშვილი. 1985).

ორმაგად ძირითადად ფერადი ძაფებით ქსოვდნენ (კახეთი, ქართლი, ხევსურეთი, მესხეთი, აჭარა). რაც მეტ ფერს იყენებდნენ, მით უფრო რთულად საქსოვი იყო. მრავალფერი ძაფით ნაქსოვი წინდა საუკეთესოდ ითვლებოდა (ხევსურული თათები, წინდები, საქალო პაჭიჭები, ხელთათმანები). თუმცა, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ცალპირად ნაქსოვი თუშური წინდა და ჩითები უფრო ნაზი და ლამაზი იყო.

ორმაგი ანუ ხვეული ქსოვის წესით შესრულებული წინდები უფრო სქელი და თბილი გამოდიოდა. ამის გამო ბარში მას მხოლოდ ზამთარში ხმარობდნენ, ცალ პირს კი ზაფხულში. წინდაში მარტივი სახეები გამოჰყავდათ, როგორიცაა ისრისპირული, ცხრილის გული და სხვა.

ჭრელი წინდები სახის განლაგების მიხედვით ორ ჯგუფად იყოფოდა: „გულსავსე“ და „თარგმეცვლილი“. გულსავსე მთლიანად ერთფერი ნაქსოვი იყო და მასში სახეები გარკვეული რიგით იყო განლაგებული. ამგვარ წინდას თუ ალაგი შავი ჰქონდა, „შავალაგის“ ეძახდნენ. ფერადი ძაფით შიგ ფოთოლი, ყვავილი ან სხვა სახეები იყო ჩაქსოვილი. ალაგი შეიძლება თეთრი, ლურჯი და სხვა ფერისა ყოფილიყო, ოღონდ სახის ფერები აუცილებლად მასთან უნდა ყოფილიყო შესამებული (ყარაულაშვილი. 1985).

თარგმეცვლილი ისეთ წინდას ეწოდებოდა, რომლის თითოეული ზოლი სხვადასხვა ფერისა იყო, ხოლო შიგ მოთავსებული სახეები შეიძლებოდა ერთნაირი ან სხვადასხვაც ყოფილიყო. ზოგჯერ ზოლებს შუა პატარ-პატარა ხაზები დაუყვებოდა, რომელთა შუა კი სხვადასხვა სახე იყო ჩაქსოვილი. მაგალითად: ხერხისპირულა, წვრილყვავილა და სხვა.

ზოგ წინდაში ოთხნაირ სახეს ჩააქსოვდნენ სხვადასხვა ფერის ნართით. წინდის სახედ იყენებდნენ ცხოველთა და მცენარეთა სტილიზებულ ფორმებს – „ალვიხეული“ სხვადასხვა ყვავილი, „ჩიტითვალა“, „თევზიფხური“, „მანიანი სახე“, „ფარდაგის სახე“...

მაღალყელიანი წინდა იქსოვებოდა მატყლის, აბრეშუმის, ყაჭისა და ბამბის ძაფით. მას ყელიდან ქსოვდნენ, ძირითადად სადა, წალმა ნაქსოვით. მხოლოდ ყელის ბოლოს ერთი თითის დადებაზე რეზინული ნაქსოვით ამთავრებდნენ. ყელს ზოგჯერ სახეებითაც ამკობდნენ.

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ირკვევა, რომ წინდის ჩხირებით ან ყაისნალით ფეხსაცმელსაც ქსოვდნენ. თუშეთში მას **ჩითებს**, ხოლო ხევსურეთში **თათებს** უწოდებდნენ.

ჩითებს იცვამდა ქალიცა და კაციც. საკაცო ჩითებს სამამაცო, ხოლო საქალოს სადიაცოს უწოდებდნენ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წინდის ჩხირებით ნაქსოვი თუშური ჩითები ყველა ცალპირა ნაქსოვია. ჩითები იქსოვებოდა დაბალყელიანიც და მაღალყელიანიც. საკაცო შედარებით სადაა, დაბალი ყელით. სადიაცო კი მაღალყელიანიცაა და დაბალყელიანიც. იგი რბილი და თბილი ფეხსაცმელია და მშრალ და მოყინულ ნიადაგზე კარგი სატარებელია, ნამსა და ტალახში კი სველდება და უვარგისია. ძლებს 2-3 თვეს. შემდეგ ძირებს უცვლიან და აახლებენ. წყვილის მოქსოვას უნდებიან 3-4 დღეს. საკაცო და სადიაცო ჩითები ერთნაირად იქსოვება. მოყვანილობაც ერთი აქვთ. არის მხოლოდ ერთი სადიაცო, რომელსაც ყელი მაღალი აქვს, დანარჩენი, სადიაცოც და საკაცოც, ყველა დაბალყელიანია. ჩითებს აქვს ერთმანეთისგან განსხვავებული ნაჭრელები. საკაცო ჩითები შედარებით სადაა, სადიაცო – ჭრელი. ახასიათებთ ნაჭრელის სირთულე და ბრტყელი გეომეტრიულფიგურიანი ზოლები. ჩითების სახეებია: „თვალი“, „გვერდმდებულა“, „ალვის ხე“, „მიხი“, „ჭირკვენი“, „ჩიტისთვალა“, „ცუტუნა ჭიაი“, „ნაფოტაი“, „ბოძი“, „თვალი“, „კაჭკაჭაი“, „ჯვარი“, „ნიგნურაი“ და სხვა.

ხევსურულ თათებს მუქი ფერის მატყლის ძაფებით ქსოვენ და სხვა ფერის ძაფებით დაშატავენ. ასეთს „შიზიან თათს“ უწოდებენ. თათის ორნამენტებია: „მასკვლავიანი“, „ჭრელი“, „თავნახარა“, „ლიჩაბახური“, „კაჭკაჭა“ და სხვა.

ცალპირა ნაქსოვი ჩითები უფრო ლამაზი ორნამენტებით იყო გაფორმებული, ვიდრე ხევსურული, თუმცა ორმაგად ნაქსოვი, ე.წ. „დაშატული“ ხევსურული ფეხსამოს ფეხსაცმელი (თათი, პაიჭი, წინდა) უფრო მეტად გამძლე იყო.

პაიჭი – პაიჭი ქართული ეროვნული კოსტიუმის ერთ-ერთი ელემენტია, რომელიც წვივის საფარს წარმოადგენდა კოჭიდან მუხლამდე. გავრცელებული იყო საქართველოს ყველა კუთხეში. ბარში (კახეთი, ქართლი, იმერეთი, მესხეთი). მას მამაკაცები ხმარობდნენ, ხოლო მთაში (ხევსურეთი, ფშავი, რაჭა, ლეჩხუმი, სვანეთი, აჭარა) ქალიცა და კაციც. იქსოვებოდა სახიანი ან უსახო პაიჭები. სახეები გამოჰყავდათ სხვადასხვა წესით: წალმა-უკულმა ქსოვით, ფერადი ძაფების მონაცვლეობით, ცალმაგი ან ორმაგი ქსოვით და მოქსოვილ ან შეკერილ პაიჭზე ქარგვით. აღსანიშნავია, რომ ნაქსოვი პაიჭების გარდა ამზადებდნენ მატყლის, აბრეშუმის, ბამბისა და ტყავის მასალისგანაც (თუშეთი, ხევსურეთი, ფშავი, ქსნის ხეობა, რაჭა, ლეჩხუმი, სვანეთი, გურია, აჭარა). „პაიჭის ანუ პაიჭს, ჰკერავენ ტოლისაგან. ის კოჭიდან მუხლამდე მოდის. იკრავენ მუხლს ქვევით „წვივსაკრავით“, ე. ი. დაგრეხილი ბანრით“ (ბოჭორიძე. 1993).

ზოგიერთ კუთხეში (ხევსურეთი, აჭარა) ნაქსოვ პაიჭებს ქალები ატარებდნენ, შალისგან შეკერილს კი მამაკაცები. ხევსურული პაიჭის ორნამენტებია: „დაკაკაულა“, „ბორჯღლიანი ჩიტი“, „ხატის-ხატნი“, „ხატის კვერილა“, „თავნახარა“, „მარტულელა“, „კვერილას ნაჭრელა“, „ჭრელა“, „კეხა“, „ვარსკვლავი“, „ფოთოლა“, „ჯვარქიანი მარტულელა“ და სხვა (ბარდაველიძე, ჩიტაია. 1939).

„საბარკულია, ანუ ბარკულია, ანუ სამუხლე პაიჭის მაგიერი იყო უწინ. იგი კოჭიდან „ბარძახებამდე“ მოდიოდა (მუხლს ოდნავ სცილდებოდა მაღლა), წინდის ყელივით იყო. ქსოვდნენ ცხემლებით კვირტის ბანრისაგან. ფერად იყო: თეთრი, ლეგა და სხვა ფერიც“ (ბოჭორიძე. 1993).

ფარდაგს მატყლისგან დამზადებულ მხატვრულ ქსოვილთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ესთეტიკურის გარდა, მას უტილიტარული მნიშვნელობაც გააჩნია. ფარდაგების ქსოვა მთელი საქართველოს მასშტაბით ფართოდ იყო გავრცელებული, თუმცა, ფარდაგების ორიგინალობისა და მრავალფეროვნების გამო, გამორჩეულია თუშეთი. თუშური ფარდაგები – ფლასები და საგორავები ქსოვის ტექნიკის მიხედვით სამ კლასად იყოფა: 1. ჭვირის ტექნიკით შესრულებული (XIX საუკუნის 70-იან წლებამდე), იღებებოდა მცენარეული საღებავებით, დამახასიათებელია გეომე-

ტრიული და ნაწილობრივ ანთროპომორფული ორნამენტი. 2. ანილინის საღებავების გამოყენებამ ნახატი უფრო ფერადოვანი და ჭრელი გახადა. ტრადიციულ შავ-თეთრ და მუქ ფერებს ემატება ახალი, საპირისპირო ტონები, სტილი იგივეა (XIX-XX საუკუნეების მიჯნა). 3. ახალი (XX საუკუნის 20-60-იანი წლები) – გადადიან სახიანი ფარდაგების ქსოვაზე. სტილი იცვლება, იცვლება ტექნიკაც. 4. XX საუკუნის 70-80-იანი წლები. თანამედროვე ფარდაგების ქსოვაში ჩნდება ტრადიციული ნიმუშების მიბაძვის ტენდენცია. ძველებური თუშური ფარდაგისთვის დამახასიათებელია შავ-თეთრი ფერები. გვხვდება ინდიგოსა და ენდროს ფერები. ახალ ფარდაგებში კი ბარისთვის დამახასიათებელი ფერადოვნება გვაქვს. ორნამენტი ძირითადად გეომეტრიულია, გვხვდება ანთროპომორფულიც, ბარის ფარდაგებისთვის დამახასიათებელია მუქი შინდისფერისა და წითელი ფერის დიდი რაოდენობით გამოყენება. გავრცელებულია გეომეტრიული ორნამენტი მცენარეული მოტივებით (აზიკური. 1999; კოშორიძე. 1986).

ამრიგად, ტრადიციული ქსოვა ქართულ ხელოსნობასა და შინამრეწველობის სფეროში ერთ-ერთ გამორჩეულ ადგილს იკავებს. ჩვენი ამოცანაა, არ დავუკარგოთ შთამომავლობას მატერიალური კულტურის ეს შესანიშნავი ტრადიცია და ავალორძინოთ იგი თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად.

ნაბდის თელვა ერთ-ერთი უძველესი საქმიანობაა მატყლის დამუშავებაში. საქართველოში მატყლს თელავდნენ თუშეთში, ფშავში, ხევში, ქართლსა და კახეთში, ჯავახეთში, იმერეთში, ზემო რაჭაში, სვანეთსა და სამეგრელოში. თუშეთში მოთელილ ნაწარმს ნაბადს უწოდებდნენ. ითელებოდა ჭავლიანი და უჭავლო ნაბდები. დანიშნულების მიხედვით ნაბადი იყო: „საალაჩოყეი“, „სათექაე ნაბადი“, „სახურავა ნაბადი“, „ფეხთქვეშაშლელი ნაბადი“, „მეხის ნაბადი“, „საქუდე ნაბადი“ (თუშური და სვანური ქუდები), „საქევენე ნაბადი“, „სათიქალთოე ნაბადი“, „მხრიანი ნაბადი“, „სახიანი (დეკორატიული) ნაბადი“ (სახეებს მათი ფორმა, დანიშნულება და ორნამენტი ქმნის). ტექნოლოგიურად ყველა ნაბადი ერთნაირად ითელებოდა (აზიკური. 1999).

ბ. ტრადიციული ფერები

ლია ლურსმანაშვილი, გულნარა კვანტიძე

ფერთა შეხამების შერჩევა, რომელიც ჰარმონიზდება ინდივიდუალური მომხმარებლის გარეგნულ სახესთან, წარმოადგენს რთულ და მნიშვნელოვან საკითხს და ეფუძნება ფერთა მხედველობითი აღქმის კანონზომიერებებს. ჰარმონიზაცია არის შეთანხმება და თანამიმდევრობა ფერთა შეხამებაში. იგი წარმოიქმნება ფერთა შეპირისპირების ან მათი კონტრასტულობის საფუძველზე. ფერთა ჰარმონია მჭიდროდაა დაკავშირებული როგორც კოსტიუმის, ასევე მისი ელემენტების ფორმასა და დანიშნულებასთან. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფერთა აზრობრივ და სიმბოლურ დატვირთვას. ამას ადასტურებს ფერთა ისტორიული სიმბოლიკაც.

ფერთა სიმბოლიკას გასულ საუკუნეებში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ძველად ფერის მიხედვით განასხვავებდნენ ყოველდღიურ, სადღესასწაულო და სარიტუალო სამოსს. მაგალითად, ქართველი მეფე ახალ წელს ყვითელი ყაბარჩით იმოსებოდა [ხელმწიფის კარის გარიგება], ყვითელი კი ჩინეთში საიმპერატორო ფერად მიიჩნეოდა. წითელ და ლურჯ სამოსს მეომრები ატარებდნენ. თალხ ფერებს სოციალურად დაბალი წოდებრივი ფენა იცვამდა. უძველესი ცივილიზაციის ხალხებში (მაგალითად, ეტრუსკებში) შავი, წითელი და თეთრი გლოვის აღმნიშვნელი ფერები იყო, როგორც ეს ბოლო დრომდე შემორჩა ხევსურულ ყოფას. ამავედროულად კი იმავე ფერებით (შავი, წითელი, თეთრი) შეკერილი სამოსით სადღესასწაულო, ოფიციალურ და საზეიმო შეხვედრების დროს იმოსებოდნენ მონარქები და სხვა დანიშნულებული პირები. თეთრი სადღესასწაულო, საქორწილო ფერია. ძველად და ახლაც პატარძლის ჩაცმულობაში თოვლივით თეთრი ფერი უმნიშვნელობის, სინაზისა და სიმინდის სიმბოლოა. საკითხის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ქართველთა ჩაცმულობაში სამი ძირითადი ფერი დომინირებს: თეთრი, წითელი და შავი. ცნობილია აგრეთვე ისიც, რომ ქართული ფოლკლორი სწორედ აღნიშნული ფერებითაა გაჯერებული და თითოეულ მათგანს თავისი მნიშვნელობა და სიმბოლური დატვირთვა გააჩნია. ქართველ ეთნოსთა ამ ფერებისკენ ლტოლვა ვალენტობის ეკოლოგიური თეორიის (EVT) თანახმად, ბიოლოგიურადაა კოდირებული ქართულ გენეტიკაში, რომელიც ჯერ ქვეცნობიერ სამყაროში დაიღეძა, შემდეგ კი მსოფლმხედველობასა და იდენტობაში გამოვლინდა და ადგილი მატერიალურ კულტურაშიც დაიმკვიდრა (კვანტიძე, 2022; ლურსმანაშვილი, 2006).

ფერთა ჰარმონიზაციის მიხედვით, ქართული კოსტიუმი და ორნამენტი მრავალმხრივ საინტერესოა. რეგიონულ სამოსში ვხვდებით ჰარმონიულ, მტკიცე და ქრომატულ ხევსურულ (ტაბ. II. სურ. 1) და თუშურ ტალავარს (ტაბ. II. სურ. 2); ჰარმონიულ, მშვიდ, ჟღერად, მყარ, მდგრად და აქრომატულ ზოგადქართულს (ტაბ. II. სურ. 3); აფხაზურ ჩოხა-ახალუხებსა და სარტყელ-გულისპირიან ქართულ კაბას (ტაბ. II. სურ. 4); კონტრასტულ, დინამიკურ და ნაჯერფერებიან აჭარულ სიხმა კაბას, ჩათაკასა და თოლაბუსის სარტყელს (ტაბ. II. სურ. 5), ასევე სამცხე-ჯავახურ ჩაქურასა და ქალის კაბას; მდგრად და ნაჯერფერებიან რაჭულ კაფთარას, ჩიმჩიყსა (ტაბ. II. სურ. 6) და ფეშტემალს; მკვეთრად აქრომატულ, მტკიცე და მშვიდ სვანურს; არამდგრად და ჰარმონიულ გურულს, მტკიცე და ბრძოლისუნარიან ნაბადს (ტაბ. II. სურ. 7) მდგრად და დინამიკურ ელეგს და ა. შ.

ქართველები უხსოვარი დროიდან გამოიყენებდნენ ბუნებრივ საღებრებს. ამის დასტურად გამოდგება საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ურიცხვი არტეფაქტი. ასევე იმ ბერძენ მოგზაურთა ჩანაწერები, რომლებიც თვითმხილველები იყვნენ პროტოქართველთა საფეიქრო საქმის უბადლო ცოდნისა. ერთ-ერთი მათგანი ჰეროდოტეა (ძვ.წ. 484-422). ბერძენი ისტორიკოსის ცნობიდან ირკვევა, რომ იმდროინდელი კავკასიის მთიანეთში „საღებრების დამაგრება“ მოხატვის გზით ხდებოდა. საფეიქრო საქმის სპეციალისტთა განმარტებით კი ქსოვილის მოხატვის ან მოჩითვის წესი, განსაკუთრებულ ტექნოლოგიურ რეჟიმს მოითხოვს, შედეგაზე გაცილებით რთულია და ცხადია, იქ, სადაც ქსოვილების მოხატვა იცოდნენ, სამღებრო საქმეც მაღალ დონეზე იქნებოდა განვითარებული და ქსოვილის შეღებვასაც დიდი ხნის ისტორია ექნებოდა (ჰეროდოტე, 1975). ქსენოფონტეს (ძვ.წ. 431-354) ცნობაც იმავეს იმეორებს – ქართველურ ტომ ტაოქებში იმდენად განვითარებული ყოფილა ქსოვის, ღებვისა და კერვის კულტურა, რომ თვით ბერძნების დაინტერესება და მოწონებაც დაუშინებია (გე-

ორგანო. 1936).

ბუნებრივი საღებრებით ქსოვილის ღებვა რომ კარგად იცოდნენ ქართველებმა, საქართველოს მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში დაცული ავთენტური სამოსითა და მისი ელემენტებით (თავსაბურავები, ნაქსოვი ფეხსამოს-ფეხსაცმელი, ფარდაები, ხალიჩები, საფენები) მოწმდება.

მცენარეული საღებრების გამოყენება იმაზე იყო დამოკიდებული, თუ რომელ ფერს ენიჭებოდა უპირატესობა ამა თუ იმ რეგიონში.

ქართულ კოსტიუმსა და აქსესუარებში, ასევე საყოფაცხოვრებო ტექსტილურ ნაწარმში, ფერთა შეხამების ჰარმონიულობის თვალსაჩინო მაგალითია ხევესურული ტალავრის ორნამენტი, თუშური ჩითების დეკორი, მოხეური კაბის ზოომორფული ორნამენტი და სხვა. ცნობილია, რომ საგნის ფარდობითი ზომის მონაკვეთები ზემოქმედებენ ფერთა ჰარმონიის წარმოშობაზე. მიუღებელი ფერებიც შეიძლება იქცეს ჰარმონიულად, თუ შეეცვლით საგნის ფაქტურას ან გამოვიყენებთ მას სხვადასხვა რაოდენობით. აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ აქტიური ფერები თანაბარი ფლობის შემთხვევაში, გადანაწილდებიან პასიური მწვანისა და ლურჯის ალქმას კოსტიუმში. წითელი უფრო მკვეთრი და დასამახსოვრებელია. წითელი ფერის განსაკუთრებულობას წარმოადგენს ის, რომ არასაკმარისად აჩვენებს საგნისა და მასალის სტრუქტურულ თვისებებს, რაც აშკარად აჭარბული კოსტიუმის ფერთა ჰარმონიზაციას მიესადაგება. ქართული კოსტიუმის ორნამენტში ფერთა კომპოზიციის 3 სახეა მოცემული: 1) ერთფეროვანი; 2) პოლარული (ქრომატული აქრომატულთან, ღია მუქთან, თბილი ცივ ფერთან, გაჯერებული ნაკლებად გაჯერებულთან; 3) მრავალფეროვანი – ტრიადის ჰარმონია მონათესავე ფერებთან. მაგალითად: წითელი კაბა, ყვითელი ჟაკეტი, ლურჯი ყელსახვევი და ა.შ. რაც ძლიერ მოგვაგონებს აჭარელი ქალის კოსტიუმს.

ქართულ ფერთა დადგენისას საყურადღებოა წინდების, და საერთოდ ნაქსოვი ფეხსაცმლის ფერთა ჰარმონიზაცია. ძველად წინდა, ქალისაც და მამაკაცისაც ფერადი უნდა ყოფილიყო – შავი, ნაცრისფერი, ყომრალი, რუხი, ყავისფერი და სხვა. ფერადსახიან წინდას ჭრელ წინდას უწოდებდნენ. ჭრელი წინდების ქსოვა საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში იყო გავრცელებული. თუმცა სიჭრელეებს შორის სხვაობა არსებობდა სქესობრივი, ასაკობრივი და რეგიონული ფაქტორების გათვალისწინებით. განასხვავებდნენ: მამაკაცისას და ქალისას, ახალგაზრდისას და ხანშესულისას, საშინაოსა და საგარეოს, საქორწინოსა და სამგლოვიაროს. საბერო წინდები სადა და მარტივი სახისა იყო, ახალგაზრდისა – მრავალფერადი და რთულსახიანი. წინდაზე რაც მეტი ფერი იყო გამოყენებული, მით უფრო რთული საქსოვი იყო.

საინტერესოა ინგილოური წინდების, როგორც საქართველოს მიღმა მცხოვრები ქართველის ნაქსოვ ორნამენტში ასახული ფერების დომინაცია (ტაბ. II. სურ. 8). ინგილოურ წინდებში სრულყოფილადაა შემონახული როგორც ეროვნული მოტივები, ასევე ფერები. გამოიყენებდნენ: შინდისფერს, ლურჯს, ნარინჯისფერს, ყვითელს, მწვანეს, წითელს, იისფერს, ყავისფერს და სხვა.

თუშურ და ფშაურ ფეხსამოსში ძირითადი ფერი თეთრი და შავია, ჭარბობს ლურჯი, გამოყენებულია მუქი წითელი და ნარინჯისფერი (ტაბ. II. სურ. 9).

ხევესურული და აჭარული წინდა-პაჭიჭები მეტი ფერადოვნებით გამოირჩევა. დომინანტ ფერებად ითვლება: წითელი (ყირმიზი), ყვითელი, ვარდისფერი (ფემბერეგი), შაბიამნისფერი (იეშილი), ყავისფერი (ყეფერენგი), ინისფერი, კვერცხისგულისფერი, ნარინჯისფერი, ჟანგისფერი, ჭიაფერასფერი, ხახვის ფურცლისფერი.

ტოლისა და მაუდის პაჭიჭებს ჩოხის მსგავსად, შავს, თეთრს, ნაცრისფერს, ლურჯსა და ყავისფერს კერავდნენ. ძირითადად ეცვათ სადა, ერთფერი პაჭიჭები, ხოლო სვანურ და ხევესურულ პაჭიჭებს ამკობდნენ სხვა ფერისა და ფორმის აპლიკაციით (სვანური) ან ნაჭრელათი (ხევესურული) (ტაბ. II. სურ. 10).

ფეხსამოსიდან ჩახსაკრავები ძირითადად თიხამინისფერია, ვხვდებით თეთრი და ყავისფერი ტონალობის ჩახსაკრავებსაც (ტაბ. II. სურ. 11).

ნაქსოვი ფეხსაცმელები – თუშური ჩითები და ხევესურული თათები ფერადოვანია. ჩითები ნაქსოვია ძირითადად თეთრსა და შავ ფერში, მეორეულ ფერებად კი, თუშური სამოსის დეკორში არსებული ფერებია გამოყენებული, ხოლო თათები ხევესურული ნაჭრელის ფერებშია ნაქსოვი და სამოსის მსგავსად მძივ-ლილებითაა შემკული.

დაზგური ნაწარმიდან, აღმოსავლეთ საქართველოს მთაში დამზადებულ ფარდა-გებში ლურჯსა და ცისფერს ანიჭებდნენ უპირატესობას, მეორეულ ფერებად თალხ პირისფერს, ყვითელს, წითელსა და ნაცრისფერს, ზოგჯერ ღვიძლისფერსაც გამოი-

ყენებდნენ. იყო შემთხვევები, როდესაც მიწარს პირისფერს უკეთებდნენ და ორნამენტები ლურჯ, ცისფერ, ყვითელსა და ღვიძლისფერში გამოჰყავდათ (კოშორიძე, 2023) (ტაბ. II. სურ. 12).


ქართლსა და კახეთში უფრო მეწამულ წითელს ანიჭებდნენ უპირატესობას (ტაბ. II. სურ. 13, 14). მეწამული წითელი და ბაცი მოყვითალო ფერები ჭარბობს რაჭულ ფარდაგებზე (ტაბ. II. სურ. 15).

სამცხე-ჯავახეთში სავსე ეთნოგრაფიული სამუშაოების დროს სამწუხაროდ, მხოლოდ ქიმიური საღებავებით შეღებილი ხალიჩა-ფარდაგები ვნახეთ, რომელთა შორის მოწონებით მკვეთრი ვარდისფერი და რუხი ფერები სარგებლობს (ტაბ. II. სურ. 16).

შესაღებად გამოიყენებოდა: ნარინჯბალახი, კანაფი, თრიმლი, ენდრო, თხმელა, რკო, წყავი, ვაშლის ხის ქერქი, კაკლის ნაჭუჭი (ღეჭეპო), ხახვის ფურცელი, ჭიაფერა, ნიგეზის ფოთლები, თუთის ფოთლები, დამწვარი შინდის წვენი, ნაცარწმენდილი, მუხის ქერქი (ნედლი). ფართო გამოყენება ჰქონდა ბალახეულს: წალიკას, ლეფანს, კანაფურას, დვალურას, ჭინჭარს, მაკაფია ბალახსა და სხვა. კარჭლის წებერა ღებავს წაბლისფრად, ლეფანი – ყავისფრად, წალიკა – ყვითლად, ნარინჯბალახი – ნარინჯისფრად, ენდრო – წითლად, მაკაფია ბალახი – ყავისფრად, ჭინჭარი – მწვანედ, კანაფი, დვალურა, მუხისა და ვაშლის ქერქი – ყვითლად და სხვა. მცენარეულ საღებავებში ურევდნენ შაბს, მარილს, ნაცრისძალს /ნაცრის ტუტას. ასე შემზადებული საღებავი ძლიერად ეკიდება ნართს [მსშხი, 1982].

ამგვარად, როგორც კვლევამ აჩვენა, ქართულ კოსტიუმსა და ორნამენტში ფერთა შერწყმა, ტონი, გაჯერებულობა და შეხამება სრული ჰარმონიულობით ურწყმის ფერთა თეორიის მოთხოვნას და ქართველთა გენეტიკურად ესთეტიკური გემოვნების გამორჩეული მაჩვენებელია.

დომინანტი ფერების კლასიფიკაცია ქართულ ორნამენტში (ქსოვილი, სამკაული, იარაღი, კერამიკა, ხე, ქვა...)



ბ. ნაქსოვი საერო ორნამენტი

გულნარა კვანტიძე

ტიპოლოგია

ნაქსოვში ორნამენტი ტიპოლოგიურად რამდენიმე ძირითად ჯგუფად ნაწილდება. ესენია: გეომეტრიული, მცენარეული, ყვავილოვანი, გეომეტრიული და ფრინველის. ძირითად ჯგუფებს გარდა, ვხვდებით შერეულ გეომეტრიულ-მცენარეულ მოტივებს. ზოომორფული და ფრინველის სახეები ნაქსოვში ზოგჯერ გეომეტრიულ, მცენარეულ და ხანაც გეომეტრიულ-მცენარეულ დეკორშია წარმოდგენილი.

გვიანდელ (XX საუკუნის 30-40-იანი წლები) ნაქსოვ ორნამენტებში, ადრეულისგან განსხვავებით, ჭარბობს სტილიზებული მცენარეული და ყვავილოვანი სახეები.

გეომეტრიული ორნამენტები არქაული პერიოდის მხატვრობის პირვანდელი ნიშან-სიმბოლოებია, ქსოვილის გაჩენის პარალელურად, ადამიანს თანდათან გაუჩნდა ესთეტიკური მოთხოვნილება, გაელამაზებინა სხეული ან სხეულის საფარველი. ამისთვის მან პრიმიტიული მასალისგან შექმნა სამკაული. მცენარეულ საფარზე დაკვირვებამ აპოვინა „მაგიური“ ზემოქმედების მქონე მცენარეები, რომელთა საშუალებით სხეულის ერთფეროვანი საფარი გაიფერადა. დროთა განმავლობაში ადამიანმა მარტივი პიქტოგრამები ჩააქსოვა ტანსაცმელში. ამგვარად გაჩნდა პრიმიტიული გეომეტრიული სახეები, რომელმაც ყველა დროის აღზევებული ფიგურა უკან ჩამოიტოვა და თანამედროვე ყოფაშიც დიდი პატივითა და პრაქტიკული გამოყენებით იჩენს თავს.

აღმოსავლეთ საქართველოს მთაში – ხევსურეთში, მთიულეთში, თუშეთში, ფშავში, ერწო-თიანეთში, გუდამაყარსა და ხევში დაზგური, ჩხირებით, ფირფიტებითა და სხვა ხელსაწყოებით ნაქსოვ ნივთიერ მასალას გეომეტრიული ორნამენტებით ამკობდნენ. გეომეტრიული საზოვანი მოტივებით აჭრელებდნენ აჭარულ, გურულ და მეგრულ ნაქსოვ ორნამენტებსაც (კვანტიძე. 2022).

ხევსურული ორნამენტი (ტაბ. III. სურ. 1) საკმაოდ რთული მოხაზულობისაა. იგი მსოფლიოში უნიკუმს წარმოადგენს და მაგიურ-აპოთროპეული სიუჟეტების მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ხევსურული მოტივი შედგება მარტივი სწორი, ზიგზაგი და ტეხილი სახეებისგან; ჯვრების, წრეების, კვადრატებისა და რომბებისგან. რთული ფიგურები კი მარტივი მოხაზულობის რთული კომბინაციებია. ორნამენტში ჩაშლილია სოლარული (მზე, ვარსკვლავი), ზოომორფული (ხარი), სამეურნეო (ხერხი) და საბრძოლო იარაღის (ისრის) გამოსახულებები (კვანტიძე. 2018).

ახლომეზობლური ურთიერთობის მიუხედავად, **თუშური** მოტივი ხევსურულისგან განსხვავდება. ნინდების კომპოზიცია ჰორიზონტალური ხაზების ორ და სამმწკრივიანი დაჯგუფებისგანაა შედგენილი. თანაბარ დამორებებში სხვადასხვა ფორმისა და ზომის გეომეტრიული სახეებია განთავსებული. სახასიათოა თავნახარა, აკუშურა და სამკუთხედებისგან შემდგარი ყვავილის ორნამენტის მოტივები.

ნაქსოვი ფეხსაცმლის დეკორი თუშეთში რამდენიმე სახისაა. დომინანტობს ერთმანეთის მკვეთი განივი და ვერტიკალური ხაზების სპექტრი. გამოსახავენ რომბებსა და ირიბად დაშვებული წყვეტილი ხაზების რიგებსაც.

დაზგური ქსოვის უნიკალური სახეობაა თუშური ფარდაგი, რომელშიც ძირითადად რამდენიმე ორნამენტული მოტივი მეორდება. ეს მოტივები მსგავსია კავკასიური და აღმოსავლური ხალიჩების სახეებისა, მაგრამ თუშური მათგან განლაგების პრინციპებითა და ურთიერთშეპირისპირებით გამოირჩევა (კოშორიძე. 1997). ძირითადი მოტივი ჯვარია. მას უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს და შეიძლება მივიჩნიოთ ყველაზე ტიპურადაც. ვხვდებით ჯვრის მრავალფეროვან კომბინაციებსა და ვარიაციების ხშირ გამოყენებას (კოშორიძე. 2023). ჯვრის გარდა, ვარსკვლავა, ნაფოტა, აკუშურა და კაუჭა სახეებს გამოსახავდნენ (ტაბ. III. სურ. 2).

ფშაური ორნამენტი აღმოსავლეთის მთის კომპოზიციურ მოდელს არ ცდება. მოტივში გამოსახულია ჯვრები, რომბები და ტეხილი ხაზები. ვხვდებით ალვის ხეს, რქანახარას, აკუშურას, ბორჯღალს (ტაბ. III. სურ. 3).

ანალოგიურის თქმა შეგვიძლია **მთიულურ ორნამენტზე**. დეკორი ხევსურულისა და თუშურ-ფშაურის მსგავსად მარტივი ხაზებისგანაა შედგენილი (ტაბ. III. სურ. 4).

მოხეური დანარჩენი აღმოსავლეთ საქართველოს მთის ორნამენტებისგან სა-

გრძნობლად განსხვავდება. დომინანტობს სიცოცხლის ხის ორნამენტი, რომელსაც ჯვრის მსგავსად ნაირგვარი ვარიაციით გამოსახავდნენ. ერთ-ერთი ასეთი ირმის რქის სტილიზებული სახეებია (ტაბ. III. სურ. 5).

აღმოსავლეთ საქართველოს მთაში ნივთებს ტრადიციულად გეომეტრიული ორნამენტებით ამკობდნენ. XIX საუკუნის შუა წლებიდან კი, დეკორში ჩნდება ყვავილოვანი ორნამენტები. სახეცვლილება XX საუკუნეშიც გაგრძელდა (ტაბ. III. სურ. 6).

დასავლეთ საქართველოს რეგიონებიდან ნაქსოვი ნივთების დაჭრელებას იმერეთში, გურიასა და სამეგრელოში არ მისდევდნენ. წინდებსა და სხვა სახის ნაქსოვ მასალას ქსოვდნენ ერთი ფერისას, ან ვერტიკალურ-ჰორიზონტალური ხაზებით ალამაზებდნენ. გეომეტრიულ-მცენარეულ და ანთროპომორფულ-ზოომორფულ სახეებს ტანსაცმლისა და მისი აქსესუარების დეკორად ხმარობდნენ.

ადგილობრივად არ მზადდებოდა ხალიჩები, ფარდაგები, ხურჯინები. თუ იმერეთის მუზეუმებში დაცული ნივთიერი მასალის მიხედვით ვიმსჯელებთ, ცხადი გახდება ის, რომ ადგილობრივი მოსახლეობა სხვა რეგიონებიდან შეტანილ ხალიჩურ ნაწარმს ხმარობდა.

დასავლეთ საქართველოს მთის მოსახლეობიდან – **სვანები** ერთფეროვან ან ვერტიკალურ-ჰორიზონტალური ხაზებით შემკულ წინდებს ატარებდნენ, პაჭიჭებს შალის ან მაუდის ქსოვილისგან კერავდნენ და სხვადასხვა ფერის აპლიკაციით ამკობდნენ. ორნამენტი სვანურ ყოფაში დატანილია სამკაულზე, ავეჯსა და საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნებზე.

ხალიჩა-ფარდაგებს არც სვანეთში ქსოვდნენ. ადგილობრივი ფეიქრები ნაბდისა და თექის დამზადების უბადლო ოსტატები იყვნენ, რომელთაც მოტივები ასევე მოთელვის წესით გამოჰყავდათ.

რაჭაში, ისევე როგორც დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებში, ჭრელ ფეხსამოსებს არ ატარებდნენ. პაჭიჭები შალის ან მაუდისგან იყო ნაკერი. რაც შეეხება დაზგურ ქსოვილებს, არის ჰორიზონტალური ხაზებით შემკული; გეომეტრიული სახეები და ლათინური S-ის ფორმის ორნამენტებით გალამაზებული; რომბებით, ჯვრებით, პეპელასა და ზიგზაგი სახეებით გამშვენებული (ტაბ. III. სურ. 7).

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ორ რეგიონში, აჭარასა და სამცხე-ჯავახეთში, ნაქსოვი პროდუქციის ორნამენტით შემკობის ხანგრძლივი ტრადიცია არსებობს. ეს ცხადია, კარგად განვითარებული მეცხვარეობისა და დანიშნულებული შინამრეწველობის დამსახურება გახლდათ.

აჭარული ნაქსოვი ორნამენტი მრავალფეროვანი გეომეტრიული და მცენარეული კომპოზიციებითაა გამორჩეული. ვხვდებით რომბებს, რომბებში ჩასმულ ჯვრებს, ირიბად გამოსახულ მალულ ჯვრებს, კვადრატებს, სწორ, სამკუთხა, ზიგზაგი და ტეხილი ხაზების მწკრივებს. აჭარული ორნამენტისთვის დამახასიათებელია განტოტვილი ხის მოტივები (ტაბ. III. სურ. 8). გარდა ნატურალური გეომეტრიულისა, ხშირად ნახავთ სტილიზებული მცენარისა და ყვავილის სახეებს. ზოომორფულიდან გამოსახავდნენ ირმებს, ფრინველებს კი როგორც გეომეტრიულ, ასევე შერეულ კომპოზიციებში შეხვდებით.

აჭარულ ხალიჩებსა და ფარდაგებზე გამოსახული მრავალფეროვანი კომპოზიციები შედგენილია გეომეტრიული და ყვავილოვანი სახეებით; რომბებით, რომბებში ჩასმული ჯვრებით. დიდი მოცულობის რვაკუთხა ფიგურებსა და მათ სივრცეებში განთავსებულ გასხვივოსნებულ და განედლებულ ჯვრებს (ტაბ. III. სურ. 9).

სამცხურ-ჯავახურ ნაქსოვებში მცენარეულ-ყვავილოვანი და ფრინველის სახეები დომინირებს. მეორეულ ფუნქციას გეომეტრიული ორნამენტები ითავსებს. წინდები ნაქსოვია განივი ზოლებით. სივრცეები ივსება მცირე ზომის სხვადასხვა ფორმის ფიგურით.

ადგილობრივები ქსოვდნენ ხალიჩებს, ფარდაგებს, საგებლებს, ხურჯინებს, რომელთა გარკვეული ნაწილი დიდი ზომის გეომეტრიული (რომბები, თავნახარა და მართულელა ორნამენტები) და ყვავილოვანი სახეებითაა შემკული.

სამცხე-ჯავახეთში ყოფნისას, ველზე მოპოვებული ნივთიერი მასალიდან დაზგური ნაკეთობების დიდი ნაწილი XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის შუა წლებს განეკუთვნება, რომლებზეც ყვავილის სტილიზებული ორნამენტებია გამოსახული (ტაბ. III. სურ. 10).

კლასიფიკაცია


(ქსოვილი, სამკაული, იარაღი, კერამიკა, ხე, ქვა...)

ნებისმიერი ნაწარმის კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს მისი სახეობების მრავალფეროვნება და ფუნქციონალური დანიშნულება.

ქართული ორნამენტი სახეობების მიხედვით შეიძლება დავყოთ: გეომეტრიულ, მცენარეულ, ზოომორფულ, ანთროპომორფულ და შერეულსაზო ორნამენტების კლასებად. ხოლო დანიშნულების მიხედვით: სოციალურ-ესთეტიკურ და მხატვრულ-ესთეტიკურ ქვეკლასებად.

სოციალურ-ესთეტიკური ფუნქცია გამოიხატება ორნამენტის ფორმაში, ფერსა და მასალაში. ასახავს სილამაზის, სრულყოფილებისა და ჰარმონიის სოციალურ სარგებელს საგანსა და ადამიანს შორის.

ორნამენტის მხატვრულ-ესთეტიკური ფუნქცია ადამიანს ანიჭებს ემოციურ-გრძნობით კმაყოფილებას თავისი მხატვრულობით, გარეგნული მომხიბვლევლობითა და დანიშნულებით.



დ. საეკლესიო ორნამენტი

ეკა ბერელაშვილი

შუა საუკუნეების საქართველოში, ბიზანტიის მსგავსად, იქმნებოდა მაღალი მხატვრული ოსტატობის საეკლესიო ხელოვნების ქმნილებები. მათ შორის განსაკუთრებული მხატვრული ღირსებითა და შესრულების (ტექნიკური) ოსტატობით გამოირჩევა ლიტურგიკული შესამოსელი. ასახავს რა თანადროული საზოგადოების გემოვნებასა და ინტერესებს, ღვთისმსახურთა შესამოსელი ორგანულად ერწყმის ქართული საეკლესიო ხელოვნების განვითარების ძირითად ხაზს და საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ ეპოქის კულტურისა და ხელოვნების ხასიათი. ნაქარგობით შემკული, დღემდე შემორჩენილი საღვთისმსახურო სამოსის ნიმუშები შესრულების მაღალი კულტურითა და მხატვრული დონით ხასიათდება.

ძველი აღთქმის მიხედვით, სამოსი, რომელიც ღმერთმა მღვდელმთავარ აარონსა და მის შთამომავლობას დაუწესა, სხვა ადამიანთაგან მათს გამორჩეულობას უსვამდა ხაზს. ამავე პრინციპიდან გამომდინარე, ახალი აღთქმის ეკლესიამ მსახურთათვის დააწესა სამოსი, რომლის წარმოშობას მოციქულთა ცხოვრების ხანას უკავშირებენ. სამოსი, რომლითაც ქრისტიანული ეკლესიის მსახურნი იმოსებიან, ქრისტეს მაცხოვრებელი სიმბოლოებითაა დატვირთული. ისინი სასულიერო პირთ მუდმივად ახსენებს იმ მისიას, რაც მათ აკისრიათ უფლისა და ადამიანთა წინაშე.

დეკორი, რომელიც სასულიერო პირთა თუ საეკლესიო მსახურებისთვის საჭირო ნივთთა სამოსზე გვხვდება, ისევეა კანონიზებული, როგორც ამ სამოსის ფორმა, ფერთა გამა და მისი ხმარების წესი. ძირითადი მცენარეული სახეები, რომლებიც ამ სამოსზეა ამოქარგული, ძველი და ახალი აღთქმის ტექსტებშია მოხსენიებული. ესენია: ბროწეული, შრომანი, მაყვალი, მიხაკი, უსუპი, მირტა და ა.შ. თითოეული მათგანი, როგორც საზოგადოებრივი კომპოზიციების გამოსახულებანი, განსაზღვრული ტექსტის ილუსტრირებას ახდენს და სრულყოფილად წარმოაჩენს ამა თუ იმ იკონოგრაფიულ თემას. ორნამენტულ სახეებში ჩადებული სიმბოლიკის მიზანია „სიმბოლო-ნიშნებით“ გადმოსცეს „სიციყვა უფლისა“ (ტაბ. IV. სურ. 1).

სამოსზე სხვადასხვა სახითა და სიმბოლური დატვირთვით გვხვდება ბროწეული (ტაბ. IV. სურ. 2). მისი მრგვალი ფორმა და მაგარი კანი არის სიმბოლო ურღვევი და მარადიული რწმენისა, კანში მოქცეული მარცვლები კი – მრევლისა. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ქრისტიანულ სიმბოლიკაში გახლეჩილი ბროწეულის ბირთვი შიგ მარცვლებით მოციქულთა სიმბოლოდ მოიაზრება, ზოგ შემთხვევაში, მარცვალთა რაოდენობა მის გახლეჩილ ბირთვში თორმეტ-თორმეტი.

მიხაკი, ქრისტიანულ სიმბოლიკაში, თესლის ფორმიდან გამომდინარე, სამსჭვალის, მონამეობისა და სულიერი ტკივილის სიმბოლოა (ტაბ. IV. სურ. 3), რიგ შემთხვევაში იგი სიცოცხლის მუდმივობასა და ზეციური სამოთხის წარმოჩენასაც ემსახურება.

ორნამენტული მოტივების თავისებურებებით გამოირჩევა ანა წულუკიძის¹ მიერ, ცაიშის ღვთისმშობლისადმი შეწირული მიტრა.² „ცის“ შუაგულში მოთავსებული ლითონის მრგვალი მედალიონის ირგვლივ, რომელზედაც ჭედურობით შესრულებული ჯვარცმაა გამოსახული, ერთი ზომის სტილიზებული „მუხის ფოთლების“ განლაგება ქმნის ჯვარს (ტაბ. IV. სურ. 4). მუხა დასავლეთის ქრისტიანულ ტრადიციაში მაცხოვრის სიმბოლოს განასახიერებს. იგი ასევე სიმბოლოა რწმენის სიმტკიცისა. აბრაამს უფალი გამოეცხადა მამრეს მუხნართან, სადაც მან იაჰვეს სამსხვერპლო აუგო; ხებრონში აბრაამი ცხოვრობდა მუხნართან, სადაც ეწვივნენ უფლის ანგელოზები. მუხა მიჩნეული იყო ცის უზენაესი ღვთაების კუთვნილებად (Когаров. 1913). მუხის ხეს საკულტო მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოშიც. სამეგრელოში, კერძოდ ჭყონდიდში, კერპთაყვანისმცემელთა „ხატის“ (მუხის) ადგილას აშენდა მარტვილის ტაძარი (ჩუბინაშვილი. 1936). ვფიქრობთ, ეს ფაქტიც ასევე მიაწინებს მუხისადმი რიტუალურ დამოკიდებულებას. ჩვენამდე მოღწეულ ქართულ საეკლესიო ნაქარგობაში ეს ერთადერთი შემთხვევაა მუხის ფოთლის გამოსახვისა, თუმცა ჭედურობაში XI საუკუნიდან გამოსახვენ მუხის ფოთოლს (Чубинашвили. 1959). იგი ასევე ფართოდ არის გავრცელებული XI-XII

1 კაცია მეორე დადიანის (1745-1788) მესამე მეუღლე, პაატა წულუკიძის ქალიშვილი

2 ექსპონატის საინვენტარო № სხმ/6 4888

საუკუნეების კედლის მხატვრობაში (ბოჭორმა, ატენი, მაცხვარიში, მეფის მხატვრის – თევდორეს მოხატულობები, ტიმოთესუბანი, ბერთუბანი, ბეთანია) (ოქროპირიძე. 1997). მკვლევარ ტატიანა შევიაკოვას დაკვირვებით, მუხის ფოთლის ორნამენტები სპეციფიკურ ქართულ ორნამენტულ სქემებს შეადგენენ და გვხვდებიან XI-XII საუკუნეების რიგ მოხატულობებში. მოგვიანებით კი მათ ვხედავთ იშვიათად და მეტად შეცვლილი სახით (შევიაკოვა. 1960). როგორც ვხედავთ, მუხის ფოთოლი საკმაოდ გავრცელებულია XI-XII საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში. სამწუხაროდ, ამ პერიოდის ნაქარგი ნივთები თითქმის არ შემორჩენილა¹ (მელიქიშვილი. 1995). ამიტომ რთულია ჩვენთვის მსჯელობა, გავრცელებული იყო თუ არა ამ პერიოდის ნაქარგობაში, ხელოვნების სხვა დარგების მსგავსად ორნამენტის ეს სახეობა.

ცალკე შეიძლება გამოვყოთ იმ მიტრების² ორნამენტი, რომელთა ცაზე მზეა გამოსახული „გაბრწყინებული“ სხივებით – მაცხოვრის, როგორც მხსნელის საუკუნო მეუფებისა და დიდების ხატი (ტაბ. IV. სურ. 5).

მზე მოთავსებულია სტილიზებული ჯვრის შუაგულში,³ ან თვითონ მზის სხივები ქმნიან ჯვარს⁴. მზე, მიტრის ცაზე, გასხივოსნებული წრის სახითაა წარმოდგენილი. წრეს ხშირად გამოსახავდნენ, როგორც მზის სიმბოლოს (Heinhardt. 1956). წრე მიიჩნევა სოლარულ სიმბოლოდ, მზისა და საერთოდ, ცის მნათობთა ნიშნად (ნადირაძე. 1998). წრის სიმბოლური წინა სახე ყველა კულტურაში მზის დისკოს წარმოადგენს. ქრისტიანობაში მზე, სულიერი მნიშვნელობით განიხილება ქრისტეს ხატად (გველესიანი. 1997), „მზე სიმართლის“ ხშირად გვხვდება საეკლესიო ლიტერატურაშიც (ნოზაძე. 2006), იესო ქრისტე ქრისტიანობის პირველწყაროების მიხედვით არის „ნათელი მზისა“, „მზე სიმართლისა“, „მზე აღმავალი“, „ცხოვრების მომნიჭებელი“ და „სინათლის მომფენელი“ (კეკელიძე. 1945), მზის სიმბოლურობა ბიბლიაშიც ანალოგიური აზრითაა შემოსილი (ესაია. 40:19); სხივისა და მზის კომბინაცია ჯვართან ერთ-ერთი უდიდესი სიმბოლური აზრის გამოხატულებაა, რომელიც თავის თავში მოიცავს მზის – იმავე ღმერთისა და მისი ატრიბუტის – ჯვრის განუყრელობას. ქართველი ხალხის უძველეს წარმოდგენებში ჯვარს ხშირად უკავშირდებოდა ციური სხეულების (უპირატესად მზის) სიმბოლოები (მაჩაბელი. 2003). მნათობნი – მზე, ვარსკვლავები ქრისტიანულ ხელოვნებაში თითქმის ყოველთვის გამოყენებულია ერთი მიზნით – ღმრთის დიდებულების, სულიერი ცხოვრების, ანგელოზთა და წმინდანთა დიდების საჩვენებლად (ნოზაძე. 2005). მიტრის ფორმას მორგებული დახვეწილი ორნამენტის საშუალებით: თითოეული მიტრის გვერდებზე შექმნილია ულამაზესი თაიგულები მაყვლის, შროშანის, მაჩიტასა და ქრიზანთემის ყვავილებით: ირგვლივ გაშლილი ორნამენტული დეკორის გამოსახვა, რომელიც ძირითადად ღვთისმშობლის, მაცხოვრისა და წმინდანთა სიმბოლოებადაა მიღებული, კონკრეტულ თემაში მათ დასწრებას გულისხმობს. ორნამენტი მრავალფეროვანია. იგი შეიცავს როგორც ტრადიციულ მოტივებს (შროშანი), რომელიც საუკუნეების განმავლობაში გამოიყენებოდა, ასევე ორნამენტს, რომელიც მხოლოდ ამ პერიოდის ხელოვნებისთვისაა დამახასიათებელი (ზამბახი). ფოთლოვანი ხეულების ნიაღში ჩართული სამ და ხუთფურცელა ყვავილები შეიძლება აღვიქვათ ქრისტეს სისხლსა და ხორციან ზიარებულ განმტობილ მართალთა სულებად, რომელნიც მარადიულად ქრისტესთან ერთად იმყოფებიან სამოთხეში (ლამაზაძე. 2008) (ტაბ. IV. სურ. 6).

წვრილი ხუთფურა ყვავილი ქართულ ოქრომჭედლობაში და საერთოდ ქართულ ორნამენტულ რეპერტუარში XVI საუკუნის მეორე ნახევარში იჩენს თავს. ეს მოტივი, როგორც ჩანს, ირანიდანაა შემოსული, რაც სწორედ XVI საუკუნიდან შეინიშნება ხუროთმოძღვრებაშიც, მონუმენტურ მხატვრობაშიც, უფრო ფართოდ კი სამინიატიურო ხელოვნებასა (საყვარელიძე. 1987) და ნაქარგობაში⁵. 8 ხუთფურცელა ყვავილები, ქრიზანთემები, შროშანები სიმბოლოებია სულთა ბაღებისა, ადამიანის მიკროკოსმოსისა (Aussibal. 1994; Cooper. 1986), სამფურცელა ყვავილი კი რიცხვთა სიმბოლიკის გათვა-

1 XII საუკუნით დათარიღებული ერთადერთი შემორჩენილი ნივთია საბუხარი „ზიარების“ კომპოზიციით. ექსპონატის საინვენტარო № სხმ/6 3744 ა/ბ

2 ინახება ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში. ექსპონატის საინვენტარო № სხმ/6 4288; 4444; 4459; 4459; 4460; 4895

3 მაგალითისათვის შეიძლება მოვიხმოდოთ ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში დაცული მიტრები. ექსპონატის საინვენტარო № სხმ/6 4444; 4445; 4459; 4288

4 ექსპონატის საინვენტარო № სხმ/6 4895

5 საქართველოს ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში დაცულ დაფარნებზე, საბუხრებზე, ენქერებზე: სხმ/6 143; 2952; 3680; 2570ა; 4054; 3688

ლისწინებით, სამი სათნოების გამოხატულება უნდა იყოს. სამყურა ყვავილები დაკბილული, წაგრძელებული „ცხვირით“ ხშირად გვხვდება XII-XIII საუკუნეების არაერთ ქედურ ძეგლზე (Чубинашвили. 1959; ხუსკივაძე, 2005). ასეთი ფორმის ყვავილები დამახასიათებელია ასევე XVII საუკუნის ნაქარგობებისთვის (ბარათაშვილი. 2003). მიტრებზე გამოსახული ყვავილთა გულები შემკულია მარგალიტებითა და ძვირფასი ქვებით (ზურმუხტი, იაგუნდი, ფირუზი). ყვავილი საერთოდ მაცხოვრის სიმბოლოა (საბანისძე. 1946), ქრისტეს „ყუავილად“ მოიხსენიებენ ეპიფანე კვიპრელი (IV საუკუნის II ნახევარი), ფსევდოდოდიონისე არეოპაგელი (V ს.), იოანე საბანისძე (XI ს.) უდიდესი მოწინება, რომელიც მიმართულია ღვთისმშობლისადმი, ასევე გამოიხატება მცენარეულ სამყაროსთან მეტაფორული შედარებით („ნევშირებულნი ძლისპირნი“. 1982). „შეუწველი მაყვალი“ ღვთისმშობლის სინონიმია. „ხარების“ დღესასწაულისადმი მიძღვნილ გალობაში ღვთისმშობელი გაიგივებულია „დაუწველ მაყვლოვანთან“ (უძველესი იადგარი. 1980) [გამოსვლა. 3:2; მარკოზი. 12:26].

შროშანი უპირველესად მარად ქალწული მარიამის სიმბოლოა.¹ იგი ასევე სიმბოლოა ღვთიურობის, სინმინდის, მორჩილების, უმანკოების, ნიშანია აღდგომისა და ამალლებისა. ღეროდ აღმართული შროშანი ღვთიური აზრის გამოხატულებაა. შროშანი არაერთხელ მოიხსენიება წმინდა წიგნებში: [ქება ქებათა. 2:1-2; 2:16; 4:6; 6:13; ესაია. 35:1; მოსე 14:6; 14:9; გამოსვლა. 25: 31-33; რიცხვ. 8:4; ლუკა. 12:27; მათე 6:28.] ზამბახის სიმბოლურობა კი გაიგივებულია შროშანთან, რამდენადაც ისინი ერთი ოჯახის წარმომადგენლები არიან (Cooper. 1986). მიტრებზე გამოსახული ჯვრის ირგვლივ განთავსებული ოთხი თაიგული შეიძლება ასევე ოთხი მახარებლის სიმბოლო იყოს. ქრისტიანულ ხელოვნებაში სამოთხის ბაღის გამოსახვის ძირითად წყაროდ შესაქმეა [2:8-21] მიჩნეული, „ღვთის ბაღის“ აღწერას ვხვდებით დანიელ [4:7-9] და ეზეკია წინასწარმეტყველებთანაც [ეზეკ. 36:35].

1 შროშანისა და მაყვლის ყვავილების გამოსახულებები ხშირია საეკლესიო ნაქარგობაში, მაგალითისთვის შეიძლება მოვიხმოთ ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში დაცული ენქერები, დაფარნები, საბეჭურები: სხმ/ნ 58; 143; 2886; 797; 2230; 2570; 3483; 4 054; 1380; 3434; 3668; 2643; 2951; 2952; 3415; 3680; 2935; 2886; 3688; 3750; 1365

2. ქართული მიჯნის ორნამენტი (აჭარა)

გულნარა კვანტიძე

ზემო აჭარაში, მართლმადიდებლური ეკლესიების ნანგრევებზე ძალდატანებით დაშენებული მუსლიმური საკულტო ნაგებობები ხალხური მხატვრობის უნიკალური შედეგებია.

ლაზი ოსტატების მიერ ხეზე კვეთილობით შესრულებული აჭარული მეჩეთების მხატვრულ-დეკორატიული გაფორმება საქართველოს წარსულიდან ერთი მონაკვეთის ამბავს გვიყვება. ხის რელიეფურ დეკორაციებში პატარ-პატარა ნაკვეთებადაა გადმოცემული ისტორიები ვაზისა და ღვინის; სიმინდის; ფლორისა და ფაუნის; ზღვაოსნობის, ასტრალური სამყაროსა და სხვადასხვა ყოფითი რეალიის შესახებ.

საკვლევი საკითხიდან გამომდინარე, ზემო აჭარის ექსპედიციაში ყოფნისას, ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ერთი შეხედვით უბრალო აჭარულმა ხის ორსართულიანმა ოდებმა, რომელთა შიდა ინტერიერი სითბოთი და სიკეთითაა აღსავსე და დადებითი ენერგეტიკით გმუხტავს. ეს ენერგია ექსპედიციის პირველი დღიდანვე შევიგრძენით ზემო აჭარლებთან ურთიერთობისას.

აჭარის მუსლიმური საკულტო ძეგლები მეტ-ნაკლებად შესწავლილი თემაა. საკითხი გამოკვლეულია ისტორიულ-ეთნოგრაფიულ, არქიტექტურის, ხელოვნებათმცოდნეობისა და ფოლკლორის ჩრილში (ჭიჭილეიშვილი. 2024; ვარშალომიძე. 1998, 2005, 2007). აღნიშნული მოცემულობიდან გამომდინარე, რამდენიმე საკითხის გარდა, ჯამეებს ზემოთ მოცემულ კონტექსტში აღარ განვიხილავთ.

ნაშრომი ფოკუსირდება აჭარული ხის ჯამეების მორთულობის იმ ცალკეულ ელემენტზე, რომლებიც თანხვედრაშია ნაქსოვი ორნამენტის დეკორთან. ამასთანავე, ყურადღებას შევაჩერებთ სიმინდისა და ვაზის გამოსახულებებზე. ორნამენტები გვხვდება აჭარული ჯამეების ინტერიერის შემკულობასა და ნაქარგ ქსოვილებში, ნაქსოვში კი – არა!

მზის სოლარული ნიშან-სიმბოლო ერთადერთია ორნამენტიკაში, რომელსაც რვა სახელწოდება და შესაბამისად, რვა სხვადასხვა მოხაზულობა გააჩნია. მას მზის გარდა ბორჩხიალასაც უწოდებენ, ხანაც ორივე სახელწოდებით მოიხსენიებენ. განასხვავებენ: საქციელა მზე//ბორჩხიალას, ბორჩხიალა კავაის, ბორჩხიალა თვალაის, ბორჩხიალა თვალაი კავით, მზითვალაის, მზესხივალის, ციცაქალაი//მზეს, მზეგრძელაი//იმზირებას (ტაბ. V. სურ. 1) მზე//ბორჩხიალას საქართველოს ყველა კუთხეში გამოსახავდნენ კიდობნებზე, სანვრილმანო ყუთებზე, სახლის შიდა და გარე ინტერიერზე, ავეჯზე. იგი ფართოდ იყო გავრცელებული ოქრომჭედლობასა და ხალიჩურ ნაწარმზე (ვარშალომიძე. 1979). მზის გამოსახულება სტილიზებული სახებითაა გადმოცემული ჯამეს დეკორებში. ვხვდებით ასევე მის გასხივოსნებულ ვიზუალსაც (ტაბ. V. სურ. 2).

მზის გარდა, სოლარულ ნიშანთა რიგს განეკუთვნება **მთვარისა და ვარსკვლავის** კომბინაცია (ტაბ. V. სურ. 3). და **ვარსკვლავი** სტილიზებულ მცენარეთა შორის (ტაბ. V. სურ. 4). ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში ვარსკვლავს „მასკლავის“ ეძახდნენ. რა დატვირთვით გამოსახა ოსტატმა ნახევარმთვარისა და ვარსკვლავის ერთობა ჯამეს ჩუქურთმებზე, რთული სათქმელია – როგორც სოლარული ნიშანი თუ აღმოსავლურ სამყაროში გაჩენილი სიმბოლო. ფაქტი ისაა, რომ ორივე მოსაზრება სავარაუდოა.

ჯვარი ზემო აჭარელ ქართველ მუსლიმთა ცნობიერებაში იმდენად ღრმად დაღეჭილი ნიშან-სიმბოლოა, რომ ისინი მაჰმადიანური რიტუალებისთვის ჯვარსახოვანი ნაჭრელათი შემკულ სარიტუალო პურებს აცხობდნენ (ქხელა. 2018). ისლამზე მოქცეულები, მოლას თანხმობით კვლავ მართლმადიდებლურ ეკლესიებში დადიოდნენ სალოცავად; ჯვარს შენიღბულად გამოსახავდნენ საცხოვრებელ და საკულტო შენობების ჭვირულში (ტაბ. V. სურ. 5). ეს თავდადების ტოლფასი იყო მაშინ, როდესაც ჯვრის ხსენებაც კი ტაბუირებული იყო და მის ნაცვლად საუბრისას სიტყვა „ხაჩი“ იხმარებოდა. აჭარულ ეთნოგრაფიულ ყოფაში ჯვრებს ციურ სხეულებთან ერთადაც გამოსახავდნენ (ვარშალომიძე. 1979, 1998).

სამფურცელა ყვავილი – ასე ეძახიან **შროშანს** ნაქსოვ ორნამენტში. შროშანს ქართულ ვიზუალურ ხელოვნებაში დიდი დატვირთვა აქვს. მას გამოსახავენ როგორც საეკლესიო, ასევე საერო ყოფიერებაში. შროშანის სემანტიკურ ბუნებაზე აღარ შევჩერდებით, რადგან იგი ამავე წიგნის ორ ქვეთავშია განხილული (საეკლესიო ორნამენტი;

ორნამენტი – ქართულ-ბასკური კულტურათაშორისი დიალოგი).

შრომანი ნაქსოვი ორნამენტისა და ჯამეს დეკორში (ტაბ. V. სურ. 6). ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნიშან-სიმბოლოა. მას გამოსახავენ როგორც ნატურალური, ასევე სტილიზებული ფორმით. იგი ტრადიციულად ამშვენებს მინბარის გვერდით კედელს, რომლის სივრცე შრომანის გარდა, სუროთი და სხვა მცენარეთა სტილიზებული ფოთლოვანი დეკორაციებითაა შევსებული (ჭიჭილეიშვილი. 2024).

ჯამეების ორნამენტულ ქარგაში ხშირადაა გამოყენებული წნული, გრებილი მორთულობა, რომელსაც ნაქსოვ ორნამენტში ბურხლა გრებილასა და ჩანწულ ბურხლას უწოდებენ (რაზმაძე. 2021). ამას გარდა, საკულტო ნაგებობების ინტერიერში ვხვდებით წვრილ კავაის, კავაჭრელს.

ვაზის კულტურა უძველესია საქართველოში, რასაც თვალნათლივ მოწმობს არქეოლოგიური და ისტორიული არტეფაქტები (<http://georgianwine.gov.ge/geo/text/121/>).

ამ სამეურნეო დარგის დიდი ხნის ტრადიციაზე თვალნათლივ მიუთითებს ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში დადასტურებული და ნაწილობრივ, დღემდე შემორჩენილი სარიტუალო ქმედებები, რომელთა დიდი ნაწილი ვაზის ბარაქიანობისადმი იყო მიძღვნილი (თოფურია. 1953). ხსენებულ თემას ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს ქრისტიანულ სიმბოლიკაში, როგორც ლიტურგიკულ ნივთებსა და სამოსელზე, ასევე ეკლესია-მონასტრების შიდა და გარე ფასადებზე (ბერელაშვილი. 2013, აბაკელია. 2007).

რაც უნდა გასაკვირი იყოს, ვაზის მოტივს ლაზურ-აჭარული დეკორის შემკულობაში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია. სწორედ ყურძნის მტევნის გამოსახულებებითაა შემკული მუსლიმური საკულტო ძეგლების შიდა ინტერიერი (ტაბ. V. სურ. 7). და საცხოვრებელი სახლის შიდა და გარე ფასადები, აივნების ნაწილები (ვარშალომიძე. 1979).

ზემო აჭარა ერთადერთი რეგიონია საქართველოში, სადაც სიმინდის რეპრეზენტაცია მოხდა (ტაბ. V. სურ. 8). სიმინდის საქართველოში შემოტანის შესახებ სამეცნიერო სივრცეში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს (Танфильев. 1923; Вавилов. 1932). გამოთქმულ მოსაზრებებს შორის, ჩვენთვის განსაკუთრებულად საინტერესო და მნიშვნელოვანია წარსულში ცნობილი მეცნიერის ანტონ ნატროშვილის (ნატროვი) ვარაუდი. მისი გამოკვლევით, საქართველოსთვის სიმინდი ხორბლის, ბრინჯის, ფეტვისა და ქერის მსგავსად, უძველესი მარცვლეული კულტურა უნდა იყოსო (Натроев. 1959). ამის თქმის შესაძლებლობა მეცნიერს ვანის ნაქალაქარში, ანტიკური პერიოდის რამდენიმე ყელსაბამის აღმოჩენამ მისცა, რომლებიც ერთ ასხმად ქცეულ სიმინდის ტაროებს წარმოადგენენ (ბრეგაძე. 1969).

არსებობს ვარაუდი იმის შესახებ, რომ ამიერკავკასიაში სიმინდი დასავლეთ საქართველოდან გავრცელდა. ვარაუდობენ, რომ თვით ანატოლიის თურქებმა ეს კულტურა ლაზებისგან გადაიღეს (ჯიქია. 1944; გუგუშვილი. 1946). ჩრდილოეთ კავკასიაში შაფსუღებს შორის სავსე მასალის შეკრების დროს, სუსანის ხეობაში ლაზურის სახელით ცნობილი სიმინდის ჯიშის არსებობა დადასტურდა (ბრეგაძე. 1957).

ზემოთ გამოთქმულს საფუძველს უმყარებს მკვლევარ ჯემალ ვარშალომიძის მოსაზრება. მისი ვარაუდით, საკულტო ნაგებობებზე სიმინდის გამოსახულება აჭარაში მოგზაურ ლაზი ხუროების ემბლემას უნდა წარმოადგენდეს, რადგან მათ საერთოდ სჩვევიათ თავიანთი შრომა-საქმიანობის აღმნიშვნელი ნიშან-სიმბოლოების ხეში გამოსახვა (ვარშალომიძე. 2005).

ამგვარად, ნათელია, რომ მიუხედავად ძალდატანებით აღმსარებლობის შეცვლისა, ზემო აჭარელი მუსლიმი ქართველებისთვის ღირებული და ხელიხელსაგომანები დარჩა ის ტრადიციული წეს-ჩვეულებები, რომლებსაც მათი წინაპრები მისდევდნენ და სისხლითა და მახვილით იცავდნენ.

ქართული ტრადიციული იდენტობის მატარებელი ნივთიერი მასალა მრავლად მოიპოვება როგორც საკულტო ძეგლებზე, ასევე ყოფასა და კულტურაში, რისი მოწმენიც შევიქენით ექსპედიციაში ყოფნისას. მადლობა მათ ამისთვის.

რა ვნახეთ

ნაქსოვი ორნამენტის თანამედროვე ასპექტები

ლია ლურსმანაშვილი

2022 წლის ზაფხულში, სამეცნიერო პროექტის – „ძველი ქართული ნაქსოვი ორნამენტის სახეობების კვლევა და ტექსტილის ტრადიციული და თანამედროვე ტექნოლოგიებით დამუშავება“ შესაბამისად, მეცნიერთა ჯგუფს რამდენიმე მივლინება და თითო ექსპედიცია ჰქონდა თბილისში, დმანისში, გორში, სიღნაღში, თელავში, ალვანსა და თუშეთში.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა თანამედროვე ეთნოგრაფიულ ყოფაში დამზადებული ნაქსოვი ნივთების შესწავლა მასალის, ლებვის, ქსოვისა და ორნამენტის მიხედვით. სიღრმისეული კვლევის თვალსაზრისით, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მეთოდების გამოყენებით შევისწავლეთ ავთენტური ნივთები, რომლებიც დაცულია საქართველოს ეროვნულ და რეგიონულ მუზეუმებში. ძველი ქართული ორნამენტის კვლევის მიზნით, სამეცნიერო გუნდმა მოძიებითი სამუშაოები ჩაატარა კერძო მუზეუმებსა და ოჯახებში. მოვახდინეთ ნივთიერი მასალის ფოტოფიქსაცია. შეგროვდა აუდიო (ინტერვიუები ჩავინერეთ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მატარებლებთან) და ვიდეომასალა. იდენტიური ნიმუშების მოსაქსოვად შევისწავლეთ ნედლეულისა და ორნამენტის ფერთა გამა. ჩატარდა ასევე ძველი ქართული ხელსაქმის სახეობების კვლევა კვლავწარმოებისა და თანამედროვე მრეწველობაში გამოყენების მიზნით. ადგილობრივ მოსახლეობაში შევიძინეთ ნედლეული – ნართი და ძაფი. დადგინდა ძველი ქართული ორნამენტის მოსაქსოვად გამოყენებული ნედლეულის ფიზიკურ-მექანიკური თვისებები და მოვახდინეთ მათი შედარება თანამედროვე წარმოების ნედლეულის ანალოგიურ თვისებებთან. ჩატარდა კვლევა ნედლეულის ხაზობრივ სიმკვრივეზე, გრეხვაზე, სინმინდზე და სხვ.

კვლევის პროცესში, ჩვენს ხელთ არსებული მასალის შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე მივიღეთ შემდეგი სურათი:

საქსოვი მასალა: ინდივიდუალური მქსოველები, ინდმწარმეები და პროფესიული სასწავლებლები საქსოვ მასალად იყენებენ: 1. შინამზად ნართს (თუშეთი, კახეთი – ალვანი), რომლის მოხმარება მიზანშეწონილია ჩხირებით; 2. შპს „თუშეთის“ მიერ დამზადებულ ორწვერა ნაგრეხ ნართს, რომელსაც შინამზადის მსგავსად ქსოვენ ჩხირებით. ხოლო, მათ მიერვე დამზადებული ცალწვერა ნართით ქსოვა შესაძლებელია როგორც ჩხირით, ასევე ყაისნალით. 3. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მოძიებულ საოჯახო პირობებში დამზადებულ ნართს, რომელიც გამოუსადეგარია საოჯახო და საწარმოო მანქანაზე ქსოვისათვის. 4. დღევანდელ ქართულ ბაზარზე არსებული სხვადასხვა ქარხნული ნართის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ნართით, რომელთა ხაზობრივი სიმკვრივე არის $N = 2,5; T = 400$ და $N = 8; T = 125$ ქსოვა შესაძლებელია ჩხირით, ყაისნალით და საოჯახო საქსოვ მანქანაზე, ხოლო საწარმოო 8, 10 და უფრო მაღალი კლასის მანქანაზე საქსოვად აღნიშნული ნართი არ გამოდგება; საწარმოო 8 და 10 კლასის მანქანებისთვის იდეალურია ნართი შემდეგი ხაზობრივი სიმკვრივით: $N = 32; T = 31$ და $N = 32/2; T = 31/2$.

გრეხვის სიდიდეები განვსაზღვრეთ გრეხმზომზე და მივიღეთ შემდეგი შედეგი: შინამზადი ნართისა და თანამედროვე ქარხნული ნართის გრეხვის სიდიდე შეესაბამება ტრიკოტაჟის მოსაქსოვად საჭირო პარამეტრებს. ასეთივეა შპს „თუშეთის“ მიერ წარმოებული ცალწვერა ნართის გრეხვის სიდიდე, ხოლო ორწვერა ნართის ნაწილს ახასიათებს ზედმეტი გრეხვა, რის გამოც ხდება ცალკეული მოქსოვილი ნიმუშის მარყუჟთა სვეტების გადახრა.

ექსპედიციის დროს თუშეთში შევიძინეთ ავთენტური მასალა. შესყიდული ნართის შესწავლის საფუძველზე, პროექტის შესაბამისად, მქსოველებმა თავდაპირველად ცალკეულ დეტალებად გამოიყვანეს თუშური და ხევსურული ორნამენტები. მათი ავთენტურ მასალასთან შედარებისას გამოიკვეთა დიდი მსგავსება (იხ. ილუსტრაციები – ქართული ორნამენტის ტექნიკური სქემები და ნაქსოვი ნიმუშები).

თანამედროვე მცენარეული და ქიმიური საღებრები

ველზე მოპოვებული მასალის მიხედვით, თანამედროვე სამღებრო პრაქტიკაში საღებრებად ღვინის, ალუბლის, ხახვის ფურცლების, კაკლის ნენგოსა და ფოთლების, დაფნისა და სხვა მცენარეთა ფოთლისა და ნაყოფის გამოყენებაა დამკვიდრებული. ღებავენ ასევე მოცვის მურაბის წვენში; თავშავას, პიტნის, დეკას, ბეგქონდარასა და ჭინჭრის ჩაის ნარევში; პამიდვრის ყუნწების, ფიჭვის ხავსის, ჭინჭრის ძირის ნახარშში. რეჰანს იყენებენ ხავსისფერის მისაღებად. საღებრის დამჭერად ძირითადად ძმარსა და შაბს ხმარობენ. საქსოვად ინტენსიურად ფაბრიკულ ძაფებს იყენებენ (თუშეთი, ქვემო ალვანი).

ჩატარებული შედარებითი ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა: აღნიშნული საღებრებით შეღებილი ნივთები ზოგიერთ შემთხვევაში აცდენილია ქართულ დომინანტ და მეორეულ ფერებს; ზოგჯერ დარღვეულია ფერთა გამა (ფარდაგები, ნაქსოვი ფეხსაცმელი და ფეხსამოსი). თუმცა, თანამედროვე გარემოში ინდივიდუალიზმისა და შემოქმედებითი თავისუფლების გზით მიღებული შედეგები სრულებით არ აკნინებს ტრადიციულს. პირიქით, ამრავალფეროვნებს მას და ამავე დროს წარმოადგენს კულტურული ექსპერიმენტის აღქმით, სასიამოვნო ნაწილს.

შენაქოელმა მთხრობელმა, ნანო სეხნიაიძემ გაგვიმხილა, რომ ვარდისფერი, მოცვის მურაბის ნახარშით ვარდისფერი საღებავი მიიღო; დეკა – საუკეთესო ჩალისფერს იძლევა; ჭინჭარი დაყვავილებამდე ხასხასა მწვანე ფერს იძლევა; ჟანგში შეღებილმა რომ ფერი დაიჭიროს, მასალა ჯერ ყავისფრად უნდა შეიღებოს. მრავალფეროვნებისთვის იგი მორჩენილ სხვადასხვა ფერის საღებავს ერთმანეთში ურევს და ისე ღებავს. ნანო ძირითადად ფარდაგებს ქსოვს, ბევრი შეკვეთაც აქვს. ასევე ქსოვს განივ-ზოლიან წინდებს. მის ოჯახში ვნახეთ 80 წლის წინათ მოქსოვილი ხურჯინი, რომელიც ისეთი წმინდა ძაფითაა ნაქსოვი, რომლის მსგავსსაც ახლა იშვიათად შეხვდებით (ტაბ. VI. სურ. 1)

სირანა ხაჩიძემ (შენაქო) დანახებით გვითხრა, რომ ტოლს აღარავინ ქსოვს; ნამდვილი თუშური ორნამენტი ზოლებიანია; მცენარეულ ორნამენტს თუშები არ ქსოვდნენ; ძველად ფერის დამჭერს არ ხმარობდნენ; ყვითელ ფერს თუთის ხის ნახერხისგან იღებენ (ტაბ. VI. სურ. 2).

ველზე მუშაობის დროს, თანამედროვე ეთნოგრაფიულ ყოფაში კულტურული მემკვიდრეობის მატარებლებთან ჩაწერილი ინტერვიუების, ოჯახებსა და ბაზარზე გამოტანილ ნაწარმზე დაკვირვებითა და შესწავლით დადგინდა, რომ საღებრებად გამოიყენებენ როგორც ბუნებრივ ინგრედიენტებს, ასევე ქიმიურ დანამატებს.

თანამედროვე ნაქსოვი ორნამენტები

დღევანდელ ბაზარზე გამოტანილი ნაქსოვი ნივთები, როგორიცაა ფარდაგები, წინდები, დეკორატიული ნივთები, სუვენირები, სამოსის აქსესუარები და სხვა ნაქსოვია როგორც ტრადიციული მეთოდების გამოყენებით (ჩხირებით ქსოვა, დაზგაზე ქსოვა), ასევე ფაბრიკული წესით (ტაბ. VI სურ. 3).

თუშური „ჭრელა“ სისადავითა და დახვეწილი გემოვნებით აღაფრთოვანებს და ფარული რიდის გრძნობას უღვიძებს მნახველს. თანამედროვე ეთნოგრაფიულ ყოფაში დეკორის სტრუქტურა მეტ-ნაკლებადაა დაცული, თუშურ ნაქსოვ ნივთებზე გამოსახულია სწორი, ზიგზაგი, ტეხილი, წყვეტილი და დახრილი ხაზები. დატანილია ასევე ჯვრები, რომბები, რომბებში ჩასმული ჯვრები, ასო „ზ“, ფოთლიანი ალვის ხე, წყლის ნითელი ჭია, წერტილების რიგი და სხვა. არ არის დაცული ორნამენტის ლოკალურობა. „ჭრელაში“ ერთმანეთში ირევა თუშური და საქართველოს სხვა მთიანი რეგიონების ორნამენტის სახეები.

კვლევის ამ ეტაპზე არ შეგვხვდრია თუშური ორნამენტისთვის დამახასიათებელი ისეთი ფიგურები, როგორიცაა პეპელა (რკალთა რიგი), საყდარი (სამკუთხედში ჩასმული სამკუთხედი), ფარის თვალა (წრეში ჩასმული წრე), ჯარანა (დახრილი ჯვრებით შევსებული ირიბი ჯვარი) და სხვა.

ზემოთ განხილული მასალის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ქართული ტრადიციული საფეიქრო მრეწველობა კვლავ ცოცხლობს და აგრძელებს ტრადიციებს. თუ-

მცა შეინიშნება რიგი დარღვევები, როგორც ორნამენტის, ასევე მასალისა და საღებრების გამოყენების თვალსაზრისით.

საინტერესო და მრავალსიმომცემი იყო ალვანში, ხელსაქმის თუშ დიდოსტატ ლილი მურთაზაშვილთან სტუმრობა. ოთხმოც წელს გადაცილებული, თავის კუთხეზე უზომოდ შეყვარებული ეს დიდებული ხელოვანი თუშური ტრადიციული ხელსაქმის მემკვიდრეა. შესანიშნავად ფლობს ბუნებრივი საღებავებით ღებვისა და ორნამენტული ქსოვის საიდუმლოებებს. რამდენიმე მათგანი ჩვენც გაგვიზიარა: მატყლს ძირითადად თუშეთში ღებავს, რადგან ულტრაიისფერი სხივების სიჭარბე ჟანგვის ხარისხს აუმჯობესებს; თავის შემოქმედებაში ფიროსმანის ფერებს იყენებს. ცნობილია, რომ ფიროსმანი შვიდ ძირითად ფერს იყენებდა, შემდეგ ტონალური შეხამებით ქმნიდა მისთვის დამახასიათებელ განუმეორებელ ფერებს.

მოლოდინს აჭარბებს ჩვენი მასპინძლის მიერ ულამაზესი ფერებითა და ორნამენტებით შესრულებული ხალიჩა-ფარდაგები, ჩითები და წინდები. ქსოვის დიდოსტატი ძირითადად იყენებს თეთრ, წითელ, ლურჯ, ყავისფერსა და შავ ფერებს. გარდა ამისა, შესაძლებლობა გვქონდა, გვენახა და უშუალოდ შევხებოდით დაახლოებით 200 წლის წინ მოქსოვილ, დიდებული ორნამენტებით შემკობილ ფარდას (ტაბ. VI. სურ. 4).

არ შეიძლება მაღლიერება არ გამოეხატოთ ქვემო ალვანის პროფესიული კოლეჯის „აისის“ ხელმძღვანელის, ნუგზარ ძამუკაშვილისა და მისი შრომისმოყვარე კოლეგებისადმი. უამრავი სხვადასხვა სახის ნამუშევარი, ფერთა ულამაზესი პალიტრა, ბუნებრივი და ეკოლოგიურად სუფთა მასალისგან დამზადებული ტრადიციული ნაბდები, თუშური ფარდაგები, ქუდები, წინდები, ჩითები; თანამედროვე კომპოზიციები თექაში (ტაბ. VI. სურ. 5). ბატონმა ნუგზარმა უშურველად გადმოგვცა ბუნებრივ ფერთა მიღებისა და ქსოვილის დაჩითვის მისეული მეთოდები (იხილეთ ინტერვიუ აქვე. გვ 35). დიდი ინტერესი გამოიწვია მის მიერვე შექმნილმა თექის მოსათელმა მექანიკურმა ხელსაწყომ. მაღლობა მათ!

მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ვიზიტი ზემო ალვანში, შპს „თუშეთის“ ხელმძღვანელთან, დიმიტრი არინდაულთან. მან სიამოვნებით დაგვათვალისწინა სანარმო (ტაბ. VI. სურ. 6), რომელიც ამ ეტაპზე, გაუმართაობის გამო, თითქმის გაჩერებულია. არადა, მატყლის ძაფის შეძენის მსურველი უამრავია. ადრე თუ ძაფის რეალიზაციას ვერ ახდენდნენ, ახლა პირიქით. ფაბრიკა შალის ძაფის გარდა, თექის მატყლს, ფერად მატყლს, ფარდაგებს, ნაბდებს, საბნებსა და ლეიბებს აწარმოებს. თუმცა, მასპინძელმა გამოთქვა იმედი, რომ მოახერხებენ მატყლის თანამედროვე სამრეცხაოს შეძენას და შესაბამისად, მატყლის მარაგის შექმნას. მისგანვე მივიღეთ ინფორმაცია, ომალში უხარისხო მატყლის გადამამუშავებელი ქარხნის აშენების გეგმის შესახებ, რომლის საბოლოო პროდუქტი ორგანული სასუქი იქნება.

დანარჩენ რეგიონებში მივლინებების დროსაც გვქონდა შეხვედრები ინდივიდუალურ მქსოველებთან, ინდემნარმეებთან, პროფესიული სასწავლებლების მასწავლებლებთან. საინტერესო ინფორმაცია მოგვანოდა სიღნაღელმა ნონა გიგოლაშვილმა, რომელიც დედასთან ერთად გასულ საუკუნის 60-70 წლებში მუშაობდა ხალიჩების საქსოვ ფაბრიკაში. ქსოვდა ხელის საქსოვ დაზგაზე ძველი ორნამენტებით შემკობილ ხალიჩებს, რომლებზეც დიდი მოთხოვნა იყო და საზღვარგარეთაც იყიდებოდა. აქაურმა მქსოველმა დარეჯან იარალოვამ აღნიშნა, რომ ფაბრიკაში საუკეთესო ხალიჩები იქსოვებოდა, მასალაც მთლიანად თუშური მატყლისაგან მზადდებოდა.

გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ აქაური მენარმეები ძირითადად ორიენტირებულნი არიან ტურისტულ სექტორზე და ადგილობრივი რესურსებისა და პოტენციალის ბაზაზე ქმნიან პროდუქციის ისეთ სახეობებს, რომლებიც ტურისტთა მოთხოვნების ნუსხაშია მოქცეული და ამავე დროს წარმოაჩენენ ჩვენს მხატვრულ-ესთეტიკურ გემოვნებას, სამეწარმეო ტექნოლოგიურ ცოდნასა და გამოცდილებას.

არანაკლებ საინტერესო გამოდგა ექსპედიცია მაღალმთიანი აჭარის სხვადასხვა რეგიონში 2023 წლის ზაფხულში. კვლევის მიხედვით დადგინდა, რომ აღნიშნულ რეგიონში ნაქსოვ ორნამენტთან ერთად მნიშვნელოვანია ნაქარგი ორნამენტები. პარალელურ მასალად გამოყენებულია აჭარის რეგიონულ, კერძო მუზეუმებში დაცული და ყოფაში (ოჯახებში) შემორჩენილი ავთენტური ნივთები. აჭარული სამოსისა და აქსესუარების დეკორისა და კოსტიუმში გამოყენებული ძირითადი ფერების შესწავლის მიზნით, კვლევის ობიექტად შევარჩიეთ საქართველოს მუზეუმებში დაცული აჭარული ტრადიციული სამოსი და აქსესუარები, რომლებიც XIX-XX საუკუნეებს განეკუთვნება. ასევე შევარჩიეთ ველზე მოპოვებული მასალა. შევისწავლეთ დეკორი და შესრულე-

ბის ტექნიკა. სიღრმისეული კვლევისთვის გამოვიყენეთ ხალიჩურ ნაწარმზე, ავეჯზე, სახლის ინტერიერზე, ლითონისა და კერამიკულ საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთებზე დატანილი ორნამენტის სახეები.

აღსანიშნავია, რომ სამოსის გეომეტრიული მოტივი პირვანდელია და მცენარეულ, ანთროპომორფულ და ზოომორფულთან შედარებით ძველია. რაც შეეხება ფერთა შეხამებას, აქ საქმე გვაქვს მეზობელი თურქეთის კულტურის ზეგავლენასთან, რაც მყვირალა ფერებით ხასიათდება. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ აჭარულ კოსტიუმში მრავალრიცხოვანი ფერთა გამის შეხამება ქართული გემოვნებით ხდებოდა. აჭარულ სამოსსა და აქსესუარებში დომინირებს: ყოლოსფერი, ყვითელი, ლურჯი, წითელი, მწვანე და შინდისფერი. დეკორი გეომეტრიულ-მცენარეული და სტილიზებულია. ვხვდებით დახრილი ჯვრის ჩანართებს.

ორნამენტებით მდიდარია ხალიჩები – ჯეჯიმები (ტაბ. VI. სურ. 7), რომელსაც მაღალმთიან აჭარაში იყენებდნენ იატაკზე დასაფენად, სანოლებზე – „სეკვებზე“ გადასაფარებლად და კედელზე გასაკრავად. „ხალი“ იქსოვებოდა მატყლის მისაქსელით. ზემო აჭარაში ხალიჩურ ნაწარმზე გამოსახავდნენ რომბებს, კვადრატებს, სამკუთხედებს. მცენარეული კომპოზიციები კი არ გვხვდება.

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ თანამედროვე ზემო აჭარელი ქალების უმრავლესობა მხატვრული ქარგვისა და წინდური ქსოვის დიდოსტატები არიან. აღნიშნულის უტყუარი დადასტურებაცაა მათ მიერ შესრულებული მხატვრული კერვის ნიმუშები. ნაქარგობები ძირითადად შესრულებულია მცენარეული ორნამენტებითა და მისთვის დამახასიათებელი ფერადოვნებით. იშვიათად ვხვდებით ზოომორფულ გამოსახულებებს. წინდების ქსოვისას გეომეტრიული ორნამენტები ქარბობს, ფონი მუქიცაა და ღიაც (ტაბ. VI. სურ. 8).

ნაყოფიერი იყო შუახევის მუნიციპალიტეტიდან ჭვანის ხეობის ეთნოგრაფიულ მუზეუმში სტუმრობა. როგორც ამ მუზეუმის დამაარსებელმა და ხელმძღვანელმა ტარიელ ბოლქვაძემ გვიამბო, აქ თავმოყრილია 150-250 წლის წინანდელი დაახლოებით 200 ერთულამდე ეთნოგრაფიული ნივთი. აქვეა დაცული აჭარის ყოფისა და კულტურის ამსახველი ფოტოსურათების კოლექცია. სამუზეუმო ექსპონატებიდან საინტერესო იყო აჭარული ორნამენტებით შესრულებული ნაქარგობები, ნაქსოვები, სამოსის ელემენტები, საყოფაცხოვრებო დანიშნულების რკინისა და ხის ჭურჭელი, შრომის იარაღების მდიდარი კოლექცია. ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ძველმა აჭარულმა შალის სახიანძმა პაჭიჭებმა, რომელსაც მუქ ყავისფერ ფონზე ჩაქსოვილი აქვს მუქი ყვითელი დახრილი ჯვრები (ტაბ. VI. სურ. 9).

ხულოს კულტურის ცენტრში სტუმრობისას გვაჩვენეს დაახლოებით 150 წლის წინანდელი ძველი ხალიჩა-თილიმი, რომელიც გადმოცემით გოგველ თურმანიძეს მოუქსოვია. აქვე, ამავე ცენტრში გავიცანით პედაგოგი, ძველი ხითხურო თამაზ თურმანიძე, რომელმაც მოკლე ექსკურსი გაგვინია აჭარული ტრადიციული ხის მხატვრული დამუშავების შესახებ. სასიხარულოა, რომ გამოცდილი ოსტატი თავის ცოდნას უმურველად უზიარებს მომავალ თაობებს (ტაბ. VI. სურ. 10).

დავათვალიერეთ ხულოს მხარეთმცოდნეობის ეთნოგრაფიული მუზეუმი, რომელშიც თვალსაჩინოაა წარმოდგენილი ზემო აჭარის ეთნოგრაფიული ყოფა და კულტურა.

არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო სოფელ თავოში თამილა ქარცივაძის, დარიკო ხილაძისა და ჟუჟუნა ცეცხლაძის საოჯახო მუზეუმებში სტუმრობა, სადაც მასპინძლებმა დაგვათვალიერებინეს ძველი და ახალი ორნამენტებით შემკობილი ნაქარგობები და წინდები (ტაბ. VI. სურ. 11). თვალს არ ვუჯერებდით, როდესაც სოფელ თავოში აჭარული ტრადიციული თავსაბურავით შემკულმა, 82 წლის ხელოვანმა ნათელა ცეცხლაძემ სიამოვნებით დაგვათვალიერებინა თავისი ხელით მოქსოვილი წინდები (ტაბ. VI. სურ. 12).

სოფელ ღორჯომში ვესტუმრეთ 83 წლის ლამარა ირემაძეს და მის რძალს, სედას, რომელიც რენვის ასოციაციის წევრია. მათ დაგვათვალიერებინეს თავიანთი ხელით მოქსოვილი წინდები, ხელთათმანები, ყელსახვევები, გვაჩვენეს ნაქარგი ნივთები ტრადიციული და თანამედროვე დეკორებით (ტაბ. VI. სურ. 8).

აქვე ჩვენი აღფრთოვანება გამოიწვია მზევინარ ირემაძის სახელოსნოში სტუმრობამ. ულამაზესი ნაქარგი და ნაქსოვი ნივთებით მოფენილ მომცრო დარბაზში ღორჯომელი ქალები რუდუნებით ასრულებენ ტრადიციულ ხელსაქმეს. მცენარეულ ორნამენტებს ძირითადად ქარგავენ თეთრ მიტკალზე. ნაქარგობებისთვის ესკიზებს შუშანა

ბერიძე ქმნის. საქარგავად იყენებენ მულინის ფერად ძაფებს. სახელოსნოში გეომეტრიული ორნამენტებით შესრულებული ძველი ხალიჩების საინტერესო კოლექცია ცნახეთ (ტაბ. VI. სურ. 13).

ზემო აჭარის ორნამენტული ხელოვნება შეუძლებელია განვიხილოთ ჯამეს ორნამენტის გარეშე. ხელვაჩაურის რაიონში, მარადის მეჩეთი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია. სოფელ ზვარეს, წყაროთას, ღორჯომისა და მარადის ხის ჯამეები და მეჩეთი ლაზი ხითხურობის მიერაა აგებული-დამშენებული.

დასკვნის სახით, უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის ამ ეტაპზე, ნაქსოვ ორნამენტში რიგი უზუსტობები და დარღვევები გამოვლინდა როგორც ფერში, ასევე სტრუქტურაში. გამოყენებული მასალები უმეტესად ფაბრიკულია. აქვე სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ ქსოვა და ქარგვა აჭარის რეგიონში ტრადიციული მეთოდებით მიმდინარეობს. საქართველოს ამ უმშვენიერეს კუთხეში ტრადიცია და თანამედროვეობა ორგანულად ერწყმის ერთმანეთს, ხოლო მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება მათი კეთილდღეობის საწინდარია.

დავათვალიერეთ შერიფ ხიმშიაშვილის სახლ-მუზეუმი, რომელშიც ფოტოებითა და ნახატებით აჭარის ისტორიული ყოფის ამსახველი ფრაგმენტებია გადმოცემული (ტაბ. VI. სურ. 14).

მნიშვნელოვანი იყო რამინ დანიძის სახლში, ლითონის ფირფიტებით შეკრული და ორნამენტებით შემკული ძველი ხის სკივრი. საგულისხმოა ამ ფირფიტებს შორის დატანილი ჯვრის გამოსახულება (ტაბ. VI. სურ. 15).

სოფელ საბელაშვილებში დაცულია საქარავნო ხიდი, რომელიც გადმოცემის მიხედვით დაახლოებით 350 წლის წინ ვინმე ადგილობრივ ბერიძეს აუგია. ვარაუდობენ, რომ იგი XVI-XVII საუკუნეების ძეგლია. აგებულია ურთხელისა და ნაბლის ხისგან. სპეციფიკური ოვალური ფორმის გამო დაცულია სტიქიური განადგურებისგან. ხიდი გადახურულია ისე, რომ მასზე მხედარს თავისუფლად შეუძლია გავლა (ტაბ. VI. სურ. 16).

უდიდესი ღირებულების მქონეა სოფელ მირვეთში, ღია ცის ქვეშ დაცული უძველესი ქვის საწნახელი, რომელზეც ქართული ბორჯღალია გამოსახული (ტაბ. VI. სურ. 17).

რა მოვისმინათ...

ინტერვიუები კულტურული მემკვიდრეობის მატარებლებთან

ლია ლურსმანაშვილი, ნატო ფაილოძე, ნანული აბესაძე

ზემო აჭარა. ხულოს მუნიციპალიტეტი სოფელი მანიაკეთი

– როდის და როგორ დაინტერესდით ნაქარგობით?

ოჯახში ბავშვობიდან ვხედავდი ქარგვას. შესაბამისად, ჩემი ჩართვა მასში ბუნებრივად მოხდა და წამოვიზარდე თუ არა, დავინწყე იმის კეთება, რასაც მანამდე, ბავშვობაში ვხედავდი.

ჩემი მასწავლებელი დედაჩემი იყო. ის მიხსნიდა, რა როგორ უნდა გამეკეთებინა, რომ ნამუშევარი კარგი ყოფილიყო. ეს იყო ტრადიცია, რომელიც შთამომავლობას გადაეცემოდა და მისი ძირითადი მიზანი, იმის გარდა, რომ სახლს ამშვენებდა, მზითევემი წაღება და ახალი ოჯახის გაოცება იყო. გოგონები ქარგვას სკოლის ასაკიდან იწყებდნენ და გათხოვებამდე ცდილობდნენ უფრო მეტი და ლამაზი ნაქარგობა დაეგროვებინათ.

ქარგვის პროცესი

მიტკალი (ბამბის თეთრი ქსოვილი) გამოიყენებოდა ნაქარგობის ზედაპირად. ვიღებდით სასურველ ზომას, ვრეცხავდით და ხდებოდა მისი გადაჭიმვა მაგიდაზე ისე, რომ ხატვის დრო ქსოვილს ხელი არ შეეშალა. ვხატავდით სასურველ ორნამენტებს, ძირითადად იხატებოდა ბუნების ნიშნები, მცენარეები და ცხოველები. ვხატავდით სპეციალური ქიმიური კალმით, რომელიც მიტკალს არ შორდებოდა. დახატვის შემდეგ ველოდებოდით ქსოვილის გაშრობას. ამის შემდეგ იწყება ქარგვის პროცესი. საქარგავად გამოიყენებოდა მულინის ძაფი, მრგვალი საქარგავი ხელსაწყო და ნემსი. ხელსაწყოში ვდებდით ნაჭრის იმ ნაწილს, საიდანაც გვინდოდა ქარგვის დაწყება. ვარჩევდით სასურველ ფერებს და ვიწყებდით ქარგვას. თანდათან მივყვებოდით ნამუშევარს. ქარგვის დამთავრება დამოკიდებული იყო ნახატის ზომაზე.

ასევე ხდებოდა უკვე არსებული ნაქარგობის კოპირება. ამ შემთხვევაში ჯერ მზა ნაქარგობას დებდნენ მაგიდაზე, შემდეგ კი სველ მიტკალს გადაჭიმავდნენ ზედ, რის შემდეგაც გამოჩნდებოდა ნაქარგობის დეტალები, რომელიც ამოიხატებოდა კალმით, ეს მეთოდი ხშირად გამოიყენებოდა, ვინაიდან ხატვა ყველას არ შეეძლო.

ქარგვის დასრულების შემდეგ ხდებოდა გავლება სახამებლიან წყალში და შემდეგ დაუთოვება სიმტკიცისთვის.

მთხრობელი ნათელა საგინაძე

ზემო აჭარა. ხულოს მუნიციპალიტეტი სოფელი ღორჯოში

მაქვს ჩემი სახელოსნო, დასაქმებული მყავს ქალები. ძველი ტრადიციებით ვქარგავთ და ვქსოვთ. ბევრი არის ბებიაჩემის და დედაჩემის დროინდელი ნაქარგობები. ქარგვა ბებიაშემ შემასწავლა. ადრე ნაქარგობებით ალამაზებდნენ დედოფლის ოთახს. სახლიც ნაქარგობებით ირთვებოდა.

ადრე მოყვარულის დონეზე ვქარგავდი და ვქსოვდი. ბებია მასწავლიდა, რომელი ორნამენტი უნდა გამომეყენებინა. იგი ამოსაქარგ ძაფს ყიდულობდა, ახლაც ასეა. მოსაქსოვ ძაფს თვითონვე ართავდა. ცხვარი გვყავდა, როგორც ყველას. ძაფს ღებავდა. ახლა წალკიდან გადმოგვაქვს მატყლი.

2017 წელს გავხდი რეწვის ასოციაციის წევრი. 2020 წელს გავხსენი სამკერვალო სახელოსნო. 2021 წლიდან ვქარგავთ. ნაქარგობისთვის ესკიზები ქსოვილზე გადაგვაქვს ცარცით და ფანქრით. ვქარგავთ როგორც ტრადიციული მეთოდით, ისე გადმოგვაქვს ახალი ნახატები.

გვაქვს შეკვეთები. ვქსოვთ წინდებს, მხრებზე მოსახვევებს, ხელთათმანებს. ფერები არის ბებიასდროინდელი, ვიყენებთ ახალსაც. ინტერნეტით რომ გვიკავშირდებიან, ან თვითონ გვთავაზობენ ნაქარგის სახეს, ან ჩვენ ვთავაზობთ.

მთხრობელი მზევინარ ირემაძე

ზემო აჭარა. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი სოფელი კიმნათი

ხელნაკეთი ნივთების მასალად ვიყენებთ ყველაფერს – ჯვალოს, კანაფის ძაფს, სილიკონს, სხვადასხვა ნივთს. ნაქსოვიც ჩემია. ვქსოვ ბამბის ძაფით, ირისით, წმინდა ყანისნალით. დედაჩემმა იცოდა კედლის მოსართავეების, კალათების, დაროშკების, ხალიჩების ქსოვა. ეს ფრაგმენტები დედაჩემის ძველი ხალიჩიდან ამოვჭერი და მოსართავად გამოვიყენე. მაქვს საჩეჩელი, ვიცი მატყლის ფთილის გაჩეჩვა, დაწნვა და დართვა.

მთხრობელი ნუშიე ცინცაძე

მესხეთ-ჯავახეთი. ასპინძის მუნიციპალიტეტი სოფელი ჭობარეთი

წინათ აქ ყველა ქსოვდა და მეცა. ჩემი ნაქსოვი მზითვებში წამოვიღე და დღესაც ვუვლი. ჩემი თავისახლიც ჭობარეთშია. სახლში დამხვდა დედამთილის მოქსოვილი ორი დასრულებული და ერთიც დასასრულებელი ხალიჩა, რომელიც დავასრულე. ოჯახში უწინ ხის ნაქსოვი დაზგაცა გვექონდა და ნართიც.

მთხრობელი ნაზო (ზაბრიკო) ჯვარიძე. 81 წლის

კახეთი. სიღნაღის მუნიციპალიტეტი ქალაქი სიღნაღი

ხალიჩების საამქროში 10 წელი ვმუშაობდი, როგორც კი სკოლა დავამთავრე, მივედი. სოლანის ფილიალი იყო, 300 კაცი მუშაობდა. დედაჩემი იქ 40 წელიწადს მუშაობდა, მა-მიდაჩემიც. ჩემი და დედას ხალიჩები საზღვარგარეთ გადიოდა. დედა მოწინავე იყო, მედლებიც მაქვს. ხელის დაზგაზე ვქსოვდით. მატყლი შემოდიოდა, ძაფიც. ბაქოდანაც შემოქონდათ ძაფი. ბაქოს ბანარი ძალიან კარგი იყო. ფერები ქიმიურიც იყო და ნატურალურიც. მე არ შემიღებია, მღებავები სხვები იყვნენ. სქემას ხან მასტერი აკეთებდა, ხან ჩამოდიოდა. ყველაზე დიდი ხალიჩა – 1,5 X 3-მეტრიანი იყო. ქსოვას 3 თვე ვუნდებოდით. პატარა დაროშკებს 4-5 დღეში ან ერთ კვირაში ვქსოვდით. სამწუხაროდ, ახლა ჩვენი შრომა აღარავის აინტერესებს. მე ვიცი, რომ დაკარგულია, აქ აღარავინ არა ქსოვს, გული მტკივა. ჩემი ოსტატი მეხვეწებო, დაგიქსელავ, ოღონდ შენ ჩამოქსოვეო. ორნი დავრჩით შედარებით ახალგაზრდა, დანარჩენები დაიხოცნენ. დაზგის დადგმა მინდოდა, ორნამენტებიც მაქვს, უზორებიც, მაგრამ 400 ლარი უნდა მის გამართვას...

მთხრობელი ნონა გიგოლაშვილი

...

ხალიჩებში 20 წელიწადს ვიმუშავე. 21 წლის ვიყავი, მქსოველად რომ მივედი. უფრო ხანდაზმულები იყვნენ. ჩვენი ნამუშევარი საზღვარგარეთ გადიოდა, მოწინავე მქსოველი ვიყავი. ჟურნალში ჩემი სურათი იყო. ძაფს ცხვრისგან აკეთებდნენ. ძაფი ქართული იყო, შემოტანილი არ ყოფილა. დუშეთიდან მოქონდათ მატყლი, იქაც იყო ხალიჩების ფაბრიკა. ისინი სხვანაირად ქსოვდნენ, ჩვენ სხვანაირად, უფრო იოლად ვქსოვდით. ფერებს მე თვითონ ვარჩევდი. ისეთი კარგი იყო, ისე მომწონდა, როცა გავფენავდი, გავწმინდავდი, ვამბობდი, ეს მე გავაკეთეთ-თქო? უზორი გამზადებული მოდიოდა, დახატული იყო უჯრებით. თითო თვალი თითო უჯრა იყო და ისე ვქსოვდით.

მთხრობელი დარეჯან იარალოვი

...

ხალიჩების მქსოველი ვიყავი. 5 წლის წინ აქ გაიხსნა ხალიჩების ფაბრიკა, დამიძახეს. დამიბარეს და დავქსელე ხალიჩა. ცოტა ხანი პატარა ხალიჩებსა ვქსოვდით. ძალიან რთული სამუშაო იყო, შრომატევადი. სათითაოდ თვალსა ვკვანდავდი დანით და თან ვჭრიდი. ფერებს მე თვითონ ვირჩევდი.

მთხრობელი ზიზო გოზალიშვილი

თუშეთი. სოფელი შენაქო

დაბადებული ვარ სოფელ ვესტმოში, გომეწარში. გავიზარდე ობლობაში. 10 წლიდან შევისწავლე ყველაფერი. ტოლის ქსოვა ვესტმოში ვისწავლე, იქაურები ქსოვდნენ შარვლებს, პალტოებს. ძალიან წმინდა რომ იყოს ტოლი, უკულმა დართული უნდა იყოს. წალმა დართული სქელი გამოდის. ძაფს მე თვითონ ვართავდი, ახლა აღარ ვართავ. ერთი კილო მატყლი რომ დავართო, მთელი დღე უნდა. ტოლს აღარავინ ქსოვს.

ეს წინდები, სოფელში რომ ქსოვენ, მოჯაჯულებია, არ მომწონს. მცხვენია, რომ ვხედავ გამოფენილს. ნამდვილი თუშური წინდა ზოლიანია, ნაქსოვი მჭიდროა. კარგად იღებება ხახვის ფოჩში თუთის ხის ნახერხში ვლებულობთ ყვითელ ფერს. ლურჯად ლებავენ თავშავათი, ამბობენ, კარგად იღებებაო. მე არ მიცდია... ხავსში შეღებილი ღია მწვანე გამოდის. ფერის დამჭერად არაფერს ვხმარობდით, არ სჭირდება, არც შაბს ვიყენებთ. ამბობენ, ძველად ძროხის შარდს იყენებდნენო, ჩვენ არ გვიხმარია... ძალიან დიდხანსაც არ ვხარშავთ, რომ არ დაინვას. გამდინარე წყალში ვავლებთ, სანამ ფერი გადის. მერე ჯანგაროში ვავლებთ და ვბერტყავთ.

ბატკნის, კრაველის ნართი წმინდაა, რბილი. ცხვარს გაზაფხულზე პარსავენ, მას რისვი ქვია. ვხმარობთ საბნებში.

ღვინო რომ არ გადამელვარა, ღვინოში ვცადავ და გამოვიდა შეღებვა, გაამართლა, ღვინისფერი მივიღე. რომ მომრჩება სხვადასხვა საღებავი, ერთმანეთში ვურევ და დულარეში ნახევარი საათი ვაჩერებ. ზოგს ადრე ამოვიღებ, ზოგს უფრო გვიან და კარგი ფერები ამოდის, ჭვარტლიც კარგად ლებავს, პამიდორს რომ გამომიგზავნიან, ყუნწებს მოვაშორებ, ან დავჟეჟავ, ან ჩავყრი მდულარეში რამდენჯერმე, ერთმა შიტემ უნდა იდუღოს ნახევარი საათი. მოცვი რომ მოვხარშე, მურაბის წვენი დამრჩა და ვარდისფერი მივიღე. ვიყენებ დამჭერად ძმარს და მარილს, აღარც ხუნდება. ორივეს ვხმარობ ერთდროულად, მე ხომ არ ვიცი, რომელი აჯობებს. უფრო დაზღვეული ვარ. ადრე შარდშიც ალბობდნენ, წინვიც, ფიჭვის ხავსიც ძალიან ლამაზ ფერში ლებავს. ჭინჭრის ძირი სხვა ფერში ლებავს და ჭინჭარი სხვა ფერში, ჭინჭარი უნდა დაყვავილდეს და მერე.

მთხრობელი სირანა ხაჩიძე

...

ექსოვ, თვითონ ვლებავ, ჩაიებს ვაკეთებ, 7 წელია ბაზარზე ვართ, ჩაიები ჩვენია, ვაგროვებთ და ვყიდით ასევე ხელნაკეთებსაც. ვლებავ ჩაიებში-ბალახებში. თავშავა ჩაია – ორეგანო, ბევრმა არ იცის. პიტნა, ბეგთქონდარა, ჭინჭარიც, დეკაც ლებავს. ცელოფანში ვახვევთ, ჩახურდება, მერე მოვხარშავ და კიდევ ერთი კვირის მერე მოვხარშავ და ვლებავ. დასამაგრებლად ვიყენებ ძმარს და მარილს. თუში აკვანშივე სწავლობს ქსოვას, ჩვენმა ბავშვებმაც იციან. ჩემი თაობა ვართ ძველები. ბალახეულს ვკრეფ ყვავილობაში და ნამიანში. ნამი თუ შეშრა, ის ძალა აღარა აქვს. 5 საათზე გავდივარ დილით და 8-დან 9-ის ნახევარზე სახლში ვარ. ძაფს ვართავ, კახეთში ვარ, ლალისყურეში. მატყლი კი ამომაქვს, უკვე დავართე, ტარები მაქვს და ვართავ, ვძახავ. მაგრამ მატყლს ყველა ყრის, ისე დაეკარგა ფასი, რომ წასაღებადაც არ ღირს, ცეცხლს უკიდებენ მწყემსები. კახეთში ტოლიცა მაქვს ჩამოქსოვილი. ძველი, რამდენიმე ფარდაგი მაქვს ლალისყურში.

მთხრობელი ნანო სეხნიაიძე

თუშეთი. სოფელი დიკლო

ხუთი წლიდან ვქსოვ წინდებს, ჩანთებს, ხურჯინს, ბეზიაჩემმა მასწავლა. ქვემო ალვანში ფარდაგის ქსოვა მასწავლა ბახტურიძე ბათამ. ძალიან მაძლობელი ვარ. ძველი ტექნოლოგიით აღარავინ ქსოვს. ეხლა არავინ არ ქსოვს ტოლს. ეს არის ცხენის მოსართავი, ძველისძველი, 80 წლის ხურჯინი. ასეთ ძაფს ვერავინ ვერ მოქსოვს ახლა, ისეთი წმინდაა. ასეთი მეთოდით ვართავ, მაგრამ დროში ვერ ვეტევი და დამზადებულს ვყიდულობ. ფარდაგს აქ მარტო მე ვქსოვ. აკაზმა ნათხოვარია, ზაფხულში ამომაქვს. ვიყენებ დეკას ჩალისფერის მისაღებად. ფიჭვის ხავსშიც ვღებავ, ჟანგებში რამდენჯერმე უნდა დაამჟავო. ჯერ ყავისფრად იღებება, მერე ყვითლად.

მთხრობელი რუსუდან ოთარიძე

კახეთი. ახმეტის მუნიციპალიტეტი სოფელი ქვემო ალვანი

ოთხი წლისამ ვისწავლე მატყლის ჩეჩა და ძაფის დართვა. მახსოვს, ბავშვობაში საჩეჩელისა და სართავის ხმაში მეძინებოდა. დედა და ბებია გამუდმებით შრომობდნენ. დაამთავრებდა ბებია ქსოვას და იტყოდა, მზით გაეცვითოსო. 2006 წელს მსოფლიო ბანკის საგრანტო კონკურსისთვის ტრადიციული ხელსაქმე ავირჩიე. მოვამზადე პროექტი „მექსოვა მზითვის ჩითებ-ფარდაგი“. ჩემი მიზანი იყო, ძველი თუშური ორნამენტის აღდგენა და ბუნებრივი საღებავებით ღებვა. ყოველ წელს ვატარებთ სახალხო ფესტივალს. პირველად თაფლის არყის ფესტივალი ჩატარდა, მეორე წელს – ფარდაგის ფესტივალი, მესამე წელს კი ფიროსმანის ფესტივალი. თავდაპირველად საწარმოში შვიდი ქალი ვმუშაობდით. ვქსოვთ ფარდაგებს, ჩითებს, წინდებს, ქუდებს. საუკეთესოა თუშური მატყლი ჯანმრთელობისთვის. მატყლს ძირითადად თუშეთში ვღებავ. ბებია მასწავლა, მთაში უკეთ იღებება მატყლიო. მაშინ არ ვიცოდით, რომ მთაში ულტრაისფერი სხივების სიჭარბე ჟანგვის ხარისხს აუმჯობესებს. საღებავებად მცენარეებს ვიყენებთ. უმეტესად ვღებავთ შავ, ყავისფერ, თეთრ, ლურჯსა და მუქ წითელ ფერებში. შავს ვიღებთ დაფნის ფოთლითა და ჟანგით; ლურჯს – იფნისა და ნაცრის შერევით; ყავისფერს – თრიმლის, ხახვისა და დეკის შერევით. ფარდაგების ქსოვისას ყველა თუშურ ორნამენტს ვიყენებთ.

მთხრობელი ლილი მურთაზაშვილი

...

მწვანე ფერი, რომელსაც ჩვენ ვხედავთ, ეს არის დაფნის ფოთოლი, მაგრამ დაფნის ფოთოლი უნდა იყოს პირველწლიანი, მეორე წელი და შემდგომი წელი უკვე იძლევა შედარებით მუქ ფერს და შეიძლება ის ფერი არც დაჯდეს. ყვავილობის პერიოდში არ უნდა იყოს დაფნა. ერთი ყვავილიც რომ შეგვიყვეს, ფერი იცვლება მთლიანად, ცოტა სიკარიჩნეში მიყავს, მაგრამ თუ ამ დაფნის ფოთოლს დავამატებთ ზაფრანას, მივიღებთ თამბაქოსფერს. ქიმიკაში სხვაგვარად ხდება, ნებისმიერი ფერი შეიძლება მივიღოთ. მაგალითად 5 ლიტრი წყალი ჩავასხით, ჩავყარეთ 10 გრამი საღებავი და შეიღება. აქ სხვაგვარად ხდება. გააჩნია როდის არის ის მცენარე აღებული, რომელ ფართობზეა და სად არის ტერიტორიულად. კახეთში დაფნა სხვანაირ შეფერილობას გვაძლევს, იმერეთში სხვანაირს, ქართლში სხვანაირს და ასე ნებისმიერ კუთხეში, ნიადაგზეა დამოკიდებულია. აქვე ვხედავთ სხვადასხვა ფერებს, რომლებიც მივიღე. პირველი ფერი ეს არის წენგოში, მაქედან, ფრაქციები მაქვს აქეთ უკვე. შემდეგ ამოვიღე პირველი ფერი. ფერმჭერი ბევრი არ ჩავყარე, თუ ბევრი ჩავყარე კარგ ფერს მაძლევს, მაგრამ მეორე ფრაქციას აღარ მაძლევს. ფერმჭერად ვიყენებ ძმარს და მარილს, სოდასაც, გააჩნია, როგორი ფერი უნდა მივიღო. ტრადიციულად იყო სხვადასხვა ფერმჭერები. ხანდახან როცა ჩავდებ თეთრ შულოს, მთლად თეთრი წყალი გამოდის, რადგან გამოაქვს ფერმჭერს უკვე. ასეთ შემთხვევაში სხვა ფერს ველარ მივიღებ. ჩემი მიზანია ეს ტრადიცია დავინყებას არ მიეცეს. ბუნებრივი საღებავებით შეღებილი უფრო მედეგია. ზოგი მცენარე ფერს არ გასცემს, მაგალითად ანწლი ფერს არ გასცემს, რეჰანი გარედან არის წითელი. თითქმის მივიღე ხავსისფერი. ცდებს ვატარებ.

მთხრობელი ნუგზარ დამუკაშვილი

თავი II. ქართულ-კავკასიური ორნამენტის შედარებითი ანალიზისათვის

გულნარა კვანტიძე

კავკასიას ხშირად ხალხთა მუზეუმს უწოდებენ, მის არცთუ ისე დიდ ტერიტორიაზე 50-მდე ეთნოსია დასახლებული, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან როგორც მენტალიტეტით, ასევე აღმსარებლობითა და ცხოვრების წესით (ხუსკივაძე, 2018).

მიუხედავად იმისა, რომ კავკასიელ ხალხთა კულტურული და პოლიტიკური ისტორია ერთ კალაპოტში არასოდეს ჩამდგარა, ყოფისა და კულტურის ზოგიერთი ელემენტი საერთო ნიშან-თვისებებით ჩამოყალიბდა. მხატვრულ ლიტერატურას, ხელოვნებისა და კულტურის ამა თუ იმ დარგს, არცთუ იშვიათად, ახასიათებს თავისებურად აირეკლოს მეზობელი ხალხების შემოქმედებითი ყოფის საუკეთესო მიღწევები, მაშინაც კი, როცა სხვადასხვა რიგის ეს კულტურული ფასეულობები ერთმანეთისთვის სრულიად უცხო, სხვა რელიგიურ, პოლიტიკურსა და სოციალურ გარემოშია წარმოქმნილი. ასეთებად შეგვიძლია მივიჩნიოთ სტუმართმოყვარეობის ტრადიციები, მსგავსი ადათობრივი სამართალი, სისხლის აღების წეს-ჩვეულება, სამოსის ელემენტთა მსგავსება (ხუსკივაძე, 2018, თოფჩიშვილი, 2012).

საქართველო მრავალეთნიკური კავკასიის ნაწილია. აქედან გამომდინარე, საკვებით დასაშვებია, რომ ქართულ ორნამენტს ნაქსოვ ნაწარმში, მით უფრო ხეცსაქსოვსა და თუშურს აღმოსავლეთ საქართველოში და აჭარულსა და სამცხურ-ჯავახურს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, თავისი ზეგავლენის ქვეშ მოექცია სამხრეთ და ჩრდილოკავკასიელი ეთნოსების ნაქსოვი ორნამენტი. ან პირიქით, ქართული მოქცეულიყო მეზობელი ეთნოსების ორნამენტის ზეგავლენის ქვეშ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქართული ნაქსოვი ორნამენტის დეტალური კვლევის თვალსაზრისით, საჭიროდ მიგვაჩნია მისი კავკასიურთან შედარება, რათა გამოვლინდეს მათ შორის არსებული მსგავსება-განსხვავებები და დადგინდეს მეტ-ნაკლებად ზუსტი სურათი იმისა, თუ რომელია ავთენტური და რომელი ზეგავლენის შედეგად დამკვიდრებული სახე ქართულ ნაქსოვ დეკორში.

საკვლევ ობიექტებად შევარჩიეთ ერთი ეპოქისა (XIX-XX საუკუნეების 30-40-იანი წლები) და ერთი სახეობის (ხალიჩა-ფარდაგები, ხურჯინები, ნაქსოვი ფეხსაცმელები, ჭრელსახიანი წინდები, ნაქარგი წინსაფარი; ქისები) ნივთიერი მასალა, რომელიც თანხვედრაში მოდის სამხრეთ და ჩრდილოკავკასიელი ხალხების ნაქსოვ ორნამენტთან. ნივთების დიდი ნაწილი საქართველოს ეროვნული მუზეუმის, სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის კოლექციებშია დაცული. გამოვიყენეთ ასევე მივლინებებისას ველზე მოპოვებული ნივთიერი მასალის ფოტოები.

კვლევა ვიზუალური ანთროპოლოგიის ისტორიულ-შედარებითი და შედარებით-ანალიტიკური მეთოდებით განხორციელდა.

მიზანშეწონილად არ მივიჩნიეთ გურული, მეგრული, სვანური და რაჭული წინდებისა და რბილძირიანი ნაქსოვი ფეხსაცმელების სამუშაო პროცესში ჩართვა, რადგან ამ რეგიონებისთვის დამახასიათებელია ფეხსამოსის სადა ან ვერტიკალურ-ჰორიზონტალური ხაზებით გაფორმება. აღნიშნული მოტივები რალა თქმა უნდა, თავის მხრივ საინტერესოა, მაგრამ მათი იდენტიფიკაცია და შედარებითი ანალიზი ბევრს ვერაფერს მოგვცემდა.

დასაწყისისთვის, გადავწყვიტეთ ერთმანეთისთვის მეზობელი რეგიონების ნაქსოვი ორნამენტები შეგვედარებინა, ვინაიდან ურთიერთზეგავლენის ალბათობა ახლომდებარე რეგიონებს შორის დიდია. აზერბაიჯანული წინდები შევადარეთ ინგილოურს¹ და კახურს, სომხური – ქართლურს, სამცხურ-ჯავახურსა და აჭარულს; თუშურ-ფშაურ-ხევსურული და მთიულური – ჩრდილოკავკასიურ ლეზგინურს, ხუნძურსა და დიდოეთურს.

ჩატარებული სამუშაოს პირველმა ეტაპმა სრულიად მოულოდნელი შედეგი გამოავლინა. თუკი ქართული და კავკასიური ჩაცმულობის ელემენტები ურთიერთზეგა-

¹ საინგილო – ეთნიკური ქართველებით დასახლებული ტერიტორია თანამედროვე აზერბაიჯანში; ინგილოები – საინგილოში მცხოვრები ქართველები.

ვლენის ნიადაგზე განსაზღვრული საერთო ნიშნებით ხასიათდება, როგორცაა, მაგალითად: ცრუ სახელო,¹ სახელოს გახსნილი ილღია, სამხედრო,² ქობა³ და სხვა, ნაქსოვ ორნამენტებს შორის საპირისპირო სურათი გამოვლინდა.

კვლევის მეორე ეტაპზე რეგიონული სიახლოვისთვის ყურადღება აღარ მიგვიქცევია და უკლებლივ ყველა შერჩეული ქართული და კავკასიური ნივთიერი მასალა შევადარეთ ერთმანეთს. ჩვენდა გასაოცრად, ქართულსა და კავკასიურ ორნამენტებს შორის არცერთი საერთო ნიშან-სიმბოლო არ დადასტურდა.

საბოლოოდ, გადავწყვიტეთ ქართულ-კავკასიური ნაქსოვი წინდების ორნამენტები ტიპოლოგიის მიხედვით დაგველაგებინა. მივიღეთ გეომეტრიული, რომელშიც ცალკე გამოვყავით სიცოცხლის ხე, ბორჯღალი,⁴ აკუშურა,⁵ მცენარეული ორნამენტებიდან – ვარსკვლავი, ვარდული, ყვავილის ორნამენტი...

გეომეტრიული ორნამენტებით შემკული ქართულ-კავკასიური წინდები მიუხედავად იმისა, რომ ერთგვაროვანი რომბების, ჯვარედინი ხაზების, სამკუთხედების, დახრილი ხაზებისა და სხვა მსგავსი მოხაზულობებისგან შედგება, განსხვავებული ვიზუალიზაცია მათ შორის მკაფიოა, რასაც კომპოზიციური შედგენები და დომინანტ ფერთა სხვადასხვაობა განაპირობებს (ქართული (ფშავი, საინგილო, ხევსურეთი) და დაღესტნური) (ტაბ. VII. სურ. 1-5).

სიცოცხლის ხის მრავალფეროვანი კომპოზიციებია მოცემული ქართულ (ახალციხური, მოხეური), დაღესტნურ (ჯურმუდული), სომხურსა და აზერბაიჯანულ ნაქსოვ ნივთიერ მასალაზე, თუმცა არა ერთგვაროვანი და ისევ დიდად განსხვავებული (ტაბ. VII. სურ. 6-10).

არცთუ იშვიათია, დაღესტნურსა და ქართულ ნაქსოვ ფეხსამოსებში **აკუშურათი** შემკული დეკორები. საერთო სახეების მიუხედავად, ორნამენტების კომპოზიციები იმდენად განსხვავებულია, რომ მათ შორის მსგავსება არ იკითხება (ტაბ. VII. სურ. 11-14).

ვარსკვლავის მსგავსი სხვადასხვა ორნამენტიკითაა შემკული ქართული (ქართლი, ხევსურეთი), დაღესტნური (ხუნძახი, ყუბა), აზერბაიჯანული და ხევსურული წინდები (ტაბ. VII. სურ. 15-19), თუმცა ეს ერთგვაროვანი სახეები ამ შემთხვევაშიც იმდენად განსხვავებულ კომპოზიციებს ქმნის, რომ მათ, საერთოსა და მსგავსს ვერ დავარქმევთ.

ბორჯღალი დეკორში ერთ-ერთი ყველაზე მეტად გავრცელებული უნივერსალური კულტურული ელემენტია, რომელიც თითქმის ყველა უძველესი ცივილიზაციის მქონე ხალხების კულტურაში ერთ-ერთ მთავარ ფიგურას წარმოადგენს. ამ მხრივ არც ქართული, გნებავთ, კავკასიური კულტურაა გამონაკლისი. ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში იგი გაცილებით ბევრგან ფიგურირებს, ვიდრე სხვა რომელიმე ორნამენტი. ბორჯღალის განსხვავებული ვარიაციებითაა გალამაზებული ქართული (აჭარა, ფშავი, ხევსურეთი, საინგილო, კახეთი), სომხური, აზერბაიჯანული და დაღესტნური ნაქსოვი ნიშუშები, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავებულ და უცხო კომპოზიციებს ქმნიან (ტაბ. VII. სურ. 20-24).

ნაქსოვ დეკორში არანაკლები სიხშირითაა წარმოდგენილი ყვავილოვანი ორნამენტები. განსაკუთრებულად საინტერესოა გეომეტრიული ფიგურებით შექმნილი **ვარდულები**, რომლებიც ბორჯღალის მსგავსად ხშირადაა მოცემული ქართულ (საინგილო, ახალციხე, აჭარა, კახეთი, ქართლი, ხევსურეთი, ფშავი, თუშეთი), სომხურ, აზერბაიჯანულ და დაღესტნურ ნაქსოვებზე. ვარდულები აქაც ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულ მოტივებს ქმნიან (ტაბ. VII. სურ. 25-31).

ანალოგიური მოცემულობაა ქართული და კავკასიური **ნაქსოვი ფეხსაცმელების** შემთხვევაში. განსხვავებულია როგორც ორნამენტი, დეკორი, კომპოზიცია, ფერთა გამა, ასევე ნაწილობრივ ქსოვის ტექნიკა (ტაბ. VII. სურ. 32-36).

ზემოთ ჩამოთვლილი ტიპოლოგიური ჯგუფების გარდა, ტექსტილში ვხვდებით ფრინველის გამოსახულებებს, ისინი ძირითადად ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის ყო-

1 დეკორატიული ფუნქციის მქონე სახელო, რომელშიც ხელს ვერ გაუყრი.

2 სამოსის (აქ ჩოხის) გვერდზე შეჭრილი კალთა, ცხენზე სხარტად და მოხერხებულად შეჯდომისათვის.

3 ამოუკერავად დატოვებული ადგილი ზედა სამოსის გვერდით კალთებზე; დეკორატიული დანიშნულების მქონე გამოშვებული ნაწილი, რომელიც უკეთდებოდა ჩოხას/ახალუხს/კაბას უკანა კალთების გადანაკერებში წელთან.

4 ხევსურული ორნამენტის სახელწოდება, რომელიც ხშირადაა მოცემული ქართულსა და კავკასიურ ნაქსოვ ნივთებში.

5 ლათინური S-ის ფორმის ორნამენტი ხევსურულ ნაქარგობაში.

ფისტვისაა დამახასიათებელი. ჩვენს ხელთ არსებული ქართული ფრინველის გამო-სახულებიანი ნაქსოვი წინდები გვინდოდა კავკასიურისთვის შეგვედარებინა, მაგრამ იმის გამო, რომ ვერ მოხერხდა აღნიშნული მასალის მოპოვება, მხოლოდ ინტერნეტ-სივრცეში განთავსებულ მასალას გავეცანით. ხოლო როცა ფრინველის სახეებიანი ქართული ნაქსოვი წინდები სომხურ წინსაფარზე ამოქარგულ ჩიტებს შევადარეთ (ტაბ. VII. სურ. 37-39), აღმოჩნდა, რომ მსგავსება ქართულსა და სომხურ ჩიტებს შორის დიდია, რაც შესაძლოა ერთმა საერთო ტერიტორიულმა არეალმა განაპირობა – ჩიტებიანი წინსაფარი ახალციხელ სომეხ ქალს ეკუთვნოდა, ხოლო წინდა ახალციხელი ქართველის მოქსოვილია.

ქართული ხალიჩა-ფარდაგების კავკასიურთან შედარებისას, ისეთივე სურათი მივიღეთ, როგორიც წინდების, ხელთათმანების, ქისებისა და ნაქსოვი ფეხსაცმელების შესწავლისას. დეკორში მოცემული მსგავსი ორნამენტები განსხვავებულ მოტივებსა და კომპოზიციებში ისე იკარგება, რომ თვალში საცემი მათი არაერთგვაროვნება და განსხვავებულობა ხდება. საერთო ვიზუალიზაციას ავთენტურ ფერთა ჰარმონიზაციებიც ემატება, რაც მათ შორის არსებულ სხვაობას კიდევ უფრო მეტად ამძაფრებს (ტაბ. VII. სურ. 40-49).

ქართულ-კავკასიური წინდის ჩხირებით, ყაისნალითა და დაზგური ქსოვით შექმნილი ნიმუშების ერთმანეთთან შედარების საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ ნაქსოვ დეკორში არსებული ორნამენტები სხვადასხვა ვარიაციითაა გადმოცემული, რომელთა ერთობა საკმაოდ რთულსა და მრავალფეროვან მოტივებსა და კომპოზიციებს ქმნის. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია ის ფაქტორი, რომ ერთი შეხედვით მსგავსი ორნამენტები მკაფიოდ განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო მრავალეთნიკური კავკასიის ნაწილია, ქართულმა ორნამენტმა საკუთარი იდენტობის დაცვა ბოლომდე მოახერხა. თავისას არ შეურია მეზობელი ხალხების ყოფასა და კულტურაში არსებული ორნამენტები და ფერებიც ქართული შეინარჩუნა.

როგორც კვლევამ აჩვენა, ქართულ ორნამენტთა დიდმა და მრავალფეროვანმა ოჯახმა, ზეგავლენა სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიურ ნაქსოვ ორნამენტებზე თავად მოახდინა. ზოგადკავკასიურ დეკორებში უდავოდ იკითხება თუმ-ფშავ-ხევსურული, აჭარული და სამცხურ-ჯავახური ორნამენტების სახეშეცვლილი მოტივები. შესაძლოა, ეს ნაწილობრივ, ორნამენტის უნივერსალური ბუნების გამო მომხდარიყო, რადგან მას აქვს თვისება, ავთენტური ან მასპინძელი კულტურისთვის დამახასიათებელი შტრიხებით გადასხვანაირებულად გამოისახოს.

სავარაუდოდ, კავკასიელმა ხალხებმა, როგორც კულტურათაშორისი დიალოგის შემთხვევაში ხდება ხოლმე, დაუნერვლი კანონებით იმოქმედა – ნაქსოვ კომპოზიციებში შეტანილი ქართული სახეები თავისებურ ყაიდაზე მოაქცია და საამკარაოზე ისე გამოიტანა. არ გამოვრიცხავთ ზოგიერთი ზოგადკავკასიური მოტივის ქართულში ასახვასაც.

ჯერ კიდევ როდის, პეროდოტე აღნიშნავდა თურმე საგანგებოდ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთაში მცხოვრებ ხალხებს სხეულზე მოსავთ მრავალფეროვანი და მრავალსახოვანი სამოსი, რომელიც საბოლოო გაცვეთამდე არ ხუნდება (პეროდოტე, 1975).

დაახლოებით XVIII საუკუნეში, ქართულ წიაღში გაჩენილი ქართული ჩოხა მთელს კავკასიაში გავრცელდა, რომელსაც XX საუკუნის 30-40-წლებამდე (ზოგიერთ რეგიონში მეტხანსაც), ატარებდნენ სამხრეთ და ჩრდილოკავკასიელი მამაკაცები (კვანტიძე, 2019).

თავი III. ორნამენტი – ქართულ-ბასკური კულტურათაშორისი დიალოგი

გულნარა კვანტიძე

ორნამენტი ადამიანის პირველი და უძველესი ხელით შექმნილი სამშვენიისა, რომლითაც „მხატვარი“ ცდილობს, მოგვითხროს ამბავი თავისი ისტორიული წარსულის შესახებ. მას აქვს თვისება, იყოს უნივერსალური კულტურული ელემენტი. ერთმანეთის მსგავსი ორნამენტები ძველი ცივილიზაციის მქონე ხალხების ხელოვნებაში ხშირად მეორდება. ძნელია დაადგინო ამ ორნამენტების ეთნიკური კუთვნილება, რომელთა კულტურული სივრცეები ერთმანეთისგან დიდი მანძილითაა დაშორებული. უპირველესად გამოსარკვევია კულტურებს შორის არსებული კავშირი, ხოლო შემდგომ ამ კავშირის რაობის განსაზღვრა.

დაახლოებით 6000-7000 წლის წინ, თანამედროვე კავკასიისა და ევროპის სამხრეთ დასავლეთით ორი უძველესი კულტურული სივრცე წარმოიშვა. ორივეში იბერიელები ცხოვრობდნენ. ერთნი იყვნენ „იბერნი აღმოსავლეთისანი“ – ქართველები და სხვები (კავკასია), ხოლო მეორენი – „იბერნი დასავლეთისანი“ – ბასკები (ევროპის სამხრეთ-დასავლეთი, ბისკაიის ყურე, პირენეების მთების დასავლეთ მთისწინეთი) (ძიძიგური, 1982). ბასკების გენეტიკური ფესვების დასადგენად კვლევა მიმდინარეობს, რადგან მათი მისტიკური წარმოშობის შესახებ მითი დაზუსტებით დღემდე ვერ ამოიხსნა.

ამ მიმართულებით სამეცნიერო საზოგადოებაში სხვადასხვა ჰიპოთეზა არსებობს. საკითხის შესწავლა მიმდინარეობს საისტორიო, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ფოლკლორისტიკული¹, ანთროპოლოგიური², ლინგვისტური და სხვა სამეცნიერო დარგების მიმართულებებით. ბასკების წარმოშობისა და ენობრივი საკითხების დადგენას მიეძღვნა ბევრი სამეცნიერო ნაშრომი, ჩატარდა კონფერენციები³, გადაღებულია სამეცნიერო-პოპულარული ფილმები⁴; საკითხისადმი მიძღვნილია რადიო და ტელეგადაცემები, გამოქვეყნებულია საგაზეთო სტატიები⁵, შექმნილია ინტერნეტგვერდები⁶. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წარმატებით ფუნქციონირებს შოთა ძიძიგურის სახელობის ბასკოლოგიის ცენტრი, სადაც ინგლისურ ენაზე მიმდინარეობს ბასკური ენის სწავლება (ლექტორი მარტინ არტოლა).

მრავალრიცხოვანი სამეცნიერო ნაშრომებიდან ყურადღებას გავამახვილებთ რამდენიმე მათგანზე. ქართულ სამეცნიერო ნაშრომებს შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია შოთა ძიძიგურის ფუნდამენტური მონოგრაფია „ბასკები და ქართველები“, რომელშიც ავტორმა თავი მოუყარა იმ პერიოდისთვის (1982 წ.) არსებულ ყველა კულტურულ-ისტორიულ და ლინგვისტურ თეორიას ბასკების წარმოშობისა და ენობრივი საკითხების შესახებ. მოცემული მასალის საფუძველზე ავტორი ამომწურავად განიხილავს საკითხს ბასკურ-კავკასიური და ქართული ჰიპოთეზის შესახებ. ეს არის ზემო-

1 მ. ხუხუნაიშვილ-ნიკლაური, ამირანის თხზულების ზოგიერთი ეპიზოდის მითოსური ძირების შესწავლისათვის. ლიტერატურული ძიებანი, 2003. ტ. 24; მ. ხუხუნაიშვილ-ნიკლაური, ქართული ფოლკლორი 3 (XIX), 2006; მ. ხუხუნაიშვილ-ნიკლაური, მსოფლიო ზღაპრები, ბასკური ზღაპრები და გადმოცემები. ტ. 2. ესპანურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და ზღაპრის სიუჟეტთა საერთაშორისო ინდექსები დაუთმო ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა მ. ხუხუნაიშვილ-ნიკლაურმა. გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2010

2 Nasidze I., Sarkisian T., Kerimov A. and Stoneking M. 2003. Testing hypotheses of language replacement in the Caucasus: evidence from the Y-chromosome. *Human Genetics* 112(3):255-261; Nasidze I. and Stoneking M. 2001. Mitochondrial DNA variation and language replacements in the Caucasus. *Proceedings of Biological Sciences* 268(1472):1197-1206; A. Flores-Bello, F. Bauduer, J. Salaberria, ..., J. Bertranpetit, L. Quintana-Murci, D. Comas, Genetic origins, singularity, and heterogeneity of Basques. Flores-Bello et al., 2021, *Current Biology* 31, 2167-2177 May 24, 2021 © 2021 Elsevier inc

3 <https://www.cu.edu.ge/ka/information-column/two-gates-europe>

4 https://www.youtube.com/watch?v=Akj2qATZ_-M&list=PLwUZ0EXR2X5OsaNu097KZUC7NbXQ9eR-9H&index=3

5 ი. ტაბაღუა, ბასკებთან, ჟურნალი „ცისკარი“, №8. 1963; გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“, 19. 08. 1972; გაზეთი „თბილისი“, 19. 02. 1973; გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 14. 04. 1972

6 <https://intermedia.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90/118866-%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/89/>

სენებული პრობლემატიკის მთლიანი სახით დალაგების პირველი ცდა.

იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობისაა არნოდ ჩიქობავას ორი შემაჯამებელი მონოგრაფია: „იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია“ (1965 წ.) და „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი“ (1979 წ.). ენათა შედარებითი შესწავლის სფეროში ალბათ იშვიათია ისეთი ყოვლისმომცველი განმაზოგადებელი შრომა, როგორსაც ეს უკანასკნელი სახელმძღვანელო წიგნი წარმოადგენს და მით უფრო საყურადღებოა ის, რომ იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერული სკოლის მეთაური XX საუკუნის ბოლო ოცი წლისათვის არსებული მდგომარეობის წარმოდგენილი თეორიის განვითარების მხოლოდ გარკვეულ ეტაპად ასახავს (ქურდიანი, 2007).

ფასდაუდებელია მიხეილ ქურდიანის ნაშრომი „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები“. მასში ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენებით დამტკიცებულია აფხაზურ-ადიღეური, ბასკურ-ქართველური და ნახურ-დაღესტნური ენობრივი ჯგუფების ურთიერთნათესაობა და მათი კუთვნილება ენათა იბერიულ-კავკასიური ოჯახისადმი. ნაშრომი ახალ პერსპექტივას სახავს აღნიშნული საკითხის შესასწავლად.

იბერიულ-კავკასიური ენების შესწავლაში არანაკლები წვლილი მიუძღვის ნიკო მარს, რომელიც საგულდაგულოდ იკვლევდა ბასკურ და ქართულ ენებს შორის ნათესაურ კავშირებს. მეცნიერის ერთ-ერთი ვარაუდით, უძველეს ხანაში ქართველურ-კავკასიური მოდგმის ეთნიკური ჯგუფები გადასახლდნენ ჩრდილოეთ ესპანეთში, რომელიც მდიდარი იყო წიაღისეული მადნეულით. ნიკო მარი მიგრირებულ კავკასიელებს მწყემსებს ადარებს, რომლებიც ახალი საძოვრებისკენ მიემუშრებიან ხოლმე. მიგრაციის შესახებ ნიკო მარის ვერსიას იზიარებდა რენე ლაფონი. იგი შესაძლოდ მიიჩნევდა კავკასიიდან წასული პროტოქართველების ევროპისკენ სვლას (Marr. 1933). მეცნიერთა მიერ გამოთქმულ ვერსიას ადასტურებს კავკასიასა და პირენეს ნახევარკუნძულზე მსგავსი არქეოლოგიური არტეფაქტების აღმოჩენა (Марковин. 1976; ჯაფარიძე. 1976).

ბასკების იბერიულ-კავკასიური ჰიპოთეზის განხილვისას განსაკუთრებით საინტერესოა მკვლევარ ფუსტეს ნაშრომი, რომელმაც 1964 წელს ბასკეთში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოაჩინა 5000 წლის წინანდელი სპილენძის საბადო, რომელშიც ზვავის შედეგად დაღუპულ ადამიანთა ჩონჩხი იპოვეს. ანთროპოლოგიური კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ გარდაცვლილები იბერიულ-კავკასიურ რასას განეკუთვნებოდნენ (ძიძიგური. 1982; Planas... 1966).

ჩვენს ხელთ არსებული სამეცნიერო ნაშრომების საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ ბასკების გენეტიკური საწყისების შესახებ რამდენიმე ძირითადი ჰიპოთეზა არსებობს: I. ბასკებსა და კავკასიელებს საერთო წინაპარი ჰყავთ; II. გამყინვარების შემდეგ ბასკების მიგრაცია კავკასიაში; III. ბასკები ნეოლითის ხანაში ჩრდილოეთ აფრიკიდან არიან მოსულები; IV. ბასკები არიან პალეოლითის პერიოდში მცხოვრები ევროპელების შთამომავლები, რომლებიც ლოკალურად განვითარდნენ; V. საფრანგეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ბასკები ნაწილობრივ აკვიტანელები არიან. ბასკების წინაპრებად მიიჩნევენ ასევე კარსტრიელებს, ვარდულებსა და აეტრიგონებს.

ჩამოთვლილ ჰიპოთეზათა შორის, წინამდებარე კვლევისთვის მნიშვნელოვანია იმის დაზუსტება, არის თუ არა ქართველებსა და ბასკებს შორის გენეტიკური ან ენობრივი კავშირი. მიმოხილული სამეცნიერო ლიტერატურიდან ცხადი ხდება, რომ ქართველებსა და ბასკებს შორის ნათესაური კავშირი არსებობს. მიუხედავად დნმტესტების ჩატარებისა, მეცნიერები ერიდებიან პირდაპირ იმის თქმას, რომ ამ ორ ეთნოსს შორის ნათესაური კავშირი ნამდვილად არსებობს და მინიშნებასაც ირიბად აკეთებენ (Young. 2009; Flores-Bello. 2021). აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ფუნდამენტური ნაშრომი გამოიცა ავთანდილ ნიკოლეიშვილის ავტორობით. სტატიაში მეცნიერი დეტალურად განიხილავს ბასკებსა და იბერიელებს შორის შესაძლო ენობრივი და ნათესაური კავშირების არსებობას. დასკვნის სახით კი დასმულ შეკითხვას – რა აქვთ ისტორიულად ერთმანეთთან საერთო ბასკებსა და ქართველებს, თავადვე უპასუხებს – არ ვიცით (ნიკოლეიშვილი. 2024).

საკითხის სენსიტიურობიდან გამომდინარე, ბუნებრივია, მასზე გადაჭრით პასუხის გაცემა ძალზე რთული და სარისკოა. საქმე ეხება ათასწლეულების მიღმა მომხდარი ფაქტების კონსტატაციას, მიგრაციების შემდეგ კი, კაცობრიობამ ბევრი ასომილაციური პროცესი განიცადა, რამაც გენეტიკურ კოდებში ცვლილებები შეიტანა.

კავკასიურმა რასამ ძალიან დიდი როლი შეასრულა ევროპეიზაციის პროცესში. რო-

გორც უკვე აღინიშნა, დაახლოებით 6000-7000 წლის წინათ¹ პროტოიბერიელი ელემენტების მიგრაცია დაიძრა სამხრეთით და მიაღწია სასურველ ტერიტორიას. მათ იქ ჩაიტანეს მელითონეობა, მიწათმოქმედება და სხვადასხვა სახის კულტურების მოვლა-მოყვანის ტრადიციები... იმ დროიდან დასავლეთ ევროპის მნიშვნელოვანი ნაწილი იბერიული მოდემის ტომების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა მანამ, სანამ ინდოევროპული ჯგუფები შეერეოდნენ იბერიელებს. ბასკები კი სწორედ ის გადარჩენილი ეთნოსია, რომელმაც შეინარჩუნა „ძველი ევროპის“ კულტურა და ტრადიციები. მათ სამართლიანად უწოდებენ „ძველ ევროპელებს“ (ტივაძე. 1959; ძიძიგური. 1982; Planas... 1966).

საქართველო და ბასკეთი ორი უძველესი ცივილიზაციის მქონე, ტერიტორიულად პატარა და მცირერიცხოვანი სახელმწიფოა. რთული ისტორიული ჟამთასვლის მიუხედავად, ორივემ შეინარჩუნა ენა, დამწერლობა, რელიგია და ეროვნული თვითმყოფადობა. ასევე ტერიტორიული სიშორის მიუხედავად, ბევრია მათ შორის მსგავსება ენობრივი, ყოფითი და კულტურული ელემენტების მიხედვით. შესაძლოა ეს იყოს ბიოლოგიურ წინაპართა სისხლის ყივილი ან რომაულ ცივილიზაციასთან მჭიდრო კულტურულ-სოციალური ურთიერთობის შედეგი, ან უბრალო თანხვედრა.

ბასკების ენობრივი და გენეტიკური ქართულ-კავკასიური ჰიპოთეზის გამყარებისთვის მნიშვნელოვანია ეთნოგრაფიული პარალელების შესწავლა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა სალომე გაბუნია ნაშრომი „ბასკურ-ქართული ეთნოგრაფიული პარალელები“, რომელშიც შედარებითი-ეთნოგრაფიული კვლევის საფუძველზე შესწავლილია მიცვალებულთან დაკავშირებული ბასკური წეს-ჩვეულებების ქართული პარალელები. ახსნილია არსებულ მსგავსება-განსხვავებათა არსი.

საინტერესო ეთნოგრაფიული მიმოხილვაა მოცემული ბასკური ყოფისა და ტრადიციების შესახებ გიორგი მახარაძის ნიგნში „საქართველოს მიღმა საქართველოა – ისევ ჩემი ჟურნალისტური სამზარეულო“. მასში შესულია 2003-2008 წლებში ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული წერილები. ნიგნში საუბარია სხვადასხვა მეცნიერთა გამოკვლევებზე დაყრდნობით ბასკური და ქართული (დასავლეთ საქართველოს მკვიდრთა) სისხლის ერთგვაროვანი ჯგუფების არსებობაზე. საუბარია ასევე ამ ორ ქვეყანას შორის არსებული აგრონომიული და ბოტანიკური კავშირების მსგავსებაზე.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, ქართული ორნამენტის კვლევა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ჭრილში, რომლის საფუძველზე მოხდება ბასკურ ყოფაში ქართული ორნამენტების მსგავსი ორნამენტების მოძიება, ურთიერთშედარება და სემანტიკური ბუნების მიმოხილვა.

ამ მიზნით, სამეცნიერო ჯგუფი ლია ლურსმანაშვილის (პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი), გულნარა კვანტიძისა და ნატო ფაილოძის შემადგენლობით 2024 წლის 18-24 მარტს მივლინებით ვიმყოფებოდით ბასკეთში. ბილბაოს არქეოლოგიურ და სანტელმოს ისტორიულ მუზეუმებში გავეცანით ნივთიერ მასალას და მოვახდინეთ ცალკეული ექსპონატის ფოტოფიქსაცია. მუზეუმის თანამშრომლებმა დიდი დახმარება გაგვინიეს, რისთვისაც მადლობას ვუხდით მათ. სამწუხაროდ, ჩვენი იქ ყოფნა დაემთხვა ბილბაოს ეთნოგრაფიულ მუზეუმში მიმდინარე სარემონტო სამუშაოებს, რის გამოც ვერ მოვახერხეთ ადგილზე გავცნობოდით მუზეუმში დაცულ ნივთებს. მაღლიერებით აღვნიშნავთ ბილბაოს ეთნოგრაფიული მუზეუმის თანამშრომელთა გულისხმიერებას. მათ სამუზეუმო ექსპონატების კატალოგი გამოგვიგზავნეს და საჭიროების შემთხვევაში დახმარება აღგვითქვეს.

სამუზეუმო ნივთიერი მასალის გაცნობისა და ფოტოგრაფირების გარდა, ორნამენტის კვლევის თვალსაზრისით, საჭირო გახდა არქიტექტურულ ძეგლებსა და საცხოვრებელ შენობებზე დაკვირვება, რადგან, თანამედროვე ქალაქში კედლები როგორც ბილბაოში, ასევე სანსებასტიანში შემკულია ძველი ორნამენტირებული შორენკეცებით, რაც ერთგვარად ალამაზებს გარემოს და ძველ ორნამენტებს ახალ სიცოცხლეს უბრუნებს. სამწუხაროდ, დროის უქონლობის გამო არ მოხერხდა ბაიონასა და ნავარას მუზეუმებში სტუმრობა. სამეცნიერო ჯგუფს დაგეგმილი აქვს კვლევა გაგრძელდეს და ახალი მასალის შეგროვების მიზნით დაიგეგმოს საქმიანი ვიზიტი კვლავ ბასკეთში.

ნაშრომი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათისაა. კვლევა ჩატარდა მონაცემების შეგროვების, ფოტოგრაფირებისა და შედარებით-ანალიტიკური მეთოდების გამოყენებით. მასალის დამუშავება მოხდა ვიზუალური ანთროპოლოგიის, უშუალოდ ფოტოზე

1 სხვადასხვა ვერსია არსებობს თარიღთან დაკავშირებით

დაკვირვების მეთოდით. ჩატარდა შეგროვებული მასალის სისტემატიზაცია-კლასიფიკაცია და იდენტიფიკაცია. მომზადდა სათანადო ანალიზი.

ჩვენს ხელთ არსებული ნივთიერი მასალის მიხედვით, შესაძლებელია ითქვას, რომ ქართულ და ბასკურ ორნამენტებს შორის მსგავსება დაფიქსირდა მემორიალურ, კერძოდ, საფლავის ქვებსა და ხის ნაკეთობებზე. აქედან გამომდინარე, გადავწყვიტეთ საკითხის შესწავლა ამ მიმართულებით წარგვემართა, რადგან საფლავის ქვებზე დატანილმა ორნამენტებმა დროთა განმავლობაში გავრცელება პოვა არა მხოლოდ ბასკურ, არამედ ზოგადევროპულ ყოფით რეალიებში, როგორცაა მონეტები, გერბები, სამკაულები და სხვა.

შედარებითი ანალიზის დროს გამოვიყენეთ ეთნოგრაფ ელდარ ნადირაძის ფუნდამენტური ნაშრომი „საქართველოს მემორიალური კულტურა“. ეს არის ქართული საფლავების ქვების სიღრმისეული კვლევის პირველი და უპრეცედენტო ნამუშევარი. ავტორს დეტალურად აქვს შესწავლილი თემის გარშემო არსებული ყველა საკითხი. ამ წიგნს თამამად შეიძლება ეწოდოს ვრცელი კულტურულ-ისტორიული კვლევა, რომელიც მიეძღვნა დაკრძალვის წესების დინამიკას, საფლავის ინვენტარის, ნაგებობების, საფლავის ქვებზე დატანილი ორნამენტების სემანტიკური ბუნების გამოცნობასა და არგუმენტირებულ მიმოხილვას.

არაჩვეულებრივი დახმარება გაგვინია ირაკლი სურგულაძის უნიკალურმა და უკუდავმა ნაშრომმა „ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა.“ ავტორს არ გამოორჩენია ქართულ ყოფაში დადასტურებული არცერთი ორნამენტი, რომელიც სიღრმისეულად არ ჰქონდეს გამოკვლეული. დიდი სამსახური გაგვინია ასევე გიორგი ჩიტაიას, ვერა ბარდაველიძის, კიტი მაჩაბლისა და სხვა ქართველი მეცნიერების ნაშრომებმა, რაც ტექსტში მითითებების სახითაა დაფიქსირებული.

მემორიალური ძეგლები - დისკოიდური საფლავის ქვები

ბასკურ მითოლოგიაში ერთი საინტერესო მითი ამოვიკითხე. მითი მზეზეა. გაქრისტიანებამდე თურმე ბასკებს ძალიან ეშინოდათ მზის ღმერთის. ეგონათ, რომ სიკვდილის შემდეგ მზე მათ შეჭამდა. მზეს რომ ადამიანები დაენდო, მათ მზის ფორმის საფლავის ქვები შექმნეს მზისვე სათაყვანებლად.

ბასკური საფლავის ქვები უბრალო ხალხის მიერ შექმნილი ხელოვნების ნიმუშებია. ეთნოგრაფიულ ყოფაში დადასტურებულია მათი რამდენიმე სახეობა. ერთ-ერთი უძველესი და საინტერესო ტიპია „ჰილარი“ („Hilarri“). სიტყვასიტყვით ის მკვდრის ქვას ნიშნავს (hil - მკვდარი და harri - ქვა), შედგება ტრაპეციის/მართკუთხა ან კვადრატის ფორმის ქვედა ნაწილისა და მრგვალი, დისკოს ფორმის თავისაგან. სტელა იმეორებს ანთროპომორფულ ასპექტს - დისკო ადამიანის თავია, ძირი კი სხეული. საფლავის ქვებს მიწაში ისე ამაგრებდნენ, რომ წინა მხარე ამომავალი მზისკენ ჰქონოდა. ისე, როგორც გარდაცვლილი ადამიანია ქრისტიანული წესით აღმოსავლეთისკენ დასვენებული ან დაკრძალული. ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს, რომ დისკოს ფორმის სტელები კოსმიური ძეგლებია, რომლებიც მზისა და დედამიწის ფუძეს განასახიერებენ და ქვესკნელსა და ზესკნელს შორის უხილავ კავშირს ამყარებენ. სიმბოლურად ესაა ცხოვრების ერთი წესიდან მეორეზე გადასვლის პროცესი (LEIZAOLA. 1970, LEIZAOLAD. 1980, <https://patrimoine-environnement.fr/wp-content/uploads/2012/06/1er-prix-Journal-28-64-Ecole-publique-dltxassou-ltxassou-PetitJournal.pdf>).

დისკოს ფორმის საფლავის სტელები არა მხოლოდ ბასკეთში, არამედ მთელ დასავლეთ ხმელთაშუა ზღვის რეგიონებში იყო გავრცელებული, მაგრამ დღეს მათი ხილვა ძირითადად ბასკეთის ქვეყანაშია შესაძლებელი. უძველესი სტელა ნეოლითური ხანისაა, დაცულია ასევე ძველი ნელთალრიცხვის III-II-I საუკუნეებისა და ახალი ნელთალრიცხვის ადრეული, შუა და გვიანდელი პერიოდის სამგლოვიარო ძეგლები. არქაული პერიოდის საფლავის ქვებზე ცხადია მხოლოდ მარტივი სიმბოლოებით შექმნილი მოტივებია გამოსახული, ადრეული პერიოდის ძეგლებზე იშვიათად ვხვდებით გარდაცვლილის ვინაობასა და თარიღს. ზოგიერთ მათგანზე მხოლოდ რელიგიური ხასიათის რამდენიმესიტყვიანი წინადადებებია ამოტვიფრული. დროის ნიშნულების სისტემა-

ტურად დატანა იწყება IX-X საუკუნეებიდან, რაც შეეხება გვიანდელ, XVII საუკუნის სტელებს, რომლებიც ქვემო ნავარაშია ძირითადად ნაპოვნი, კერძოდ, ლანტაბათის ხეობაში, სავარაუდოდ, ერთი ხელოსნის მიერაა შესრულებული. ქვის სტელები გამოჩეულია წარმოების მაღალი ტექნოლოგიით, ტექსტი ორ ან სამ ენაზეა მოცემული (ბასკური, ფრანგული, გასკონური), დაცულია პუნქტუაციები (<https://www.musee-basque.com/visites-activites/parcours-a-themes/florilege/stele-discoidale/>).

საფლავის ქვების სიმაღლე მერყეობს 34-100 სანტიმეტრს შორის. რამდენიმე ერთეული აჭარბებს 100 სმ-ს. დისკოების დიამეტრის ზომებიც სხვადასხვაა (Ugla. 1980).

სამგლოვიარო ძეგლთა ამგვარი ღირშესანიშნაობა ბასკური ეთნოგრაფიული ყოფისათვის დამახასიათებელმა მიცვალებულის საგანგებოდ მოვლა-პატრონობისა და პატივის მიცემის ტრადიციამ განაპირობა (Duvart. 1954; გაბუნია 1995), რასაც ხელი შეუწყო ასევე იმან, რომ ბასკები უძველესი დროიდან ცნობილი იყვნენ როგორც სახელგანთქმული მშენებლები და დახელოვნებული ქვის მთელელები. მათ ცოდნის ექსპორტი მთელი იბერიის ნახევარკუნძულზე გაჰქონდათ. აშენებდნენ ციხეებს, ეკლესიებს... შექმნეს ცნობილი ბასკური გოთური სტილი XV-XVIII საუკუნეებში (Duvart. 1954), ქვის დამუშავებისას ბასკები ძირითადად შამპლევის ტექნიკას იყენებდნენ (<https://www.musee-basque.com/visites-activites/parcours-a-themes/florilege/stele-discoidale/>). ამგვარი მონაცემების საფუძველზე, სრულიად ლოგიკურია, რომ ბასკური სტილის სამგლოვიარო ქვების სათავე ნეოლითური პერიოდის პროტობასკების ყოფიდან მომდინარეობს.

სამგლოვიარო ძეგლების კვლევა მხატვრული ნაწარმოების შესწავლის მეთოდებით უნდა ჩატარდეს. მომხიბვლელია მოქანდაკის ჟესტი, აზროვნება და სიღრმისეული ცოდნა, რადგან მას ერთდროულად უწევს ფიქრი სარწმუნოებაზე, ქვის თვისებებზე და დეკორზე (Thénonon. 1984).

ბასკური საფლავის ქვები შინაარსისა და მოტივის მიხედვით მაღალმხატვრული ღირებულებისაა. დისკოებზე წარმოდგენილ რელიეფურ მხატვრობაში უხვადაა გადმოცემული გეომეტრიულ ფიგურათა რიტმული მწკრივები, შეკრული და ღია ლილვები, ყვავილთა და მცენარეთა სტილიზებული სახეები, სოლარული ნიშნები... გამოსახულებებს შორის გვხვდება ანთროპომორფული, ზოომორფული და ფრინველის ფიგურები (Daire. 1996)

თავმოყრილი საკვლევი მასალის იდენტიფიკაციის მიზნით ძეგლები ერთმანეთისგან გავმიჯნეთ ორნამენტის ტიპოლოგიის მიხედვით, განსახილველად შევარჩიეთ ისეთი საფლავის ქვები, რომელთა დისკოებზე ქართულ სივრცეში დამკვიდრებული და გამოყენებული ორნამენტების მსგავსი სახეებია დატანილი. ამგვარი დიფერენციაციის პრინციპით, რაოდენობრივად ბევრმა და ტიპოლოგიურად მრავალფეროვანმა ნივთიერმა მასალამ მოიყარა თავი:

ა. გეომეტრიული ორნამენტი; ბ. ყვავილოვანი ორნამენტი; გ. სოლარული ნიშნები; დ. ანთროპომორფული გამოსახულებანი, შრომის იარაღები; ე. ზოომორფული ფიგურები; ვ. ფრინველის გამოსახულებანი; ავეჯი.

ა. გეომეტრიული ორნამენტი. წერტილი, ხაზი, წრე, წრენირი, რომბი, სამკუთხედი, კლაკნილი... ამ ფიგურათა რიტმული მონაცვლეობა და ორგანიზებული განლაგება არქაული ხელოვნების უნივერსალურ ელემენტებს წარმოადგენს. თითოეულ სიმბოლოს თავისი დაშიფრული ქვეტექსტი ახლავს, რომელთა გაშიფვრა მეტად რთულია.

ერთ-ერთი ასეთი დაშიფრული მოტივია დატანილი სანტელმოს მუზეუმში დაცულ საფლავის ქვაზე, რომელიც მეცნიერებმა ძვ. წ. IV-I საუკუნეებით დაათარილეს (ტაბ. VIII. სურ.1). ქვა მართკუთხა ფორმისაა, დაზიანებული, ზედაპირი ერთიანად დაფარულია რამდენიმე გრძელი ვერტიკალური და პატარა ზომის დახრილი ჰორიზონტალური ხაზებით...

ხაზების კომპოზიცია ერთი შეხედვით სწორ და მაღალ ხეებს წააგავს. შესაძლოა ოსტატმა სიცოცხლის ხის სტილიზებული მოტივი შექმნა, ან ჰაერში გასროლილ ისართა რიგი გამოსახა... მსგავსი მრავალხაზა და მრავალფეროვანი გეომეტრიული ფიგურები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთშია დადასტურებული. მთიულეთსა და თუშ-ფშავ-ხევსურეთში უხსოვარი დროიდან მოყოლებული, ქვებზე დატანილია კრიპტოგრამები, რომლებიც ყოფაში სხვადასხვა დანიშნულებითაა გამოყენებული.

საკითხით დაინტერესდა ქართველი მხატვარ-დიზაინერი და მკვლევარი გიორგი გიგაური. მისივე თქმით, ძველი კულტურული ცივილიზაციის ხალხებში ამგვარი კრიპტოგრამების არსებობა ჩვეულებრივი ამბავი იყო. მათი გავრეცელების არეალის შესწავლისას, ერთ-ერთი ასეთი ქვეყანა პირენეს ნახევარკუნძულზე მდებარე იბერია/ბა-

სკეთი აღმოჩნდა. კრიპტოგრამების ერთი ნაწილი დღემდეა შემორჩენილი ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ორნამენტების სახით სეფისკვერისა და პურის საბეჭ-დავებზე, ავეჯზე, სანვრილმანო ყუთებზე, ნაქსოვ და ნაქარგ აქსესუარებზე, სამკა-ულზე (ტაბ. VIII. სურ. 2-5)

ბასკურ საფლავის ქვაზე გამოსახული ზემოხსენებული მარტივი მოტივი დიდი მსგავსებით ხასიათდება ქართული დეკორისათვის დამახასიათებელ გეომეტრიულ სა-ხეებთან, როგორიცაა: მუხლიანი, ქათმისფეხა, ისრისპირული, ასევე ფშაური სამოსის საბუხარზე გამოსახული ორნამენტი – ალვის ხე (ტაბ. VIII. სურ. 6).

ჯვარი, რომელიც საკრალურ სიმბოლოთა შორის უნივერსალური „ხატია“, განვი-თარდა და ადაპტირდა სხვადასხვა კონტექსტში. ჯერ მოიცვა უძველესი ცივილიზაცი-ები და შემდეგ რწმენის სისტემებში შეაღწია.

ჯვარი რელიგიური ემბლემაა, რომლის ვერტიკალური სიბრტყე სულიერი სამყა-როს გამოხატულებაა, ჰორიზონტალური კი მატერიალური ცხოვრებისა. ამ ორი სი-ბრტყის კვეთა კაცობრიობის ხორციელ და სულიერ სამყაროთა ურთიერთკავშირის სიმბოლური მაჩვენებელია.

ჯვარი დეკორია, მოტივია, არქიტექტურული დიზაინია, ის არის ძირეული ფიგურა, რომლის კონსტრუქცია საფუძვლად სიმბოლოთა დიდი უმრავლესობის აგებულებასა და კომპოზიციურ სქემებს დაედო. ჯვრის მნიშვნელობა არ განისაზღვრება ადგილითა და მოცულობით. ის მთლიანი დეკორის საერთო კომპოზიციურსა და ცალკეულ ელე-მენტთა კონსტრუქციულ საფუძველს წარმოადგენს (სურგულაძე. 1986).

ბასკურ ყოფაში დადასტურებულ საფლავის ქვებზე ჯვრების საკმაოდ მრავალფერო-ვანი სახეობებია წარმოდგენილი. დისკოზე გამოსახულ ჯვართა უმეტესობა წინაქრისტი-ანულ პერიოდს უნდა განეკუთვნებოდეს, რადგან ბასკებმა ქრისტიანობა IX საუკუნეში მიიღეს. მანამდე ჯვრები კი დიდი ალბათობით ან რომაულ-ბერძნული, ან მეზობელი წარმართული კულტურის გავლენა უნდა ყოფილიყო, ან კიდევ – ორივესი ერთად.

საფლავის ქვები გამშვენებულია რომაული, ბერძნული, ლათინური, კელტური, Y-ის ფორმის ჯვრის გამოსახულებებით (DAVY. 1955), ზოგჯერ ცენტრალურ ფიგურად, ხა-ნაც კომპოზიციებში. ცენტრალურ ფიგურად დასმულ ჯვართა უმეტესობა მედალიონ-შია ჩასმული, მედალიონი ჭვირულიც გვხვდება და სადაც (ტაბ. VIII. სურ. 7).

ჯვრის, როგორც ნიშან-სიმბოლოს ქვეტექსტის შინაარსი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორაა ის წარმოდგენილი – ცენტრალურ ფიგურად მედალიონით, უმედალი-ონოდ თუ სხვა სიმბოლოებთან კომბინირებულად. წრიულ მედალიონში გამოსახული ჯვარი სიმბოლურად მარადიულობაში გადასვლას აღნიშნავს, უჩარჩოო, ცენტრალურ ფიგურად მდგომი კი მზის სოლარულ ნიშნადაა ნაგულისხმევი (Ucla. 1983).

ჯვარი განზოგადებული კოსმოგონიური ნიშანია და წარმოგვიდგენს არა საზღვრულ ტერიტორიას, არამედ მთელ ქვეყნიერებას, ცისქვეშეთს. ხოლო თავისუფალი, ტოლ-ფერდამკლავიანი ჯვარი არქაული ტიპისაა და სიბრტყეზე ორიენტაციას აღნიშნავს (სურგულაძე. 1986; Cirlot. 2001).

წრეში მოქცეული ჯვრის გამოსახულება უფლის განკაცების, ვნების, ძლევისა და ხსნის ნიშანია. წრე გეომეტრიულ ფორმათა შორის ყველაზე სრულყოფილი უნივერსა-ლური სიმბოლოა. დაუსაბამობის, უსასრულობის გამო ღმერთი წრესაა შედარებული (ბერელაშვილი. 2013).

ჯვარი ქართულ ეთნოკულტურულ ასპექტში პირველ ყოვლისა, ქრისტიანული სარწმუნოების სიმბოლოა, რომელიც წარმართული პერიოდიდან მომდინარე ნიშანს წარმოადგენს. საქართველოში ჯვრის გამოსახულებით შემკული არაერთი საფლავის ქვაა დადასტურებული. ჯვარი ერთ-ერთი მთავარი სიმბოლოა ხევსურული სამოსის დეკორში. ამ ნაქარგობას ჯვრული ნაქარგობა ქვია არა მარტო ტექნიკის გამო, არამედ იმის გამო, რომ მოტივში ჯვარი ცენტრალური ფიგურაა და სწორედ ის განაგებს და-წარჩენ ნიშან-სიმბოლოთა მრავალრიცხოვან პლეადას, თუ რომელი სად განლაგდება. ჯვრის გარშემო მოცემულ სივრცეში.

ჩვენში, წრეში ჩასმული ჯვარი ბოლნურ ჯვართან ასოცირდება. ესაა ტოლმკლა-ვიანი, ჭედური ორნამენტით გარემოსილი ჯვარი. ასეთი ჯვრების კლასიკური სახე გვხვდება V საუკუნის II ნახევრიდან, ხოლო მათი გავრცელების დრო საკმაოდ დიდ პერიოდს მოიცავს, თუმცა თავის კლასიკურ იერს რამდენადმე იცვლიან და მხოლოდ ერთ ძირითად ფორმას – წრეში ჩასმულობას ინარჩუნებენ. ასეთი ჯვრების ნიმუშები შეგვიძლია დავადასტუროთ თვით XIX-XX საუკუნეთა ძეგლებზეც კი (ნადირაძე. 2001).

ბასკური საფლავის დისკოებზე წარმოდგენილ მრავალფეროვან ჯვრის ორნა-

მენტებს შორის ვხვდებით გასხივოსნებულ (ტაბ. VIII. სურ. 8) და აყვავებულ ჯვრებს (ტაბ. VIII. სურ. 9).

გასხივოსნებული ჯვრების სხივები ზოგჯერ სქემატურად იშლება და ფარავს დისკოს ზედაპირს. სხივისა და მზის კომბინაცია ჯვართან ერთი უდიდესი სიმბოლური აზრის გადმოცემაა, რომელიც თავის თავში მოიცავს მზის (ღმერთის) და მისი ატრიბუტის – ჯვრის განუყრელობას (ნადირაძე, 2001). საფლავის დისკოებზე აყვავებული ჯვრები მეტწილად კომპოზიციაშია წარმოდგენილი, რომლის შესამკობად ოსტატები არ იშურებენ ციურ სხეულებს, სტილიზებულ მცენარეულ და გეომეტრიულ ფიგურებს, შრომის იარაღებს და სხვ.

აყვავებული ჯვრები ქართულ ხელოვნებაში უძველესი დროიდან ფართოდაა გავრცელებული და როგორც განახლებული ცხოვრების სიმბოლო, უკავშირდება ქრისტიანულ ჯვარი ერთდროულად აერთიანებს „ხე ცხოვრებისა“, „გოლგოთის ჯვრისა“ და მეორედ მოსვლის მაუწყებელი ჯვრის ხატებას. ძველი აღთქმისეული სიცოცხლის ხის ახალი აღთქმის ჯვართან გაიგივებასა და შესაფერის გამოსახულებებს ხშირად ვხვდებით ქრისტიანულ სახვით ხელოვნებასა და მრავალრიცხოვან საეკლესიო თხზულებებში. წმინდა მამათა განმარტებით, ჯვრის წინა სახე იყო „ხე ცხოვრებისა“, რომელიც ღმერთმა სამოთხეში დანერგა (ბერელაშვილი, 2013).

ჯვარი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნიშან-სიმბოლოს ძირეული ფიგურაა, რომელიც კოსმოგონიური ხასიათის ნიშანთა სპექტრს განეკუთვნება. ის ბასკურ სამგლოვიარო ძეგლებზე არცთუ იშვიათადაა წარმოდგენილი. ვხვდებით როგორც ცენტრალურ ფიგურად, ასევე კომბინირებულად, სხვადასხვა მოხაზულობასთან ერთად. საფლავის ქვა, რომელზეც ყურადღება უნდა შევაჩეროთ, ძვ. წ. I საუკუნეს განეკუთვნება. მასზე სპირალური ფორმის ორნამენტი ცენტრალურ ფიგურადაა წარმოდგენილი. იგი მოჩარჩოებულია თავბოლოშეცეული სწორფერდა სამკუთხედების რკალით (ტაბ. VIII. სურ. 10). სპირალური ორნამენტი დაფარული მეორე, ძვ. წ. IV-III სს.-ით დათარიღებული საფლავის ქვა (ტაბ. VIII. სურ. 11). პირველთან შედარებით მეორე ერთეული ნაკლებადაა დამუშავებული, ის დაუსრულებლობის შეგრძნებას ბადებს. სპირალის ფორმის ამგვარივე ორნამენტი შექმნილი შედარებით გვიანდელი პერიოდის საფლავის ქვა, რომელზეც აღნიშნული ორნამენტი კომბინირებულია წარმოდგენილი, ჯვართან და ყვავილის ფორმის სტილიზებულ ორნამენტთან ერთად (ტაბ. VIII. სურ. 12), რაც გარკვეულწილად შინაარსს უცვლის ძირითად ორნამენტს.

მარადიულობის მცნებასთან დაკავშირებული სპირალის ფორმის ორნამენტი ხშირად დადასტურებული ქართული საფლავის ძეგლებზე. იგი თავისი გეომეტრიული მოხაზულობით ძალზე უახლოვდება მზისა და სინათლის გამომხატველ ნიშანთა წყებას. მისი მრავალი სიმბოლური შინაარსიდან ყურადღებას იქცევს მზესთან, სინათლესა და მარადიულობასთან დაკავშირება. ესე იგი, იმ მოსაზრებიდან გამომდინარე, რაც უკავშირდება მიცვალებულის კულტს. ფიგურა წარმოადგენს თავჩახვეულ სპირალს ან სპირალთა ჯგუფს, რომლებიც ერთმანეთს ებმებიან ასეთივე წრიული თავებით და აშკარად გადმოსცემენ ფიგურების ბრუნვით ხასიათს (ნადირაძე, 2001). აღნიშნული ორნამენტი უნივერსალურია. ქართულსა და ბასკურს გარდა გვხვდება კავკასიისა და პირენეს ნახევარკუნძულის სხვა ეთნოსების კულტურებში. მისი წარმოშობისა და სხვადასხვა სემანტიკური დატვირთვის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა სუფევს სამეცნიერო წრეებში (სურგულაძე, 1986).

ბასკური ლაუბურუ და ქართული ბორჯღალი. ძალიან დიდი ხნის წინ, ქრისტეს დაბადებამდე, ადამიანი მიხვდა, რომ მზე ძალიან მნიშვნელოვანია მისთვის და მისი ნათესავეებისთვის. მას შემდეგ იგი თავყვანს სცემდა მზეს როგორც ღმერთს. ლაუბურუ (ლაუ-ოთხი, ბურუ-თავი) ოთხი ელემენტის (წყალი, მიწა, ჰაერი, ცეცხლი) მითოლოგიური სანყისია. მის ვერტიკალურ თავებს ემოციებით სავსე ქალურ გამომეტყველებას ადარებენ – ცეცხლსა და წყალს; ჰორიზონტალურს კი მამაკაცის გონებრივ და ფიზიკურ ენერგიას – ჰაერსა და მიწას (<https://kalismabijoux.com/en/blog/amulets/the-lauburu>). <https://basqueimports.com/culture>).

ლაუბურუ ბასკურ კულტურაში სპილენძის ხანაში გამოჩნდა და დაახლოებით 2000 წელიწადია, ეს ნიშანი ბასკების მენტალური სამყაროს ნაწილს წარმოადგენს (Barandiaran. 1970, 1981). მათთვის ლაუბურუ პრეისტორიული ხანის ამულეტია, რომელსაც წმინდა ცეცხლის ფუნქცია გააჩნია და ბნელი ძალებისაგან იცავს მათ.

ბასკური ჯვარი ანუ ლაუბურუ, ხშირად გამოყენებული ბასკი ხალხის ყოფით რეალიებში. დისკოს ფორმის საფლავის ქვებზე აღნიშნულ ორნამენტს ვხვდებით რო-

გორც ცენტრალური ფიგურის სახით, ასევე კომპოზიციებში. (ტაბ. VIII. სურ. 13) ლაუბურუს, როგორც ნიშან-სიმბოლოს აზრი, ისევე როგორც ჯვრისა, დამოკიდებულია მისი წარმოდგენის დეტალებზე. თუ ის დამოუკიდებლად მდგომია – გარდაცვლილთა სულების მარადისობაში გადასვლას აღნიშნავს, თუ ასტრალურ ნიშნებთან ერთადაა გამოსახული – განიხილება როგორც ასტრალური ნიშანი-მზე.

ლაუბურუ არ არის მხოლოდ ბასკური კულტურის ტრადიციული სიმბოლო, იგი მსოფლიოში თითქმის ყველა უძველესი ცივილიზაციის ხალხებშია დაფიქსირებული. მას ღმერთის თვალსაც უწოდებენ. საყურადღებო და მნიშვნელოვანი ისაა, რომ ლაუბურუ ბასკებისთვის ეროვნული იდენტურობის ნიშნადაა ქცეული. ბასკური საფლავის ქვებზე ხშირია ასევე ბორჯღალის გამოსახვა (ტაბ. VIII. სურ. 14).

ქართული ბორჯღალი ბასკური ლაუბურუს მსგავსად, მზის, მარადიულობის, ნათებისა და სიმხურვალის ასტრალური ნიშანია. იგი მოძრაობს თავისი ღერძის გარშემო მხოლოდ ერთი მიმართულებით. ბორჯღალს გააჩნია დამცავი და გამწმენდი ფუნქცია. მის გამოსახულებებს ვხვდებით როგორც ქართული საფლავის ქვებზე, ასევე ბუხრებზე, კერიის ქვებზე, ავეჯზე, ტექსტურ ნაწარმში (სურგულაძე, 1986). ქართული ბორჯღალი, ბასკური ლაუბურუს მსგავსად, ეროვნული იდენტობის ნიშან-სიმბოლოა.

ბ. ყვავილოვანი ორნამენტები. დაკრძალვის ძეგლების შესამკობად ბასკი ოსტატები გეომეტრიული ფორმების გარდა, ყვავილოვან მოტივებსაც იყენებდნენ. დისკებზე კომპოზიციურად დატანილია ექვსფოთლიანი ვარსკვლავა ყვავილები, შროშანები და ვარდულები. სამივე სახეობის ყვავილი რელიგიური დატივრთვისაა და საფლავის ქვებზე საგანგებო შინაარსის გადმოსაცემადაა წარმოდგენილი.

ქრისტიანობაში შროშანი წარმართული სამყაროდან მოვიდა. იგი აღებულია ძველი ინდური ხელოვნებიდან. ბერძნულ კულტურაში მან ძალაუფლების სიმბოლური დატივრთვა მიიღო. შროშანის სიმბოლური მნიშვნელობა ქრისტიანულ ხელოვნებაში ვრცელდება. ძალაუფლების გარდა, იგია სინმინდის, უმანკოების, ღმრთისმშობლის სიმბოლო; ნიშანია „აღდგომისა“ და „ამაღლებისა“; ღეროდ აღმართული შროშანი ღვთიური აზრის გამოხატულებაა; იგი სხვა ყვავილების ანალოგიურად, სიმბოლოა ზეციური სამოთხისა, სულთა საბინადროსი. ყვავილი, საერთოდ, მაცხოვრის ეპითეტია: შენ რომელმან გამოიღე ყვავილი იგი განმასულნებელი (Cooper. 1986).

შროშანი ბასკური საფლავის ქვებზე უმეტესად ჯვრის მკლავების შესამკობლად გამოიყენება (ტაბ. VIII. სურ. 15). ქრისტიანულ ხელოვნებაში შროშანის, ვარდულისა და ვარსკვლავა ყვავილის კომბინაციას ხშირად ვხვდებით. საფლავის ქვებზე ოსტატები გამოსახავდნენ ოთხ და რვაფურცლიან ვარდულებს. ის გამოიყენებოდა ჯვრის აზრობრივი მნიშვნელობითა და მის სანაცვლოდ. ვარდულის ამგვარი სემანტიკური ბუნებიდან გამომდინარე, ბასკური საფლავის ზოგიერთი ძეგლის მთელ დიაპაზონზე მხოლოდ ვარდულებია გამოსახული. საერთოდ ეს ორნამენტი ყველაზე ხშირად და სხვადასხვა ზომით დაიტანება რელიეფებზე. იგი კომპოზიციაში ხან ძირითადი, ხანაც დამატებითი სიმბოლოა (Ucla. 1983). ვარდულის ცალკეული სახე და მოტივი ხშირია ადრინდელი შუა საუკუნეების ქართულ რელიეფებზე (ბერელაშვილი. 2013; მაჩაბელი. 2007).

გ. სოლარული ნიშნები. სოლარული ნიშნებიდან ყველაზე ხშირად ბასკური საფლავის ძეგლებზე მოცემულია ვარსკვლავი (ტაბ. VIII. სურ. 16), რომელიც კომპოზიციაში გვევლინება სხვა საგნებთან კავშირში. ვარსკვლავს ოსტატი გამოსახავს როგორც ღვთაების მარადიულობის სიმბოლოს (Ucla.1983). ქრისტიანულ ხელოვნებაში განსაკუთრებულად საინტერესოა რვაქიმიანი ვარსკვლავი, რომელიც ნიშანია მარადიული ნეტარებისა. რიცხვი 8 – ქრისტიანული სახისმეტყველებით მერვე ანუ განკითხვის დღის – უფლის მეორედ მოსვლის სიმბოლოა. მას ვარსკვლავის სახით ხშირად გამოსახავდნენ მხატვრულ ნაქარგობაში თავისი ჯვრული ფორმით. სიმბოლურად იგი იესო ქრისტეს იარაღს ნიშნავს, რომლითაც იესომ იხსნა კაცობრიობა (ბერელაშვილი. 2013). სოლარული ნიშნები რომაული პერიოდის სტელებისთვის არის დამახასიათებელი

დ. ანთროპომორფული გამოსახულებანი, შრომის იარაღები. ანთროპომორფული ფიგურების ქვაში გამოსახვა მრავალსაუკუნოვანი ხალხური ხელოვნების ტრადიციული დარგია. ამ მხრივ, საინტერესო მასალაა დაცული ბასკეთის მუზეუმებში. ერთ-ერთ ადრეულ ნიმუშს ე.წ. „Mesterikako burua“ („მესტერიკას ქალბატონი“) (ტაბ. VIII. სურ. 17) წარმოადგენს, რომელიც ძვ. წ. I და ახ. წ. I საუკუნეებს განეკუთვნება. იგი მატერიკაში (ბასკეთი) აღმოაჩინეს. ბიუსტი იმდენად უცხოა არსებულ მოდელთა შორის, რომ მეცნიერები ძეგლის კელტურ წარმოშობას ვარაუდობენ. არქეტიპი სახელწოდების მიხედვით ქალია, თუმცა სახის უხეში ნაკვეთი მის მამაკაცურ ბუნებაზე

უფრო მიუთითებს. მეცნიერთა განსაზღვრული ნაწილი არც ამ მოსაზრებას უარყოფს. არანაკლებ მნიშვნელოვანია არქაული პერიოდის ორი მცირე და ერთი შედარებით მაღალი დისკოს ფორმის საფლავის ქვა (ტაბ. VIII. სურ. 18). სამეული მუზეუმის დერეფანში ერთ მწკრივზეა განლაგებული. მცირე ზომის საფლავის ქვები ადამიანის კონფიგურაციას ქმნიან, ერთ-ერთი მათგანი თითქოს მავედრებლის პოზაში დგას. სახეზე ჯვარი აქვს გამოსახული.

განსხვავებული ფორმისაა მესამე, შედარებით მოზრდილი საფლავის ქვა. ანთროპომორფული ფიგურა მართკუთხა ფორმის თაღოვან მედალიონშია ჩასმული. გამოსახულება მიცვალებულის ასოციაციას ტოვებს, რომელსაც ორივე ხელით ჯვარი უპყრია. წინა ორი ფიგურის მსგავსად, წრეში ჩასმული ჯვარია გამოსახული, რომელიც ბრტყელ, განიერ და ნახევარმთვარის ფორმის დეტალებით შემკულ წრეშია ჩასმული.

არანაკლებ საინტერესოა (ტაბ. VIII. სურ. 19). ძვ. წ. II-I საუკუნეების იბერიულ-რომაული სტილის საფლავის ქვა. ოსტატმა ანთროპომორფული, ზომორფული და შრომის იარაღების გამოსახულებები სამ იარუსად განალაგა, ხოლო საბრძოლო ისარს გვერდითა ხაზზე მიუჩინა ადგილი. მართკუთხა ფორმის ნახევრად წრიულ თაღში სამი, ხელიხელგადახვეული ფიგურაა წარმოდგენილი. ზედა იარუსის ერთ ხაზზე განლაგებული შრომის იარაღები მოსჩანს. სავარაუდოდ, ქვის საჭრეთელი და ჩაქუჩი უნდა იყოს. ქვედა იარუსში კი ვფიქრობ, ხარის ზომორფული ფიგურებია განლაგებული.

ხარი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფიგურაა უძველესი ცივილიზაციების კულტურულ სამყაროში. იგი ძლიერებისა და პატიოსნების სიმბოლური გამოხატულებაა. მისი ფიგურა ასევე დაკავშირებულია მიცვალებულის დაკრძალვის ცერემონიასთან.

ხარის სემანტიკური ბუნება ვრცელდებოდა როგორც აღმოსავლურ, ასევე დასავლურ კულტურებში როგორც ხმელთაშუა ზღვის (იტალიური და იბერიული), ასევე ევროპის კონტინენტის შიდა კულტურებში. ამიტომ სრულიად ლოგიკურია ხარის ზემოთ მიმოხილულ ფიგურაზე გამოსახვა.

ხარის ფიგურა მნიშვნელოვანია ბასკურ-ქართულ სამგლოვიარო წეს-ჩვეულებებში. მიცვალებულის პროცესიაზე ხარს რქებზე პურებს ამაგრებდნენ ბასკეთში, საქართველოში კი, კერძოდ სვანეთში, – სანთლებს. მიცვალებულის სახელზე იციან ხარის შეწირვა (გაბუნია. 1995).

ცნობილია, რომ სამეურნეო და საბრძოლო იარაღებს ქვებზე ძველი დროიდან გამოსახავენ. წინაქრისტიანულ და ქრისტიანული საფლავის ქვებზე ხელობის აღმნიშვნელი ნივთები მიუთითებენ გარდაცვლილის საქმიანობაზე სიცოცხლეში. ესაა წინაქრისტიანული რელიგიური შეხედულების გადმონაშთი, როდესაც მიცვალებულს საიქიო ცხოვრებისთვის ატანდნენ სხვადასხვა ნივთებს. მაგალითად, მთვარე და ცული სასოფლო-სამეურნეო ცხოვრების გამოძახილია (LEIZAOLA. 1970). ცულიც, რა თქმა უნდა, სასოფლო-სამეურნეო ცხოვრების ნაწილია, მაგრამ ის ასევე ასოცირდება ჭეჭა-ჭუხილისა და ელვის თაყვანისცემასთან. ამ ტიპის წარმოდგენა ესპანურ-რომაული პერიოდიდან მომდინარეობს (Duvart. 1954).

საქართველოში საფლავის ქვებზე ანთროპომორფული ფიგურების გამოსახვაც ძველი ხალხური ხელოვნების ნაწილია და ამგვარი საფლავის ქვები მთელი საქართველოს მასშტაბითაა დადასტურებული. ქართულ სინამდვილეში დამკვიდრებული ეს წესი თავისი ქრისტიანულობის მიუხედავად, კავშირში უნდა იყოს საქართველოში მასობრივად გავრცელებულ ანთროპომორფული ფიგურების გამოსახვის ტრადიციასთან. ანთროპომორფული ნიმუშები დადასტურებულია სვანეთში, მთიულეთში, ქართლში. მკვლევარ ვერა ბარდაველიძეს მიაჩნდა, რომ მათში არეკლილი უნდა იყოს ძველი რელიგიურ-სიმბოლური რწმენის ნაკვალევი (ნადირაძე. 2001).

ე. ზომორფული ფიგურები. სანტელმოს მუზეუმში დაცული საფლავის ქვებიდან ორნამენტული დეკორითა და სიმალლით გამორჩეულია ევლატის სასახლის სამგლოვიარო ძეგლი, რომელიც XIV-XVI საუკუნეებითაა დათარიღებული (ტაბ. VIII. სურ. 20). სტელაზე გამოსახულია ორი მგელი, რომლებიც სიმბოლურად ევლატის (ნავარა) სასახლის მცველები არიან. სტელის განსხვავებული სიმალლე პატრონის ნოდებრივ უპირატესობაზე უნდა მიანიშნებდეს, რაც შეფარვით სხვა ოჯახებზე ბატონობის სურვილს გამოხატავს. საფლავის ქვაზე გადმოცემული მოტივი ევლატის სასახლის გერბის შთაგონება გამხდარა (<https://www.santelmomuseoa.es/uploads/Actividades/Diversificacion/viens-decouverte-meme.pdf>).

მგელსა და ადამიანს შორის პირველი დადასტურებული ურთიერთობა პალეოლითის ხანაში შედგა. მგელი ევროპის ერთ-ერთი ყველაზე ემბლემატური ცხოველია.

ანტიკურ ხანაში მეგლს მუდმივად უკავშირებდნენ ნაყოფიერებას, დაცვა-განადგურებას, დასჯას, მზესა და გმირულ ღვთაებებს.

არანაკლებ საინტერესოა ბასკეთის მუზეუმის ეზოში განთავსებული ქანდაკება, რომელიც კონფიგურაციის მიხედვით ღორს მოგვაგონებს (ტაბ. VIII. სურ. 21), თუმცა მეცნიერთა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ სკულპტურა ხარისაა. ძეგლი კელტიბერიულ პერიოდს განეკუთვნება. იგი უნიკალურია თავისი უცნაური ფორმით. მას ფეხებს შორის საფლავის ქვის დისკო აქვს მოქცეული. სტელა სავარაუდოდ, ძვ. წ. III და ახ. წ. I საუკუნეებისაა.

ძნელია ზუსტად თქვა, რა ჩანაფიქრი ჰქონდა ავტორს, როდესაც ამ სკულპტურაზე მუშაობდა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ სხეულისა და თავის მრგვალ ფორმებსა და კიდურების სიგრძეს, სავარაუდოდ, ქანდაკება ღორის ტიპს უფრო უნდა შეესაბამებოდეს, ვიდრე ხარისას. საინტერესოა, რატომ გადანევიტა ოსტატმა, ღორის ქანდაკება შეექმნა.

კელტური მითოლოგიის მიხედვით, „Moccos“ არის კელტური ღმერთი, რომელიც ძვ. წ. III ან II საუკუნის არაერთ წარწერაშია დამოწმებული. ის გაიგივებულია რომაულ ღმერთ მერკურთან. მოკუსი ეტიმოლოგიური ნიშნით დაკავშირებულია ღორთან. რომელიც იყო ნადირობისა და ომის, მაგრამ ამავდროულად კეთილდღეობის ძლიერი სიმბოლო. კელტურ იკონოგრაფიაში ღორებს გამოსახავდნენ განსაკუთრებული მრისხანეობით. აესტის ლეგიონერები ბრძოლაში ღორის გამოსახულებიან ქუდეებს ატარებდნენ. არდენის ტყის ქალღმერთი წარმოდგენილი იყო, როგორც ღორზე ამხედრებული მხედარი. ღორის სიმბოლური მახასიათებლებიდან გამომდინარე, შესაძლოა საფლავის ქვა ღორის სკულპტურული ფიგურა იყოს, რომელიც მაღალი სტატუსის მქონე მრისხანე მეომრის საფლავზე დადგეს (Green. 1989).

საქართველოში ღორის სკულპტურული ნამუშევრები არ დასტურდება. არც მითურ პერსონაჟად ყოფილა ოდესმე აღიარებული. ერთი გადმოცემის დადებითი გმირი კი ნამდვილადაა ღორი. მურვან-ყრუს ამაოხრებელი შემოსევისას (735-737 წწ), ნეკრესის სამონასტრო კომპლექსში დამალული ქართველები ღორებს გადაურჩენიათ. იმ დღის შემდეგ, ნეკრესი ერთადერთი ტაძარია, სადაც ღორს წირავენ და კლავენ.

ვ. ფრინველის გამოსახულება. ჩვენს ხელთ არსებული ნივთიერი მასალის მიხედვით, ბასკური საფლავის ძეგლებზე ყვავილოვან მოტივებთან შედარებით ნაკლებადაა წარმოდგენილი ფრინველის გამოსახულებები. სანტელმოს მუზეუმში დაცულ ნივთიერ მასალაში, რომელსაც ჩვენ გავეცანით, იყო მხოლოდ მტრედებისა და არწივის გამოსახულება.

ბასკური საფლავის ერთ-ერთ ქვაზე სამი მტრედია გამოსახული (ტაბ. VIII. სურ. 22). დისკოს ზედაპირს ბერძნული ჯვარი ოთხ ტოლ ნაწილად ყოფს, რომლის სამ ნაწილში თითო მტრედია მოთავსებული, მეოთხეში კი წარწერა იკითხება. როგორც გაირკვა, სტელაზე გამოსახული ფრინველის მოტივი ოგერ დე ურსუას ეკუთვნოდა, რომელიც XVI საუკუნეში ცხოვრობდა. ფრინველის, კერძოდ კი მტრედის გამოსახვა ქრისტიანული ხელოვნებისთვის უცხო არაა. ძველი აღთქმის მიხედვით მტრედი მშვიდობის, სიყვარულისა და მეგობრობის სიმბოლოა. მტრედი სულიწმინდის სიმბოლური გამოსახულებაა, რომელსაც გარდაცვლილის სულების ზეცისკენ წაყვანა აკისრია. მტრედს აგრეთვე მიცვალებულის სულის ფრინველად გამოსახავენ. მტრედი არის ერთ-ერთი უძველესი და დასრულებული შინაარსის მატარებელი სიმბოლო, უნივერსალური და საყოველთაო, თითქმის მთელი მსოფლიოს მასშტაბით (ნადირაძე. 2001).

მტრედის სიმბოლური გამოსახულებები გარკვეული რაოდენობით გვხვდება ქართულ საეკლესიო არქიტექტურასა და ძველ ქართულ ხელნაწერთა მორთულობაში. ქართული საფლავის ქვებზე ხშირადაა გამოსახული ორი ფრინველის სიუჟეტი, რომელთა შუაში ან ბორჯღალია მოთავსებული, ან რაიმე ჭურჭელი. ეს მოტივი ძალზე გავრცელებულია ქრისტიანულ სამყაროში და სათავეს იღებს ძველი ხელოვნებიდან, რაც გამოკვეთილად უსვამს ხაზს ქრისტიანობასა და ხალხურ ხელოვნებას შორის კავშირს (ნადირაძე. 2001).

მეტად საინტერესოა სან ტელმოს მუზეუმში დაცული საფლავის ქვა, რომელზეც არწივის გამოსახულებაა დატანილი (VIII. სურ. 23). მეცნიერთა ვარაუდით, ეს უნდა იყოს ე.წ. „Arrano beltza“ (სიტყვასიტყვით შავი არწივი), რომელიც პირველად ნავარის მეფე სანჩო VII-მ (1194-1234) 1219 წლით დათარიღებულ დოკუმენტში სამეფო ბეჭდად გამოიყენა, დოკუმენტში მეფე გარკვევით აცხადებს, რომ არწივი მისი ემბლემაა.

არწივი ძველ ხალხთა წარმოდგენაში მზის, სინათლის და ძლიერების სიმბოლო-

დაა მიჩნეული. ძლიერების, გამარჯვებისა და ნაყოფიერების სიმბოლოდ არწივი თავდაპირველად სპარსულ მითოლოგიაში ჩნდება. ბერძნებმა იგი ზევსის მრჩეველად და მსახურად აქციეს, რომელიც მას ისრებით ამარაგებდა, ხოლო რომაელებმა ეტრუსკებისგან აიღეს და იმპერატორთა ძალაუფლების სიმბოლო გახადეს. ქრისტიანულ სიმბოლიკაში არწივი სიკეთეს განასახიერებს (გელოვანი. 1983).

ავეჯი. მემორიალურ ძეგლებზე გამოსახული ორნამენტების დიდი ნაწილი მეორდება ხის ნაკეთობებში. ზედაპირი შემკულია ჯვრის, გეომეტრიული, მცენარეული, ზომორფული და ანთროპომორფული ნიშან-სიმბოლოებით (ტაბ. VIII. სურ. 24).

ბასკურ ავეჯზე გამოკვეთილადაა წარმოდგენილი კიდევ ერთი ყვავილოვანი ორნამენტი, რომელსაც მემორიალური ძეგლების მიმოხილვისას საგანგებოდ არ შევხებივართ. ეს არის მზის ყვავილი „Eguzkilo“, ქართულად ნარშავა, რომელიც ბასკურ ეთნოკულტურაში სიმბოლოდ აღიარებული ყვავილია (ტაბ. VIII. სურ. 25). ლეგენდის თანახმად, მზის ქალღმერთი ღამით თურმე ყვავილად გარდაქმნებოდა, რათა თავისი ხალხი ბოროტი ძალებისგან დაეცვა. ეს ლეგენდა დაედო საფუძვლად ყვავილის სიმბოლურ დატვირთვას, რომელსაც ბასკი ხალხი მზის ძალას, მაცოცხლებელ ენერგიას, ავი თვალისგან დამცავ ფუნქციას მიაწერს. ყვავილი, როგორც მზის ენერგიის მატარებელი ნიშანი, კავშირშია მიწასთან, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობებთან. „Eguzkilo“-ს ამ სიმბოლური დატვირთვით გამოსახავენ სამკაულებზე, ავეჯსა და სხვა ყოფით თუ დეკორატიულ საგნებზე. ყვავილს, როგორც ავი თვალისგან დამცავი ფუნქციის მქონე თილისმას, ჰკიდებდნენ სახლის კარზე. მზის ყვავილი ბასკეთის კულტურული იდენტობის სიმბოლოა (https://liliberina.com/en/blogs/infos/connaissez-vous-les-eguzkiloire-un-voyage-dans-le-folklore-basque?srltid=AfmBOor9xRW-Xoic7_Bsann5NyGW42aRRpzlRbNxe5qCLlc150V85pTW).

ქართული ხალხური ავეჯის ერთ-ერთი ღირსება შემკულობაა. ის მრავალფეროვნებითაა გამორჩეული საქართველოს კუთხეების მიხედვით. რაც შეეხება ბასკურთან მსგავსებას, შეიძლება დავასახელოთ ისეთი ნიშან-სიმბოლოები, როგორიცაა ჯვრის, ბორჯღალისა და ვარდულების სიუჟეტური გამოსახულებები. ვარდულებს ქართულ ეთნოგრაფიაში ხუთანებს ეძახიან. იგი დამახასიათებელია საქართველოს თითქმის ყველა კუთხის ხითხურობაში (ტაბ. VIII. სურ. 26).

ამგვარად, კულტურათაშორისი კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ ბასკებსა და ქართველებს შორის ნათესაური კავშირი არსებობს, მაგრამ შეუძლებელია გადამწყვეტით ამის თქმა და აღიარება.

რომ არა ამ ორი ხალხის სისხლით ნათესაური კავშირი, რას შეიძლება მიენეროს ის მრავალრიცხოვანი მსგავსება, რომელთაც ადგილი აქვს ამ ორი ეთნოსის ენობრივ სტრუქტურაში, გლოვის წესებსა და ტრადიციებში და ახლა უკვე სიმბოლო-ნიშნებში.

* * *

შესაძლოა ზემოთ ჩამოთვლილი მსგავსებები უნივერსალური კულტურის ელემენტებს მიენეროს, მაგრამ რას მივანეროთ ის, რომ მთელ დუნიაზე ღვინოს ჭაჭაზე მხოლოდ ქართველები და ბასკები აყენებენ (<https://rhonea.fr/fr/blog/les-differentes-etapes-d-elaboration-d-un-vin--n53#:~:text=Les%20vins%20rouges%20sont%20%C3%A9labor%C3%A9s,moins%20de%20couleur%20au%20vin>), სამხმოვან ხალხურ სიმღერებს მხოლოდ ქართველები და ბასკები მღერიან, ხორუმისმაგვარი ხალხური ცეკვა ბასკებმაც რომ შექმნეს...

კულტურათა თანხვედრა და მეტი არაფერია ის, რომ ორი ერთნაირი ენდემური ჯიშის ხორბალი მხოლოდ საქართველოსა და ბასკეთში რომ იძიება? (მახარაძე. 2008).

არც ის უნდა იყოს დამთხვევა, მბრუნავი მზე – ბორჯღალი და ლაუბურუ ეროვნული იდენტობის სიმბოლოდ რომ შემოინახეს ქართველებმა და ბასკებმა

დაბოლოს, წმინდა ხე – მუხა საქართველოში, რომელსაც მუშლი თავს ახვევია და წმინდა ხე – გენრიკაში, რომელიც მიწასთან გაასწორა ფაშისტურმა გერმანიამ 1937 წელს. ორივე ეროვნული იდენტობის ნიშანია ამ ეთნოსებისთვის.

დანარჩენი მკითხველისთვის მიმინდვია.

თავი IV. ქართული ორნამენტი თანამედროვე თანამედროვე ტექნოლოგიებში

ნატო ფაილოძე, ზინაიდა ვადაჭკორია, ნანული აბესაძე, ლია ლურსმანაშვილი

თანამედროვე წარმოების ნედლეულთან შედარებისა და შემდგომი ანალიზისათვის მოვახდინეთ მივლინებების პერიოდში ქართლში, კახეთში, აჭარასა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონულ და კერძო მუზეუმებში დაცული მასალებისა და ყოფაში (ოჯახებში) შემორჩენილ ნივთებზე გამოსახული ორნამენტების ანალიზი. ჩავატარეთ ადგილობრივ მოსახლეობაში შესყიდული საქსოვი ნედლეულის (ნართი, ძაფი) ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების კვლევა.

ნაქსოვი ნაწარმის, ისევე როგორც სხვა დანარჩენი ნაწარმის მხატვრული გაფორმების ამოცანაა, ორნამენტის მეშვეობით გაამდიდროს მისი მხატვრულ-წარმოსახვითი არსი. ნაქსოვი ნაწარმის ორნამენტის ხასიათი, მისი ნახატი და კომპოზიციური გადაწყვეტა უშუალოდ დაკავშირებულია ტილოს ფორმირების ხერხთან. ორნამენტული ტილოს ფორმირების ხერხის გათვალისწინებით, ორნამენტის კლასიფიცირება შესაძლებელია ორი პრინციპით:

ა) ნახატის წარმომქნელი მექანიზმების გამოყენებით:

ბ) ხლართების სტრუქტურის მიხედვით.

ნახატის წარმომქნელი მექანიზმების გამოყენების პრინციპის მიხედვით ორნამენტული ტილოები შეიძლება დავყოთ შემდეგ ჯგუფებად:

- ტილო, რომელიც მიიღება მარტივი ქსოვის ხერხის მეშვეობით დამატებითი ნახატის წარმომქნელი მექანიზმების გამოყენების გარეშე;
- ტილო, რომელიც მიიღება ნემსების ჯგუფური შერჩევით;
- ტილო, რომელიც მიიღება ნემსების ინდივიდუალური შერჩევით;
- ტილო, რომელიც მიიღება ქსოვის კომბინირებული ხერხით.

ნახატის წარმომქნისას გამოყენებული ხლართების სტრუქტურის მიხედვით, ხლართების არსებული კლასიფიკაციის შესაბამისად, ტრიკოტაჟული ტილოები შეიძლება დაიყოს:

მთავარ, წარმოებულ, ნახატოვან და კომბინირებულ ტილოებად.

ნაქსოვ ნაწარმში ორნამენტი წარმოიქმნება ტრიკოტაჟის ტილოში ტილოს ძაფების გადახლართვით და მათი ორგანულად დაკავშირებით. მოტივების ხაზები და მოხაზულობების კონტურები გადამუშავდება ტილოს ხლართებთან მიმართებაში და ამ უკანასკნელზე დამოკიდებულებით ისინი შეიძლება იყოს სწორი, საფეხურებიანი და მრუდხაზოვანი. ორნამენტის მოტივების სპეციფიკის ხაზგასმა ხდება ხლართის სტრუქტურის განსაკუთრებული დეკორატიული ელემენტების მეშვეობით: მარყუჟების, განაბმების, სხვადასხვა ფორმის ყულფების სახით (Офферман. 1981).

ხლართის ხილვად სტრუქტურაზე არსებით ზემოქმედებას ახდენს ნართის ხაზობრივი სიმკვრივე (სისქე), შემადგენლობა (ბოჭკოების სახეები), დეკორატიული სახე (მელანჟე, ყულფებიანი და სხვა).

უნდა აღინიშნოს, რომ ტრიკოტაჟის ტილოს სტრუქტურას ახასიათებს გარკვეული ესთეტიკური შინაარსი. ორნამენტსა და ხლართებს აერთიანებს საერთო ნიშან-თვისებები, რაც არის ესთეტიკური ზემოქმედების და დეკორატიული გამომხატველობის ფაქტორი. ის აქტიურად ქმნის ტილოს მხატვრულ სახეს. ამიტომ ტილოს სტრუქტურა კი არ შეინილბება, არამედ პირიქით, გამოაშკარავდება.

ფაქტურა ნაქსოვ ნაწარმში არის ზედაპირის ხილვადი სტრუქტურა, რომელიც ზემოქმედებას ახდენს მის გარეგნულ სახეზე (რელიეფურობაზე, ნახატზე, სიბრწყინვალებაზე და სხვა). ტილოს ზედაპირის ხასიათი დამოკიდებულია ნართისა და ძაფების ვიზუალურ მხარესა და მათ შემადგენლობაზე, ხლართის ნახატის ხასიათზე, ორნამენტის დანიშნულებაზე, სიმკვრივესა და დამუშავების ხერხზე. ტილოს ფაქტურა იქმნება ხლართებით, ტრიკოტაჟის სტრუქტურით და ორნამენტებით, რომლებიც ახდენენ გავლენას ტილოს ზედაპირის გარეგნულ სახეზე. ფაქტურა და ფერი მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან. ფერი და ფაქტურა გავლენას ახდენს ტრიკოტაჟის ტილოს ვიზუალურ აღქმაზე, მათ შეუძლიათ გახადონ ის მსუბუქი ან მძიმე, მოცულობითი ან ბრტყელი, მჭიდრო ან გამჭვირვალე და ა.შ.

ჩვენი წინაპრების მიერ დამზადებული ნაქსოვი ნაწარმი, რომელიც მოვიძიეთ ზემოთ მითითებულ ადგილებში, საკმაოდ მრავალფეროვანი იყო: წინდები, საგალანტერიო ნაწარმი, თეთრეული, პულოვერები, ჟაკეტები, ხელთათმანები, თავსაბურავები, საბავშვო ნაწარმი, დეკორატიული ტილოები და სხვა მრავალი, რომლებიც ძირითადად მოქსოვილია კულირული სადა ხლართით, ე.წ. „ჩულქური“ ქსოვით.

კულირული სადა ხლართი არის ძირითადი საბაზო ხლართი. ის შედგება ერთნაირი ფორმისა და ზომის მარყუჟებისაგან. ხლართს გააჩნია წალმა და უკუპირი, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისგან. წალმა პირზე ჩანს ვერტიკალურად განლაგებული ე.წ. „ნაწნავები“, ხოლო უკუპირზე ჰორიზონტალურად განლაგებული რკალები.

კულირული სადა ხლართის ბაზაზე შემდგომში შესაძლებელია სხვადასხვა ხლართების გამომუშავება. მაგალითად: ნახატოვანის (განივ და გრძივზოლიანის, ჟაკარდულის, პლატირებული და ა.შ.).

რადგან კულირული სადა ხლართის ზედაპირი ერთგვაროვანია, მასზე სხვადასხვა ფერის ძაფის გადახლართვით მიღებული ორნამენტი აღსაქმელად უფრო მისაღებია, ამას ადასტურებს ჩვენ მიერ სხვადასხვა შემადგენლობის, სტრუქტურისა და ხაზობრივი სიმკვრივის ნართისგან დამზადებული ნიმუშების ანალიზი და მათი შედარება მოძიებულ ექსპონატებთან. ყოველივე ამის გათვალისწინებით ორნამენტის მოსაქსოვად შევირჩიეთ კულირული სადა ხლართი. ხლართში ძაფის წყობის, მარყუჟების სახეებისა და განლაგების თანამიმდევრობაზე წარმოდგენას გვაძლევს მისი გრაფიკული ჩანაწერი.

ორნამენტის სქემების შესადგენად საჭიროა განისაზღვროს მისი რაპორტი. რაპორტი არის ორნამენტის საბაზო ელემენტის ნაწილი, რომელიც მრავალჯერ მეორდება. რაპორტი ორნამენტის კომპოზიციური ტიპია. ამ საწყისი ელემენტის მრავალჯერადი გამეორებით გრძივი, განივი ან ერთდროულად ორივე მიმართულებით მიიღება ერთიანი დეკორატიული მთლიანობა (ტაბ. IX. სურ. 1).

ნიმუშების ანალიზის, სქემების შედგენის, რაპორტის დადგენისა და ხლართის სტრუქტურის უკეთ წარმოსადგენად D3 პროგრამის გამოყენებით დავამუშავეთ რამდენიმე ორნამენტის ესკიზი. საცდელად ავიღეთ სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცულ ნაქსოვ ექსპონატებზე გამოსახული ორნამენტები. პირველ რიგში დავამუშავეთ ექსპონატის ორნამენტის მცირე მონაკვეთი. მიღებული შედეგის გამოყენებით ავაგეთ სამუზეუმო ექსპონატების ორნამენტის რამდენიმე ფრაგმენტი (ტაბ. IX. სურ. 2-4).

ავაგეთ და შევისწავლეთ ესკიზების ჭრა მარყუჟთა რიგისა და მარყუჟთა სვეტის გასწვრივ ძაფის წყობით (ტაბ. IX. სურ. 5). ქართული ორნამენტის ქსოვის დროს მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ნახატისა და ფერების იდენტიფიცირება, არამედ ქსოვის ტექნოლოგიური პარამეტრების დაცვა როგორც ხელით, ისე საქსოვ მანქანაზე ქსოვისას. ნაქსოვის სახეზე მოქმედებს ტრიკოტაჟის ისეთი პარამეტრები, როგორიცაა: მარყუჟის სიგრძე, სიმჭიდროვე, სიმკვრივე, ზედაპირული შევსება და სხვა. გარდა ამისა, დიდი მნიშვნელობა აქვს ნართის ხაზობრივ სიმკვრივეს. ყოველივე ამის გათვალისწინებით, აუცილებლობას წარმოადგენდა დაგვედგინა, ახდენდა თუ არა ქსოვის ტექნოლოგიური პროცესი გავლენას მანქანაზე ნაქსოვი ორნამენტის პარამეტრებზე. რადგან, მხოლოდ ამის დადგენის შემდეგ იქნება შესაძლებელი ქსოვის პროცესის ნორმალიზაცია-ოპტიმიზაციისთვის რეკომენდაციების გაცემა. ორნამენტების ქსოვის პროცესის პარამეტრების დადგენა ანალიტიკური მიდგომით შეუძლებელია. აღნიშნული საკითხის მექანიზმის გარკვევა, ანუ ქსოვის პროცესის მათემატიკური მოდელის პოვნა შესაძლებელია მხოლოდ ექსპერიმენტულად. ამოცანა მდგომარეობს შემდეგში: უნდა მოიძებნოს დამოკიდებულება, რომელიც ადგენს კავშირს ქსოვის პროცესის პარამეტრებსა და ნაქსოვი ორნამენტის ტექნოლოგიურ პარამეტრებს შორის (ჩვენს შემთხვევაში ეს პარამეტრი არის სიმჭიდროვე). ტრიკოტაჟს ახასიათებს სიმჭიდროვე ორი მიმართულებით: ჰორიზონტალური, ანუ სიმჭიდროვე მარყუჟთა რიგების გასწვრივ და ვერტიკალური, ანუ მარყუჟთა სვეტების გასწვრივ. კვლევა ჩატარდა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტრიკოტაჟის ტექნოლოგიის ლაბორატორიაში. კვლევის მეთოდოლოგია გულისხმობს: ქსოვა განგვეხორციელებინა LK150, LK155, SK280, ბრტყელფანგურ „ПВНМ“ და კომპიუტერული მართვით აღჭურვილ „ARROW*STAR“ საქსოვ მანქანებზე, სხვადასხვა ხაზობრივი სიმკვრივის ნართით, რათა მოგვეხდინა მათემატიკური მოდელის დახმარებით ქსოვის ოპტიმალური პარამეტრების მიღება. დავადგინეთ ტექნოლოგიური რუკები და საცდელი ნიმუშების ქსოვა გან-

ვახორციელეთ 3, 6 და 10 კლასის საქსოვ მანქანებზე წინასწარ შერჩეული ხლართით. ვინაიდან ტრიკოტაჟის სიმჭიდროვე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ნართის ხაზობრივ სიმკვრივეზე, ექსპერიმენტის დროს გამოყენებულ იქნა სამი განსხვავებული ხაზობრივი სიმკვრივის მქონე ნართი.

პროცესის მიმდინარეობის ნორმალიზაცია-ოპტიმიზაციისთვის დავამუშავეთ მათემატიკური მოდელი.

ექსპერიმენტი 1.

მანქანა LK150. ნართის შემადგენლობა: 49% შალი, 51% აკრილი; მეტრაჟი – 100 გრ/390 მ. LK150 მანქანის სიმჭიდროვის მარეგულირებლის ნომრის ცვლილებით მიღებული 15 ნიმუში (სურ. 6-137).

აღებულია ჰორიზონტალური და ვერტიკალური სიმჭიდროვეების შებრუნებული სიდიდეები, ხოლო კრიტერიუმად საქსოვი მანქანის დაჭიმულობის რეგულატორის ჩვენება. საწყისი მონაცემები მოცემულია ცხრილში (ცხრილი 1). მიღებული იქნა გადანეგვითილება რეგრესიის წრფივი მოდელის სასარგებლოდ, რაც ბუნებრივია, შესაბამისობაშია რეალობასთან იმ მიზეზის გამო, რომ დაჭიმულობასა და მარყუჟების სიმჭიდროვეებს შორის უკუპროპორციული დამოკიდებულებაა, ხოლო შებრუნებულ სიდიდეებთან – პირდაპირპროპორციული.

ცხრილი 1. საქსოვ მანქანა LK150-ზე ქსოვის ექსპერიმენტის შედეგები

№	დაჭიმულობა	ჰორიზონტალური სიმჭიდროვე	ვერტიკალური სიმჭიდროვე	1/ჰორ	1/ვერ
1	2,50	12,50	20,00	0,08000	0,05000
2	2,80	12,50	20,00	0,08000	0,05000
3	3,00	11,50	15,00	0,08696	0,06667
4	3,50	10,10	15,00	0,09901	0,06667
5	4,00	10,50	15,00	0,09524	0,06667
6	4,50	10,00	15,00	0,10000	0,06667
7	5,00	10,00	15,00	0,10000	0,06667
8	5,50	10,00	15,00	0,10000	0,06667
9	6,00	10,00	12,50	0,10000	0,08000
10	6,50	9,00	12,50	0,11111	0,08000
11	7,00	9,00	10,00	0,11111	0,10000
12	7,50	8,00	10,00	0,12500	0,10000
13	8,00	7,50	10,00	0,13333	0,10000
14	8,50	7,50	10,00	0,13333	0,10000
15	9,00	6,00	10,00	0,16667	0,10000

1. რეგრესიის განტოლების შეფასება.

განვსაზღვროთ რეგრესიის კოეფიციენტების ვექტორი. უმცირეს კვადრატთა მეთოდის თანახმად, s ვექტორი გამოითვლება ფორმულით: $s = (X^T X)^{-1} X^T Y$

X_j ცვლადების მატრიცა შევავსოთ ერთეულოვანი სვეტით:

1	1	1	1	1	1	1	1	1	1
0.08	0.08	0.08696	0.09901	0.09524	0.1	0.1	0.1	0.1	0.11111
0.05	0.05	0.06667	0.06667	0.06667	0.06667	0.06667	0.06667	0.06667	0.08

1	1	1	1	1
0.11111	0.125	0.13333	0.13333	0.16667
0.08	0.1	0.1	0.1	0.1

Y მატრიცა

2.5	2.8	3	3.5	4	4.5	5	5.5	6	6.5
-----	-----	---	-----	---	-----	---	-----	---	-----

7	7.5	8	8.5	9
---	-----	---	-----	---

X^T მატრიცა

1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
0.08	0.08	0.08696	0.09901	0.09524	0.1	0.1	0.1	0.1	0.11111	0.11111	0.125	0.13333	0.13333	0.16667
0.05	0.05	0.06667	0.06667	0.06667	0.06667	0.06667	0.06667	0.06667	0.08	0.08	0.1	0.1	0.1	0.1

გადავამრავლოთ მატრიცები, (X^TX)

$$X^T X = \begin{pmatrix} 15 & 1,6218 & 1,1267 \\ 1,6218 & 0,1829 & 0,127 \\ 1,1267 & 0,127 & 0,08891 \end{pmatrix}$$

გადავამრავლოთ მატრიცები, (X^T*Y)

$$X^T Y = \begin{pmatrix} 83,3 \\ 9,6498 \\ 6,7451 \end{pmatrix}$$

ვიზოვით შებრუნებული მატრიცა (X^TX)⁻¹

$$(X^T X)^{-1} = \begin{pmatrix} 1,6164 & -13,9151 & -0,6032 \\ -13,9151 & 830,071 & -1009,5494 \\ -0,6032 & -1009,5494 & 1461,1782 \end{pmatrix}$$

რეგრესიის კოეფიციენტების შეფასებათა ვექტორი ტოლია

$$Y(X) = \begin{pmatrix} 1,6164 & -13,9151 & -0,6032 \\ -13,9151 & 830,071 & -1009,5494 \\ -0,6032 & -1009,5494 & 1461,1782 \end{pmatrix} \times \begin{pmatrix} 83,3 \\ 9,6498 \\ 6,7451 \end{pmatrix} = \begin{pmatrix} -3,6978 \\ 41,4023 \\ 63,5685 \end{pmatrix}$$

რეგრესიის განტოლებას აქვს სახე

$$Y = -3.6978 + 41.4023X_1 + 63.5685X_2$$

სადაც:

y – მანქანის დაჭიმულობის რეგულატორის მაჩვენებელია, ანუ დაჭიმულობა, x₁ – ჰორიზონტალური მარყუჟების სიმჭიდროვის შებრუნებული სიდიდეა, ხოლო x₂ – ვერტიკალური მარყუჟების სიმჭიდროვის შებრუნებული სიდიდე.

კოეფიციენტების ინტერპრეტაცია. მუდმივა განტოლებაში სხვა ფაქტორების ჯამური გავლენაა Y შედეგზე. b₁ = 41.4023 მიუთითებს თუ რამდენით შეიცვლება Y x₁-ის 1-ით გაზრდით, ხოლო b₂ = 63.5685 ანალოგიური მაჩვენებელია x₂-ის 1-ით გაზრდის შემთხვევაში.

2. რეგრესიის განტოლების პარამეტრების ანალიზი.

გადავიდეთ მიღებული განტოლების სტატისტიკურ ანალიზზე: შევამოწმოთ განტოლება და მისი კოეფიციენტები მნიშვნელოვნებაზე, გამოვიკვლიოთ აპროქსიმაციის აბსოლუტური და ფარდობითი ცდომილობები.

გადაუადგილებელი დისპერსიის შესაფასებლად ჩავატაროთ შემდეგი გამოთვლები: გადაუადგილებელი ცდომილება $\epsilon = Y - Y(x) = Y - X \cdot s$ (აპროქსიმაციის აბსოლუტური ცდომილება)

Y	Y(x)	$\epsilon = Y - Y(x)$	ϵ^2	$(Y-Y)^2$	$ \epsilon : Y $
2.5	2.793	-0.293	0.0858	9.323	0.117
2.8	2.793	0.00716	5.1309441653925E-5	7.581	0.00256
3	4.141	-1.141	1.301	6.52	0.38
3.5	4.64	-1.14	1.299	4.216	0.326
4	4.483	-0.483	0.234	2.413	0.121
4.5	4.681	-0.181	0.0326	1.11	0.0401
5	4.681	0.319	0.102	0.306	0.0639
5.5	4.681	0.819	0.671	0.00284	0.149
6	4.681	1.319	1.741	0.2	0.22
6.5	5.988	0.512	0.262	0.896	0.0788
7	5.988	1.012	1.024	2.093	0.145
7.5	7.834	-0.334	0.112	3.79	0.0446
8	8.179	-0.179	0.0321	5.986	0.0224
8.5	8.179	0.321	0.103	8.683	0.0377
9	9.56	-0.56	0.313	11.88	0.0622
			7.313	64.997	1.81

აპროქსიმაციის საშუალო ცდომილება

$$A = \frac{\sum_{i=1}^n \left| \frac{\epsilon}{Y} \right|}{n} \cdot 100\% = \frac{1.81}{15} \cdot 100\% = 12.06\%$$

დისპერსიის შეფასება ტოლია:

$$s_e^2 = (Y - Y(X))^T (Y - Y(X)) = 7.313$$

დისპერსიის გადაუადგილებელი შეფასებაა:

$$s^2 = \frac{1}{n - m - 1} \cdot s_e^2 = \frac{1}{15 - 2 - 1} \cdot 7.313 = 0.6094$$

საშუალო კვადრატული გადახრა ტოლია (Y-ის სტანდარტული ცდომილება):

$$S = \sqrt{s^2} = \sqrt{0.6094} = 0.781$$

$k = S^2 \cdot (X^T X)^{-1}$ ვექტორის კოვარიაციული მატრიცის შეფასებაა

$$\begin{array}{cccccc}
1,6164 & -13,9151 & -0,6032 & 0,9851 & -8,48 & -0,3676 \\
k(x) = 0.61 & -13,9151 & 830,071 & -1009,5494 & = -8,48 & 505,851 & -615,2265 \\
& -0,6032 & -1009,5494 & 1461,1782 & -0,3676 & -615,2265 & 890,4522
\end{array}$$

მოდელის პარამეტრების დისპერსიები განისაზღვრება თანაფარდობით $S^2_i = K_{ii}$, ე.ი. მთავარ დიაგონალზე მდგომი ელემენტებით

$$S_{b0} = \sqrt{0.985} = 0.993$$

$$S_{b1} = \sqrt{505.851} = 22.491$$

$$S_{b2} = \sqrt{890.425} = 29.84$$

3. მრავლობით რეგრესიის განტოლების ზოგადი ხარისხის შემოწმება.
F - სტატისტიკა - ფიშერის კრიტერიუმი.

$$R^2 = 1 - \frac{s_t^2}{\sum_{i=1}^n (y_i - \bar{y})^2} = 1 - \frac{7.313}{65} = 0.8875$$

შევამოწმოთ ჰიპოთეზა საერთო მნიშვნელოვნებაზე, ანუ ჰიპოთეზა რეგრესიის ყველა კოეფიციენტის ერთდროულად 0-ის ტოლობაზე:

$$\begin{aligned}
H_0: R^2 &= 0; \beta_1 = \beta_2 = \dots = \beta_m = 0. \\
H_1: R^2 &\neq 0.
\end{aligned}$$

ამ ჰიპოთეზის შემოწმება განვახორციელოთ F სტატისტიკის (ფიშერის განაწილების) მეშვეობით. თუ $F < F_{kp} = F_{\alpha; n-m-1}$, მაშინ არ არსებობს H_0 ჰიპოთეზის უგულებელყოფისათვის.

$$F = \frac{R^2}{1 - R^2} \cdot \frac{n - m - 1}{m} = \frac{0.8875}{1 - 0.8875} \cdot \frac{15 - 2 - 1}{2} = 47.328$$

კრიტერიუმის ცხრილური მნიშვნელობა თავისუფლების $k_1 = 2$ и $k_2 = n-m-1 = 15 - 2 - 1 = 12$ ხარისხისას ტოლია $F_{kp}(2;12) = 3.8853$ რადგანაც ფაქტობრივი მნიშვნელობა $F > F_{kp}$, ამიტომ კოეფიციენტები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია და განტოლება სტატისტიკურად საიმედოა (ანუ ყველა b_i კოეფიციენტი ერთობლივად მნიშვნელოვანია).

დასკვნები:

გამოთვლებით მიღებული იქნა მრავალფაქტორიანი რეგრესიის განტოლება: $Y = -3.6978 + 41.4023X_1 + 63.5685X_2$. მოდელი შეიძლება ინტერპრეტირდეს შემდეგნაირად: X_1 -ის 1 ერთეულით გაზრდა იწვევს Y -ის საშუალოდ 41.402 ერთეულით გაზრდას, ხოლო X_2 -ის ერთი ერთეულით გაზრდა - 63.568 ერთეულით ცვლილებას. განტოლების მნიშვნელოვნება შემოწმებულია ფიშერის კრიტერიუმით. Y -ის ცვლილება განპირობებულია X_1 ფაქტორებით, თუმცა ფაქტორებს შორის კორელაციის კოეფიციენტი 0,7-ზე მეტია და ამიტომ, შესაძლებელია ამ ფაქტორებიდან ერთ-ერთის გამორიცხვა. მოცემული ცხრილი 1-ით და ამ განტოლებით ადვილი დასადგენია, თუ რა დანაყოფზე უნდა უნდა დაყენდეს დაჭიმულობის რეგულატორი, საჭირო სიმჭიდროვის მისაღებად.

ექსპერიმენტი 2.

მანქანა LK155. ნართის შემადგენლობა: 49% შალი, 51% აკრილი, მეტრაჟი: 100 გრ/275 მ. LK155 მანქანის სიმჭიდროვის ცვლილებით მოიქსოვა 14 ნიმუში.

ნინა ექსპერიმენტის ანალოგიურად აღებულია ჰორიზონტალური და ვერტიკალური სიმჭიდროვების შეზღუდული სიდიდეები, ხოლო კრიტერიუმად საქსოვი მანქანის დაჭიმულობის რეგულატორის ჩვენება. საწყისი მონაცემები მოცემულია ცხრილში 1. მიღებული იქნა გადანეგვტილება რეგრესიის წრფივი მოდელის სასარგებლოდ, რაც ბუნებრივია, შესაბამისობაშია რეალობასთან იმ მიზეზის გამო, რომ დაჭიმულობასა და მარყუჟების სიმჭიდროვებს შორის უკუპროპორციული დამოკიდებულებაა, ხოლო შეზღუდულ სიდიდეებთან – პირდაპირპროპორციული.

ცხრილი 2. საქსოვ მანქანა LK155-ზე ქსოვის ექსპერიმენტის შედეგები

N	დაჭიმულობა	ჰორიზონტალური	ვერტიკალური	1/ჰორ	1/ვერ
1	2,50	10,00	15,00	0,10000	0,06667
2	3,00	10,00	15,00	0,10000	0,06667
3	3,50	10,00	12,50	0,10000	0,08000
4	4,00	9,50	12,50	0,10526	0,08000
5	4,50	9,50	11,00	0,10526	0,09091
6	5,00	9,50	10,00	0,10526	0,10000
7	5,50	9,50	10,00	0,10526	0,10000
8	6,00	9,00	9,00	0,11111	0,11111
9	6,50	7,50	9,00	0,13333	0,11111
10	7,00	6,50	9,00	0,15385	0,11111
11	7,50	6,50	9,00	0,15385	0,11111
12	8,00	6,00	9,00	0,16667	0,11111
13	8,50	5,50	8,50	0,18182	0,11765
14	9,00	5,00	8,50	0,20000	0,11765

1. რეგრესიის განტოლების შეფასება.

განვსაზღვროთ რეგრესიის კოეფიციენტების ვექტორი. უმცირეს კვადრატთა მეთოდის თანახმად, s ვექტორი გამოითვლება ფორმულით:

$$s = (X^T X)^{-1} X^T Y$$

X_j ცვლადების მატრიცა შევავსოთ ერთეულოვანი სვეტით

1	1	1	1	1	1	1	1	1	1
0.1	0.1	0.1	0.10526	0.10526	0.10526	0.10526	0.11111	0.13333	0.15385
0.06667	0.06667	0.08	0.08	0.09091	0.1	0.1	0.11111	0.11111	0.11111

1	1	1	
0.15385	0.16667	0.18182	0.2
0.11111	0.11111	0.11765	0.11765

Y მატრიცა

2.5	3	3.5	4	4.5	5	5.5	6	6.5	7
-----	---	-----	---	-----	---	-----	---	-----	---

7.5	8	8.5	9
-----	---	-----	---

X^T მატრიცა

1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
0.1	0.1	0.1	0.10526	0.10526	0.10526	0.10526	0.11111	0.13333	0.15385	0.15385	0.16667	0.18182	0.2
0.06667	0.06667	0.08	0.08	0.09091	0.1	0.1	0.11111	0.11111	0.11111	0.11111	0.11111	0.11765	0.11765

გადავამრავლოთ ($X^T X$) მატრიცები

$$X^T X = \begin{pmatrix} 14 & 1,8217 & 1,3751 \\ 1,8217 & 0,2526 & 0,1852 \\ 1,3751 & 0,1852 & 0,1394 \end{pmatrix}$$

გადავამრავლოთ ($X^T Y$) მატრიცები

$$X^T Y = \begin{pmatrix} 80,5 \\ 11,3429 \\ 8,3735 \end{pmatrix}$$

ვიპოვოთ შებრუნებული ($(X^T X)^{-1}$) მატრიცა

$$(X^T X)^{-1} = \begin{pmatrix} 2,3381 & 1,8872 & -25,5777 \\ 1,8872 & 152,9613 & -221,8504 \\ -25,5777 & -221,8504 & 554,3055 \end{pmatrix}$$

რეგრესიის კოეფიციენტების შეფასებათა ვექტორი ტოლია

$$Y(X) = \begin{pmatrix} 2,3381 & 1,8872 & -25,5777 \\ 1,8872 & 152,9613 & -221,8504 \\ -25,5777 & -221,8504 & 554,3055 \end{pmatrix} * \begin{pmatrix} 80,5 \\ 11,3429 \\ 8,3735 \end{pmatrix} = \begin{pmatrix} -4,5479 \\ 29,2828 \\ 66,0512 \end{pmatrix}$$

რეგრესიის განტოლებას აქვს სახე

$$Y = -4.5479 + 29.2828X_1 + 66.0512X_2$$

y – მანქანის დაჭიმულობის რეგულატორის მაჩვენებელია, ანუ დაჭიმულობა, x_1 – ჰორიზონტალური მარყუჟების სიმჭიდროვის შებრუნებული სიდიდეა, ხოლო x_2 – ვერტიკალური მარყუჟების სიმჭიდროვის შებრუნებული სიდიდე

კოეფიციენტების ინტერპრეტაცია. მუდმივა განტოლებაში სხვა ფაქტორების ჯამური გავლენაა Y შედეგზე. $b_1 = 29.2828$ მიუთითებს თუ რამდენით შეიცვლება Y x_1 -ის 1-ით გაზრდით, ხოლო $b_2 = 66.0512$. ანალოგიური მაჩვენებელია x_2 -ის 1-ით გაზრდის შემთხვევაში.

2. რეგრესიის განტოლების პარამეტრების ანალიზი

გადავიდეთ მიღებული განტოლების სტატისტიკურ ანალიზზე: შევამოწმოთ განტოლება და მისი კოეფიციენტები მნიშვნელოვნებაზე, გამოვიკვლიოთ აპროქსიმაციის აბსოლუტური და ფარდობითი ცდომილობები.

გადაუადგილებელი დისპერსიის შესაფასებლად ჩავატაროთ შემდეგი გამოთვლები: გადაუადგილებადი ცდომილება $\epsilon = Y - Y(X) = Y - X*s$ (აპროქსიმაციის აბსოლუტური ცდომილება)

Y	Y(x)	$\epsilon = Y - Y(x)$	ϵ^2	$(Y-Y)^2$	$ \epsilon : Y $
2.5	2.784	-0.284	0.0807	10.563	0.114
3	2.784	0.216	0.0466	7.563	0.072
3.5	3.664	-0.164	0.0271	5.063	0.047
4	3.819	0.181	0.0329	3.063	0.0454
4.5	4.539	-0.0391	0.00153	1.563	0.00869
5	5.14	-0.14	0.0195	0.563	0.0279
5.5	5.14	0.36	0.13	0.0625	0.0655
6	6.045	-0.0447	0.00199	0.0625	0.00744
6.5	6.695	-0.195	0.0382	0.563	0.03
7	7.296	-0.296	0.0877	1.563	0.0423
7.5	7.296	0.204	0.0415	3.063	0.0272
8	7.672	0.328	0.108	5.063	0.041
8.5	8.547	-0.0472	0.00223	7.563	0.00556
9	9.08	-0.0796	0.00633	10.563	0.00884
			0.624	56.875	0.543

აპროქსიმაციის საშუალო ცდომილება

$$A = \frac{\sum_{i=1}^n \left| \frac{\epsilon}{Y} \right|}{n} \cdot 100\% = \frac{0.543}{14} \cdot 100\% = 3.88\%$$

დისპერსიის შეფასება ტოლია:

$$s_e^2 = (Y - Y(X))^T (Y - Y(X)) = 0.624$$

დისპერსიის გადაუადგილებელი შეფასებაა:

$$s^2 = \frac{1}{n - m - 1} \cdot s_e^2 = \frac{1}{14 - 2 - 1} \cdot 0.624 = 0.05673$$

საშუალო კვადრატული გადახრა ტოლია (Y-ის სტანდარტული ცდომილება):

$$S = \sqrt{s^2} = \sqrt{0.05673} = 0.238$$

$k = S^2 \cdot (X^T X)^{-1}$ ვექტორის კოვარიაციული მატრიცის შეფასებაა

$$k(x) = \begin{pmatrix} 2,3381 & 1,8872 & -25,5777 & 0,1326 & 0,1071 & -1,4511 \\ 1,8872 & 152,9613 & -221,8504 & 0,1071 & 8,678 & -12,5863 \\ -25,5777 & -221,8504 & 554,3055 & -1,4511 & -12,5863 & 31,4475 \end{pmatrix}$$

მოდელის პარამეტრების დისპერსიები განისაზღვრება თანაფარდობით $S^2_i = K_{ii}$ ე.ი. მთავარ დიაგონალზე მდგომი ელემენტებით

$$S_{b0} = \sqrt{0.133} = 0.364$$

$$S_{b1} = \sqrt{8.678} = 2.946$$

$$S_{b2} = \sqrt{31.447} = 5.608$$

3. მრავლობით რეგრესიის განტოლების ზოგადი ხარისხის შემოწმება.

F – სტატისტიკა – ფიშერის კრიტერიუმი.

$$R^2 = 1 - \frac{s_t^2}{\sum_{i=1}^n (y_i - \bar{y})^2} = 1 - \frac{0.624}{56.88} = 0.989$$

შევამოწმოთ ჰიპოთეზა საერთო მნიშვნელოვნებაზე, ანუ ჰიპოთეზა რეგრესიის ყველა კოეფიციენტის ერთდროულად 0-ის ტოლობაზე:

$$H_0: R^2 = 0; \beta_1 = \beta_2 = \dots = \beta_m = 0.$$

$$H_1: R^2 \neq 0.$$

ამ ჰიპოთეზის შემოწმება განვახორციელოთ F სტატისტიკის (ფიშერის განაწილება) მეშვეობით. თუ $F < F_{kp} = F_{\alpha; n-m-1}$, მაშინ არ არსებობს H_0 ჰიპოთეზის უგულებელყოფისათვის.

$$F = \frac{R^2}{1 - R^2} \cdot \frac{n - m - 1}{m} = \frac{0.989}{1 - 0.989} \cdot \frac{14 - 2 - 1}{2} = 495.751$$

კრიტერიუმის ცხრილური მნიშვნელობა თავისუფლების

$$k_1 = 2 \text{ и } k_2 = n - m - 1 = 14 - 2 - 1 = 11 \text{ ხარისხებისას } F_{kp}(2;11) = 3.9823$$

რადგანაც ფაქტობრივი მნიშვნელობა $F > F_{kp}$, ამიტომ კოეფიციენტები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია და განტოლება სტატისტიკურად საიმედოა (ანუ ყველა b_i კოეფიციენტი ერთობლივად მნიშვნელოვანია).

დასკვნები:

გამოთვლებით მიღებულ იქნა მრავალფაქტორიანი რეგრესიის განტოლება: $Y = -4.5479 + 29.2828X_1 + 66.0512X_2$.

მოდელის ინტერპრეტირება შეიძლება შემდეგნაირად: X_1 -ის 1 ერთეულით გაზრდა იწვევს Y-ის საშუალოდ 29.283 ერთეულით გაზრდას, ხოლო X_2 -ის ერთი ერთეულით გაზრდა – 66.051 ერთეულით ცვლილებას. განტოლების მნიშვნელოვნება შემოწმებულია ფიშერის კრიტერიუმით. Y-ის ცვლილება განპირობებულია X_1 ფაქტორებით, თუმცა ფაქტორებს შორის კორელაციის კოეფიციენტი 0,7-ზე მეტია და ამიტომ, შესაძლებელია ამ ფაქტორებიდან ერთ-ერთის გამორიცხვა. ცხრილი 1-ითა და ამ განტოლებით ადვილი დასადგენია, თუ რა დანაყოფზე უნდა დაყენდეს დაჭიმულობის რეგულატორი საჭირო სიმჭიდროვის მისაღებად.

ექსპერიმენტი 3.

მანქანა – SK 280. ნართი 100% შალი მეტრაჟი – 100გრ/550მ. მოქსოვილია 17 ნიმუში. ასევე მოქსოვეთ SK 280 მანქანაზე სიმჭიდროვის ცვლილებით 17 ნიმუში.

ანალოგიურად აღებულია პორიზონტალური და ვერტიკალური სიმჭიდროვეების შებრუნებული სიდიდეები, ხოლო კრიტერიუმად საქსოვი მანქანის დაჭიმულობის რეგულატორის ჩვენება. სანყისი მონაცემები მოცემულია ცხრილში 1. მიღებული იქნა გადაწყვეტილება რეგრესიის წრფივი მოდელის სასარგებლოდ, რაც შესაბამისობაშია რეალობასთან იმ მიზეზის გამო, რომ დაჭიმულობასა და მარყუჟების სიმჭიდროვეებს შორის უკუპროპორციული დამოკიდებულებაა, ხოლო შებრუნებულ სიდიდეებთან – პირდაპირპროპორციული.

ცხრილი 3. საქსოვ მანქანა SK 280-ზე ქსოვის ექსპერიმენტის შედეგები

N	დაჭიმულობა	ჰორიზონტალური	ვერტიკალური	1/ჰორ	1/ვერ
1	4,70	15,00	20,00	0,06667	0,05000
2	5,00	15,00	20,00	0,06667	0,05000
3	5,30	15,00	20,00	0,06667	0,05000
4	5,70	15,00	20,00	0,06667	0,05000
5	6,00	15,00	19,00	0,06667	0,05263
6	6,30	15,00	19,00	0,06667	0,05263
7	6,70	15,00	17,50	0,06667	0,05714
8	7,00	15,00	17,50	0,06667	0,05714
9	7,30	15,00	15,00	0,06667	0,06667
10	7,70	15,00	15,00	0,06667	0,06667
11	8,00	13,50	15,00	0,07407	0,06667
12	8,30	13,50	15,00	0,07407	0,06667
13	8,70	12,50	15,00	0,08000	0,06667
14	9,00	12,50	15,00	0,08000	0,06667
15	9,30	12,50	12,50	0,08000	0,08000
16	9,70	12,50	12,50	0,08000	0,08000
17	10,00	10,00	12,50	0,10000	0,08000

1. რეგრესიის განტოლების შეფასება.

განვსაზღვროთ რეგრესიის კოეფიციენტების ვექტორი. უმცირეს კვადრატთა მეთოდის თანახმად, s ვექტორი გამოითვლება ფორმულით: $s = (X^T X)^{-1} X^T Y$
 X_j ცვლადების მატრიცა შევავსოთ ერთეულოვანი სვეტით:

1	1	1	1	1	1	1	1	1	1
0.06667	0.06667	0.06667	0.06667	0.06667	0.06667	0.06667	0.06667	0.06667	0.06667
0.05	0.05	0.05	0.05	0.05263	0.05263	0.05714	0.05714	0.06667	0.06667

1	1	1	1	1	1	1
0.07407	0.07407	0.08	0.08	0.08	0.08	0.1
0.06667	0.06667	0.06667	0.06667	0.08	0.08	0.08

Y მატრიცა

4.7	5	5.3	5.7	6	6.3	6.7	7	7.3	7.7
-----	---	-----	-----	---	-----	-----	---	-----	-----

8	8.3	8.7	9	9.3	9.7	10
---	-----	-----	---	-----	-----	----

მატრიცა X^T

1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
0.06667	0.06667	0.06667	0.06667	0.06667	0.06667	0.06667	0.06667	0.06667	0.06667	0.06667	0.07407	0.07407	0.08	0.08	0.08	0.1
0.05	0.05	0.05	0.05	0.05263	0.05263	0.05714	0.05714	0.06667	0.06667	0.06667	0.06667	0.06667	0.06667	0.06667	0.08	0.08

გადავამრავლოთ ($X^T X$)

$$\begin{array}{ccc}
17 & 1,2348 & 1,0596 \\
X^T X = & 1,2348 & 0,09102 & 0,0782 \\
& 1,0596 & 0,0782 & 0,06794
\end{array}$$

ვიპოვოთ შებრუნებული მატრიცა $(X^T X)^{-1}$

$$\begin{array}{ccc}
4,0814 & -61,9073 & 7,6079 \\
(X^T X)^{-1} = & -61,9073 & 1937,6451 & -1264,9195 \\
& 7,6079 & -1264,9195 & 1352,108
\end{array}$$

რეგრესიის კოეფიციენტების შეფასებათა ვექტორი ტოლია

$$\begin{array}{ccccc}
4,0814 & -61,9073 & 7,6079 & 124,7 & -2,8533 \\
Y(X) = & -61,9073 & 1937,6451 & -1264,9195 & * & 9,2569 & = & 31,5837 \\
& 7,6079 & -1264,9195 & 1352,108 & 8,052 & 126,6618
\end{array}$$

რეგრესიის განტოლებას აქვს სახე

$$Y = -2.8533 + 31.5837X_1 + 126.6618X_2$$

y – მანქანის დაჭიმულობის რეგულატორის მაჩვენებელია, ანუ დაჭიმულობა, x_1 – ჰორიზონტალური მარყუჟების სიმჭიდროვის შებრუნებული სიდიდეა, ხოლო x_2 – ვერტიკალური მარყუჟების სიმჭიდროვის შებრუნებული სიდიდე.

კოეფიციენტების ინტერპრეტაცია. მუდმივა განტოლებაში სხვა ფაქტორების ჯამური გავლენაა Y შედეგზე. $b_1 = 31.5837$ მიუთითებს თუ რამდენით შეიცვლება Y x_1 -ის 1-ით გაზრდით, ხოლო $b_2 = 126.6618$ ანალოგიური მაჩვენებელია x_2 -ის 1-ით გაზრდის შემთხვევაში.

2. რეგრესიის განტოლების პარამეტრების ანალიზი

გადავიდეთ მიღებული განტოლების სტატისტიკურ ანალიზზე: შევამოწმოთ განტოლება და მისი კოეფიციენტები მნიშვნელოვნებაზე, გამოვიკვლიოთ აპროქსიმაციის აბსოლუტური და ფარდობითი ცდომილობები.

გადაადგილებადი დისპერსიის შესაფასებლად ჩავატაროთ შემდეგი გამოთვლები:

გადაუადგილებადი ცდომილება $\epsilon = Y - Y(x) = Y - X*s$ (აპროქსიმაციის აბსოლუტური ცდომილება)

Y	$Y(x)$	$\epsilon = Y - Y(x)$	ϵ^2	$(Y-Y)^2$	$ \epsilon : Y $
4.7	5.585	-0.885	0.784	6.945	0.188
5	5.585	-0.585	0.343	5.454	0.117
5.3	5.585	-0.285	0.0815	4.142	0.0539
5.7	5.585	0.115	0.0131	2.674	0.0201
6	5.919	0.0814	0.00663	1.783	0.0136
6.3	5.919	0.381	0.145	1.072	0.0605
6.7	6.49	0.21	0.0442	0.404	0.0314
7	6.49	0.51	0.26	0.112	0.0729
7.3	7.697	-0.397	0.158	0.00125	0.0544
7.7	7.697	0.0031	9.619514333903E-6	0.133	0.000403

8	7.931	0.0694	0.00481	0.442	0.00867
8.3	7.931	0.369	0.136	0.931	0.0445
8.7	8.118	0.582	0.339	1.862	0.0669
9	8.118	0.882	0.778	2.771	0.098
9.3	9.806	-0.506	0.256	3.86	0.0544
9.7	9.806	-0.106	0.0113	5.592	0.011
10	10.438	-0.438	0.192	7.101	0.0438
			3.553	45.279	0.94

აპროქსიმაციის საშუალო ცდომილება

$$A = \frac{\sum_{i=1}^n \left| \frac{\epsilon_i}{Y_i} \right|}{n} \cdot 100\% = \frac{0.94}{17} \cdot 100\% = 5.53\%$$

დისპერსიის შეფასება ტოლია:

$$s_e^2 = (Y - Y(X))^T (Y - Y(X)) = 3.553$$

დისპერსიის გადაუადგილებელი შეფასებაა:

$$s^2 = \frac{1}{n - m - 1} \cdot s_e^2 = \frac{1}{17 - 2 - 1} \cdot 3.553 = 0.2538$$

საშუალო კვადრატული გადახრა ტოლია (Y-ის სტანდარტული ცდომილება):

